გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№286 (345) 30 სექტემბერი-7 ოქტომბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის“

2014 წლის 23 სექტემბერს, თბილისში, სასტუმრო *„BETSY'S HOTEL”*-ის საკონფერენციო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიულმა მემკვიდრეობამ“** ჩაატარა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – **„კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის“,** რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა ექსპერტებმა – მეცნიერებმა, ანალიტიკოსებმა, პოლიტიკოსებმა, პოლიტოლოგებმა, დიპლომატებმა, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და ეთნიკური დიასპორების ლიდერებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, პუბლიცისტებმა და ჟურნალისტებმა.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ, ინსტიტუტის ხელმძღვანელის გულბაათ რცხილაძის ხელმძღვანელობით, მომზადებული ბროშურის – **„უკრაფაშიზმი“** პრეზენტაცია, რომელიც უკრაინაში მიმდინარე რეალურ პროცესებს ასახავს.

მიწვეული სტუმრების წინაშე კონფერენციის ზემოხსენებული თემისადმი მიძღვნილი მოხსენებებით წარდგნენ:

1. ელიზბარ ჯაველიძე – აკადემიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე;

2. ვალერი კვარაცხელია – ანალიტიკოსი;

3. ნანა დევდარიანი – გლობალური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი;

4. თამარ კიკნაძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თავმჯდომარე;

5. არნო ხიდირბეგიშვილი – საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო “საძინფორმის” დირექტორი და მთავარი რედაქტორი:

6. ჰამლეტ ჭიპაშვილი – ექსპერტი, პოლიტოლოგი;

7. პეტრე მამრაძე – პრეზიდენტის კანცელარიის ყოფილი ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი;

8. ვალერიან დოლიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

9. ვასილ ჭიჭინაძე – დიპლომატი;

10. ალი ბაბაევი – საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე;

11. იური მეჩითოვი – ნოოლოგიის ცენტრის ექსპერტი;

12. ვიქტორ ცაავა – გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრი;

13. ვანო წიკლაური – მემარცხენე ძალთა გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი, პოლიტოლოგი;

14. ირაკლი უბილავა – გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრი;

15. გრიგოლ ონიანი – საზოგადოება „სტალინის“ ხელმძღვანელი;

16. ზვიად ირემაძე – ანტიგლობალისტური ცენტრი „ივერიელები“;

17. სერგო მირზოიანი – დიდი სამამულო ომის ვეტერანი;

18. შოთა ბუაძე – დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

კონფერენცია მიჰყავდა ღონისძიების მთავარ ორგანიზატორს – არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** დამფუძნებელს ტარიელ გაგნიძეს,

კონფერენციის დასასრულს მისმა მონაწილეებმა ერთობლივი რეზოლუცია მიიღეს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის“ რეზოლუცია

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია **„კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის“** მონაწილენი ხაზს უსვამენ მისი ჩატარების მნიშნელობას სწორედ საქართველოში, რომელმაც არაერთი სახელმწიფო გადატრიალება გადაიტანა და დღესაც მათ მძიმე შედეგებს იმკის.

გასული წლის ბოლოს კიევში დაწყებულმა მოვლენებმა უკრაინა ძმათამკვლელ სამოქალაქო ომამდე, ეკონომიკურ კატასტროფამდე, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვამდე მიიყვანა. ეს მორიგ გაკვეთილად უნდა წაადგეს როგორც საქართველოს, ასევე მის მეზობლებს კავკასიის რეგიონში – აზერბაიჯანსა და სომხეთს, რომლებიც საქართველოსთან საერთო პრობლემებითა და საზღვრებით, მოსახლეობის შემადგენლობით, ეკოლოგიით, ენერგოკომუნიკაციისა და გზების **„ჭიპლარით“** უწყვეტად არიან დაკავშირებული.

საქართველოში კარგად ახსოვთ **„თბილისის ომის“** სახელით ცნობილი 1991 წლის სამხედრო გადატრიალება, რომელმაც გადაბუგა დედაქალაქის ცენტრი ისევე, როგორც **„ევრომაიდანმა“** გადაბუგა კიევის ცენტრი. საქართველოში არ დავიწყებიათ 2003 წლის **„ვარდების რევოლუციაც“,** ე. წ. **„ფერადი რევოლუციების“** სერიიდან, რომელსაც ერთი წლის შემდეგ, 2004 წელს, **„ნარინჯისფერი რევოლუცია“** მოჰყვა უკრაინაში. ორივე ეს რევოლუცია მოფაშისტო ელემენტების პარპაშით, ტრადიციულ ეროვნულ ფასეულობებზე ფართო იერიშით, ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივი გარყვნითა და ტრადიციულ რელიგიებზე შეტევით დასრულდა.

ყველა ეს **„რევოლუცია“,** – როგორც ამჟამინდელი უკრაინული, – დაგეგმილი, პროვოცირებული, დაფინანსებული და მოწყობილი იყო გარე გლობალისტური ძალების მიერ ცნობილი ფონდებისა და ინსტიტუტების ხელით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და **„ცე-რე-უს“** ხელმძღვანელობით. ისინი **„ფერადი რევოლუციების“** მეთოდებით პირველად როდი ამხობენ მათთვის არასასურველ მთავრობებს მთელ მსოფლიოში და მათ მთლიანად კონტროლირებადი მარიონეტული რეჟიმებით ცვლიან.

ასეთი სახელმწიფო გადატრიალებები ეწყობა ვითომდა ხალხის წიაღიდან გამოსული პატრიოტების ხელით, რომლებსაც თითქოსდა გული შესტკივათ **„არადემოკრატიული და კორუმპირებული“** მოქმედი ხელისუფლებით **„გატანჯულ“** თავის სამშობლოსა და ერზე. სინამდვილეში პატრიოტიზმისა და დემოკრატიის ლოზუნგებით ხელისუფლებაში მოდიან რადიკალები, რომლებიც ქვეყანას უცხო ინტერესებს ახვევენ თავს და ეთნიკური ნიშნითაც კი არ მიეკუთვნებიან სახელმწიფოს ძირეულ ერს, როგორც ეს საქართველოში და ახლა უკრაინაში მოხდა. ეს ადამიანები უყოყმანოდ სწირავენ მსხვერპლად ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის თავის მომხრეებსაც – პატრიოტულად განწყობილ მოქალაქეებს, რომლებსაც დასავლელი დირიჟორები ხელისუფლების დასამხობად იყენებენ. პირველ რიგში მათ იშორებენ თავიდან, ძმათამკვლელ ომში **„საზარბაზნე ხორცად“** ყრიან. დღეს ეს უკრაინაში ხდება, სადაც ალყაში მოხვედრილი ძალოვანი ქვედანაყოფები ოფიციალურმა კიევმა უმალ დაივიწყა და რომლებიც უცილობელ სიკვდილს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ინიციატივების წყალობით გადარჩნენ. საქართველოშიც ასევე მასობრივად იღუპებოდნენ მოტყუებული პატრიოტები სამოქალაქო ომში, რომელმაც ქვეყანა სახელმწიფო გადატრიალებისა და კანონიერი პრეზიდენტის დამხობის შემდეგ მოიცვა 1991 წელს; ათასობით ადამიანი დაიღუპა და ასობით ათასი უსახლკაროდ დარჩა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების შემდეგ, რომლებიც ასევე 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალებისა და 2003 წლის **„ვარდების რეცოლუციის“** კანონზომიერ შედეგს წარმოადგენდა.

მარიონეტული მთავრობების ნიშანდობლივ ხელწერას წარმოადგენს აუტანელი სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პირობების შექმნა, სწორედ მკვიდრი მოსახლეობისათვის, ქვეყნიდან ემიგრაციის სტიმულირების მიზნით. ამავე დროს, ყველანაირად ეწყობა ხელი უცხოელთა ნაკადის შემოდინებას უპირატესად შორეული ქვეყნებიდან, რომლებიც იაფად ყიდულობენ გაღატაკებული ადგილობრივი მოსახლეობის მიწასა და ქონებას, ქმნიან თავის დიასპორებს, ახდენენ ეკონომიკის მთელი დარგების მონოპოლიზებას და ამასთან სრულიად ლოალური არიან მმართველი რეჟიმის მიმართ. ქვეყანაში ახლახან მოსული უცხო მოსახლეობა მას მხოლოდ მოგების მიღების წყაროდ აღიქვამს და მათი მართვა უფრო იოლია: მათთვის უცხოა ადგილობრივი ეროვნული ინტერესები, ძირძველი მოსახლეობის საუკუნეობრივი მისწრაფებები, მისი წარსული და მომავალი. ასე უკვე მოხდა საქართველოში, რომელიც **„რევოლუციონერთა“** ანტიეროვნული მოღვაწეობის შედეგად 2 მილიონზე მეტმა (ადგილობრივი მოსახლეობის მესამედზე მეტმა) ადამიანმა დატოვა, სამაგიეროდ, ქვეყანაში ათასობით ემიგრანტი გადმოსახლდა ჩინეთიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან და სხვა ქვეყნებიდან. ანალოგიური პროცესი ელოდება მოკლე ხანში უკრაინასაც, რომლის ნაყოფიერ მიწებს უცხოები ჩაიგდებენ ხელში.

საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლების რყევაზე, ეროვნული სულიერი და რელიგიური ფასეულობების განადგურებაზე, საყოველთაოდ აღიარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტების დისკრედიტაციაზე, ხალხების ისტორიული წარსულის ფალსიფიკაციაზე დასავლური სპეცსამსახურები, მათ კონტროლქვეშ მყოფი **„ფონდები“** და **„ასოციაციები“** მილიარდობით დოლარს ხარჯავენ – ქმნიან და აფინანსებენ რა ასობით არასამთავრობო ორგანიზაციას, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიას, პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გასამხედროებულ დაჯგუფებებსა და სპეციალურ საწვრთნელ ბანაკებს.

პროფესიონალურად მომზადებული ნაციონალ-მოდალატეების საქმიანობა არ იზღუდება მათი ქვეყნის საზღვრებით: ისინი მობილურები, ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ერთიანი ცენტრიდან მართულნი, საჭირო მომენტში მიაშურებენ იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო გადატრიალების უფრო დიდი ალბათობაა. ასე მაგალითად, ქართულ **„ვარდების რევოლუციაში“,** ყველგანმყოფი ამერიკელი კურატორების გარდა, მონაწილეობდნენ სერბი, უკრაინელი **„სპეციალისტები“,** ქართველი **„პროფესიონალები“** კი აქტიურად ცდილობდნენ წყლის ამღვრევას ბელორუსში, მონაწილეობდნენ ყირგიზეთის **„რევოლუციაში“,** ხოლო უკრაინაში წარმატებით გამოიჩინეს თავი **„ნარინჯისფერი რევოლუციისას“** – 2004 წელს, 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას და 2013 წელს კანონიერი ხელისუფლების დამხობის დროსაც.

ამჟამად ეს **„ლიბერალები“** და **„დემოკრატები“** სომხეთში და აზერბაიჯანში ვითარების ასარევად ემზადებიან თავის იქაურ კოლეგებთან ერთად. განსაკუთრებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სომხეთში, სადაც ქართველი **„რევოლუციების სპეციალისტები“** გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს უზიარებენ თავის იქაურ დამქაშებს, ასწავლიან საინფორმაციო მუშაობას, ქუჩური დაპირისპირებების მეთოდებს, უგზავნიან ფინანსებს, ეხმარებიან საბრძოლო ჯგუფების შექმნაში.

თვალსაჩინოა **„ფერადი“** სახელმწიფო გადატრიალებების შედეგები: სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომები, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კატასტროფები, მოსახლეობის სრული გაღატაკება, ლტოლვილთა ნაკადები, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ოდესღაც ერთიანი ქვეყნის მოქალაქეები მტრებად ეკიდებიან ერთმანეთს – ძმა ძმას, მეზობელი მეზობელს. ხშირად **„სადემარკაციო ხაზი“** ე. წ. შერეულ ოჯახებზე გადის – ასე იყო საქართველოში, ასე ხდება უკრაინაში.

ჩვენ ვითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო პოლიტიკისა და მისი მონურად მორჩილი ევროკავშირის მზარდ აგრესიულობას, კონსოლიდირებული დასავლეთის ექსპანსიონისტური ძალების დაჟინებულ სწრაფვას, თავის ინტერესებს დაუქვემდებაროს პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომიკა და ბუნებრივი რესურსები, არ დაუშვას რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური ძლიერების ზრდა, მის მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება. ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამჟამინდელი **„რევოლუცია“** უკრაინაში ბოლო არ არის და უახლოეს ხანში უნდა ველოდოთ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებს სომხეთში, აზერბაიჯანში და კიდევ ერთხელ საქართველოში. გამორიცხული არ არის, რომ კატალიზატორად სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში არსებული შიდა კონფლიქტები გათამაშდეს, რასაც უკვე მოწმობს ზოგიერთი გააქტიურებული არასამთავრობო ორგანიზაციის, პოლიტიკური და საზოგადო **„მოღვაწეების“** პროვოკაციული ლექსიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

II. 3. ეპიზოდები ეთნიკური გეოგრაფიიდან

ეთნიკური გეოგრაფია საისტორიო გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური დაჯგუფების ეს სახეობა ტომის, ეროვნებისა და ერის სახითაა ცნობილი. საერთო ტერიტორია, როგორც საზოგადოების გაერთიანების ბუნებრივი, სივრცობრივი ბაზა და საერთო ენა – აი, უმთავრესი პირობა ყოველი ეთნიკური ერთობის წარმოქმნისათვის.

ვახუშტის ნაშრომში მოცემული ცნობების გაანალიზებით შესაძლებლობა გვეძლევა, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აფხაზთა და მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფების განსახლების არეალზე ისტორიულ წარსულში.

ვახუშტი გვამცნობს, რომ ქართველთათვის დამწერლობისა და რჯულის ენა ქართულია: **„გარნა თუ აქუთ ზოგთა ენა სხუა, თვისნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს თვინიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“.** მას საკუთარ ენებად მიაჩნია სვანური და მეგრული; მეგრულს კი **„წამხდარ ქართულად“** მოიხსენიებს. მეცნიერი შენიშნავს, რომ მცხოვრებნი **„სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსაარებელნი...“** ისტორიკოსმა იცის, რომ აფხაზებსაც **„ენა საკუთარი თუისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“** (ვახუშტი 1973: 786).

ამასთანავე, ერთსადაიმავე ეთნოსისადმი კუთვნილების მტკიცების მიზნით, ვახუშტი აღნიშნავს, რომ ეგრისის (იგივე აფხაზეთი, ოდიში, იმერეთი), კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მცხოვრებნი არიან **„ტანოვანნი და შვენიერ-ჰაეროვანნი“** და გარეგნული მახასიათებლებით ცდილობს ქართველებთან (ქართლელებთან) მათი მსგავსების დასაბუთებას.

„აღწერაში“ ასახვა ჰპოვა არა მხოლოდ ვახუშტის დროის (XVIII ს. I ნახევარი) ოდიშ-აფხაზეთის სინამდვილემ, არამედ გადმოცემულია ადრინდელი ისტორიული ვითარებაც. მისი მსჯელობა მეგრელებითა და აფხაზთა და აფხაზებით დასახლებული ტერიტორიების საზღვრების ცვალებადობის შესახებ, მკვლევართა აზრით, ნდობას იმსახურებს.

მეცნიერ ბატონიშვილს მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ საქართველოში უცხო ეთნიკური წარმომავლობის ხალხიც მოსახლეობს. აღწერაში ურთიერთშედარების საფუძველზე მოცემულია მათი ზნეობრივი თვისებების დახასიათება და განსახლების არეალი. მეცნიერი ზოგჯერ მიუთითებს ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში შერეული, არაქართული მოსახლეობის არსებობას. მაგალითად, **„...არს... ატენი, მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი“** (იქვე: 343); **„იმერხევის დასავლით, ძამაზედ, არს მძორეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი სომეხნი, ურიანი“** (იქვე: 344); სამ ეროვნებას – ქართველებს, სომხებსა და ურიებს მიუთითებს სურამშიც (იქვე: 377) და ა. შ.

რაც შეეხება ოდიშ-აფხაზეთს, ვახუშტის ქმნილებაში პირდაპირი მითითება ამ ტერიტორიულ ერთეულებში არაქართველი ეთნოსების მოსახლეობის შესახებ არ მოგვეპოვება. ვახუშტის ნაშრომის აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს სხვა ისტორიული წყაროების მონაცემები.

1767 წლით თარიღდება კაცია დადიანის შეწირულობის წიგნი გრიგოლ ჭყონდიდელისადმი (ბეჟან დადიანის ძე), სადაც ვკითხულობთ **„...ჩვენი ვაჭარი ურია გებარათ ჩვენგან... სამასი მარჩილი ქრთამით ავიღეთ და მოგართვით ვაჭარი ურია მარდახა და მისი ძმა იაკობა...“** (კაკაბაძე II, 1921: 33-34).

ოდიშში, სოფ. სუჯუნაში (ახლანდ. აბაშის რ-ნი) ებრაელთა პირველმოსახლეობის შესახებ ცნობები დაცულია გრიგოლ ჭყონდიდელის შეწირულობის წიგნში (დათარიღებულია იმავე 1770 წლით): **„შენ... მარტვილთა ღმრთის მშობელსა და... წასა გ'ის სუჯუნასა შეგკადრეთ მცირე ესე შესაწირი, ასე რომ მარდახა ურია მისის ცოლშვილით და იაკობა მისი ძმა და მისი ცოლშვილი, ყიდდენ, ძვირფასათ დავიხსენით და სუჯუნის საყდრის სიახლოვეს დავასახლეთ... და ბეგრათ ეს დაგვიცს, რომ ყოველს საადგომოთ ხუთი მარჩილის სანთელს საკმეველს მოგართმევდეს, წმიდის გ'ის დეკანოზს მოუტანდეს...“** (იქვე: 43).

ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სუჯუნელი ებრაელები კუთვნილების თვალსაზრისით საეკლესიო-სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ, მათი უმთავრესი საქმიანობა კი ხელოსნობა-აღებმიცემობა იყო. გვიან შუა საუკუნეებში ებრაელები ცხოვრობდნენ ცალკე სოფლებად ან უბნებად. ოდიშში ებრაელთა მთავარი ადგილსამყოფელი იყო სუჯუნაში, ბანძასა და სენაკში. ეს სოფლები სავაჭრო-სახელოსნო პუნქტებს წარმოადგენდა.

სამთავროში, ბუნებრივია, ცხოვრობდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც, მაგრამ მათი რაოდენობა პროცენტულად იმდენად მცირე იყო, რომ ვერ ქმნიდნენ იმ ეთნიკურ ერთობას, რომელსაც შეეძლო დისონანსი შეეტანა ოდიშის ეთნიკურ შემადგენლობაში.

გიულდენშტედტი შენიშნავდა, რომ სამეგრელო ქართული პროვინციაა, ხოლო ოდიში და ლეჩხუმი – მხარეები ამ პროვინციაში, რომლებიც **„ჰქმნიან საქართველოს მეოთხე სამეფოს და ჰყავთ თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველი, რომელიც ატარებს დადიანის ტიტულს“** (გიულდენშტედტი I, 1962: 319). მისივე თქმით, ოდიში და ლეჩხუმი დასახლებულია ქართველებით, სომხებით, თათრებითა და ებრაელებით (იქვე). ამასთანავე, ოდიშში მეგრულად ლაპარაკობენ, ლეჩხუმში კი იმერულ-გურული შერეული დიალექტია გავრცელებული (იქვე: 321). გერმანელი მეცნიერ-მოგზაური დასძენს, რომ ოდიში მდებარეობს სამეგრელოს ჩრდილოეთით. დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევს, ხოლო ჩრდილოეთით აფხაზეთი საზღვრავს. ოდიშის მხარეს, **„როგორც საქართველოს ერთ ნაწილთაგანს, ჰყავს იგივე მოსახლეობა, აქვს იგივე სარწმუნოება, ენა, კანონები, ისეთივე მიწა და წარმოება, როგორც სამეგრელოს“** (იქვე: 325).

გერმანელი მოგზაურისა და მეცნიერის – იაკობ რაინეგსის თქმით, მეგრელებს აქვთ საკუთარი ენა, რაც კავკასიური, ბერძნული და ქართული სიტყვების დიალექტების ნარევს წარმოადგენს. რაინეგსი დასძენს, რომ ხალხის იმ შტოს, რომელიც თავის თავს და ქვეყანას ლეჩხუმს უწოდებს, ასევე მეგრელებს მიაკუთვნებენ: **„მეგრული ენა იმ ხალხის ენაცაა და განსხვავდება ამჟამად მეგრელებისაგან თავისი სახელწოდებით, თუმცა ზოგიერთები მიმტკიცებდნენ, რომ ეს არის ახალშენი ლიტშუს ხალხისა...“** (რაინეგსი 2002: 122).

მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი ამბობს, რომ სამეგრელოში ღვთისმსახურების ენა მეგრულისგან სრულიად განსხვავებული ქართული ენაა. ეკლესიაში ისინიც დადიან, რომლებმაც არ იციან ქართული. განსაკუთრებით ქალებს არ გაეგებათ ან ცოტა ესმით ქართული ენა.... მეგრულს არა აქვს საკუთარი დამწერლობა. აქაურები წერის დროს ქართულს იყენებენ. **„მაგრამ ის მეგრული სიტყვების გამოსათქმელად არ უნდა იყოს საკმარისი“** (აიხვალდი 2005: 190-191). აიხვალდი შენიშნავს, რომ საკუთარი დამწერლობა არა აქვს აგრეთვე აფხაზურს, ოსურს და ჩერქეზულ ენებს (იქვე: 191).

ვახუშტი აფხაზეთის ტერიტორიას განიხილავდა როგორც საქართველოს, ქართული სამყაროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. X საუკუნეში ქართლის, კახეთისა და აფხაზეთის გაერთიანებაზე მსჯელობისას შენიშნავს: **„ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი ესე ქვეყანა და შეაერთა კუალად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ჰერკახნი, და ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ თვის მეფობასა შინა, და იყო ყოველი ესე ივერია ერთ სამეფოდ“** (ვახუშტი IV, 1973: 700).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დიდმა მეცნიერმა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვისადმი მიძღვნილი თავი ნაშრომში ასე დაასათაურა: **„აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“.** მას ეგრისი, აფხაზეთი და იმერეთი ერთი და იმავე ტერიტორიული სივრცის სინონიმურ სახელებად ესახებოდა.

რუსეთის მიზანმიმართული სეპარატისტული პოლიტიკით შეგულიანებული აფხაზი და რუსი ისტორიკოსები – ვ. არძინბა, თ. აჩუგბა, მ. თხაიწუხოვი, ო. ბღაჟბა, ს. ლაკობა და სხვები უკანასკნელ წლებში ცდილობენ თავიანთი **„მოსაზრებების“** მასობრივ ტირაჟირებასა და წერილობითი, ეთნოლოგიური და ტოპონიმიკური მასალების მოშველიებით აფხაზეთის ისტორიული წარსულის უცერემონიო გაჟალბებას. პროპაგანდისტული აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ობიექტური კრიტიკა მოცემულია ზ. პაპასქირის, ს. ბახია-ოქრუშვილის, კ. კვაშილავას, ბ. ხორავას, ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას, თ. ბერაძის, თ. მიბჩუანის, ვ. ზუხბაიას, თ. გვანცელაძის, პ. ცხადაიას, კ. ოკუჯავას, ლ. ახალაძისა და სხვა ქართველ მკვლევართა მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ამიტომ მათ მიმოხილვას აქ არ შევუდგებით. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ წერილობით წყაროებთან ერთად, ეთნოლოგიური და ონომასტიკური მონაცემებით ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი ძირძველი ქართველური ტომის – სვანისა და ზანის (მეგრელი, კოლხი) მოსახლეობა მტკიცდება.

XVII საუკუნისათვის ენგურ-კოდორის შუამდინარეთის მოსახლეობის კოლხურობაზე მეტყველებს **„აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“,** შედგენილი 1621 წელს, სადაც დასახელებულია სწორედ მეგრულენოვანი ონომასტიკონი. ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია **„ბიჭვინტის იადგარი“** (1525-1550 წწ.), სადაც ასევე მეგრულენოვანი ონომასტიკონია მითითებული (ქსძ II, 1965: 179).

ამ ტერიტორიასა და საკუთრივ აფხაზეთში ეთნიკურად განსხვავებული მასის ჩამოსახლებასა და გაბატონებას შედეგად მოჰყვა აბორიგენი მოსახლეობის **„გააფხაზება“** და ადგილობრივი ქართველურენოვანი ტოპონიმების ნაწილობრივ გაქრობა ან ფორმის შეცვლა, მაგრამ, მიუხედავად ეთნიკური პროცესების ცვლილებებისა და **„გააფხაზების“** უკუქცევადი პროცესისა, აფხაზი თავად-აზნაურები მეტწილად მაინც ინარჩუნებდნენ ქართულ ენასა და ქართულ თვითშეგნებას. ვახუშტის ცნობა, რომ მისი დროის აფხაზებს **„ენა საკუთარი თუისი“** ჰქონდათ, მაგრამ წარჩინებულებმა იმავდროულად ქართულიც იცოდნენ (ვახუშტი IV, 1973: 786), სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას.

ოდიშისა (სამეგრელოს) და აფხაზეთის საეკლესიო გეოგრაფიის საკითხები ვახუშტის „აღწერაში“

საეკლესიო ცხოვრების ჩამოყალიბებისა და განვითარების ქრონოლოგიური ზღვარის, მისი გავრცელების არეალის დადგენა და საეკლესიო ცხოვრების გეოგრაფიულ-ტერიტორიული დანაწილების შესწავლა საეკლესიო გეოგრაფიის სფეროს შეადგენს (ხარაძე 2003:159).

ვახუშტი ბატონიშვილი მკაფიოდ განსაზღვრავს ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროების ტერიტორიაზე XVIII საუკუნის დასაწყისისათვის არსებული ეპარქიების ტერიტორიას. საეკლესიო საზღვრების მოკლედ განსაზღვრასთან ერთად მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, **„არის თუ არა ესა თუ ის ეკლესია საეპისკოპოსო საყდარი და მოქმედია თუ არა ეს კათედრა“** (კუდავა 2002: 110).

მეცნიერი **„აღწერაში“** ოდიშ-აფხაზეთის საეკლესიო ორგანიზაციას შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: ორივე ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული ეკლესიურად აფხაზეთის კათალიკოსის დაქვემდებარებაშია. საკათალიკოსო დაყოფილია ეპარქიებად. მათ სათავეში ეპისკოპოსები დგანან. დაარსების ქრონოლოგიის მიხედვით უძველესია ბიჭვინთის საეპისკოპოსო, რასაც მოსდევს ცაიშის, ჭყონდიდის, მოქვის, დრანდის, ბედიის, წალენჯიხის საეპისკოპოსოები. ამასთანავე, ვახუშტი **„აღწერაში“** არაფერს ამბობს დასავლეთ საქართველოს ძველ, **„ბიზანტიურ“** კათედრებზე (ფაზისი, ძიგანევი).

თუკი ვახუშტის ცნობებს ოდიშ-აფხაზეთის ეპარქიათა ტერიტორიების შესახებ მისივე გეოგრაფიული აღწერის პრინციპით (ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) მივუდგებით, საეკლესიო გეოგრაფიის თვალსაზრისით ასეთ სურათს მივიღებთ:

ჭყონდიდის ეპარქია: მდ. ცხენისწყლიდან უნაგირას მთამდე (ვახუშტი 1973: 776);

ცაიშის ეპარქია: უნაგირას მთიდან (აღმ.) შავ ზღვამდე (დას.), მდ. ჭანისწყლიდან სამხრეთით, რიონამდე (იქვე: 778);

წალენჯიხის ეპარქია: ჭანისწყალ-დადისწყლის შუამდინარეთი (იქვე: 778);

ბედიის ეპარქია: დადისწყალ-მოქვის შუამდინარეთი (იქვე: 780);

მოქვის ეპარქია: მოქვი-კოდორის შუამდინარეთი (იქვე: 780-781);

დრანდის ეპარქია: მდ. კოდორიდან ანაკოფიამდე (იქვე: 781).

ქვემოთ განვიხილავთ თითოეული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის – საეპისკოპოსოსა და აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო გეოგრაფიას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებისა და სხვა სახის წერილობითი წყაროების, აგრეთვე ტოპონიმური მასალის მონაცემების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით, და გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით შევეცდებით, დაახლოებით განვსაზღვროთ, ან უფრო დავაზუსტოთ ვახუშტის მიერ ჩამოთვლილი ოდიშ-აფხაზეთის საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორია და საზღვრები.

ქვემოთ განვიხილავთ საეპარქიო ცენტრების გეოგრაფიას, არა მათი დაარსების ქრონოლოგიის, არამედ ვახუშტისეული გეოგრაფიული აღწერის პრინციპით: სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ჭყონდიდის ეპარქიის საზღვრები. **„მატიანე ქართლისაში“** დაცული ცნობის თანახმად ჭყონდიდის საეპისკოპოსოს დაარსება ეგრის-აფხაზეთის მეფის, ლეონიდების დინასტიის წარმომადგენლის – გიორგი II-ის მოღვაწეობის პერიოდს (დაახლ. 922-957 წწ.) უკავშირდება. ის იყო დიდი საეკლესიო პოლიტიკის გამტარებელი, **„ღმრთის-მოყუარე“, „უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა“,** რომელმაც **„განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავითა წმიდათა მარტვლთათა“** („ქ. ცხ.“ I, 1955: 265). მატიანის უცნობი ავტორი გვაწვდის ცნობებს სამი საეპისკოპოსოს (ჭყონდიდი, მოქვი, ბედია) დაარსების შესახებ. ახლადდაარსებულ საეკლესიო კათედრებს შორის ყველაზე ადრეული ჭყონდიდისა იყო.

ჭყონდიდის კათედრა წარმოადგენდა ფაზისის სამიტროპოლიტოს სამართალმემკვიდრეს. აღნიშნული ფაქტი განაპირობებდა იმას, რომ ჭყონდიდი მთელი საქართველოს მასშტაბით უპირველესი კათედრა იყო ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდშიც (კუდავა 2002: 113).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კონსტანტინოპოლზე დაქვემდებარების პერიოდში პატივის თანმიმდევრობით ფაზისელი პირველი მღვდელმთავარი იყო დასავლეთ საქართველოში და მიტროპოლიტის წოდებით იქვემდებარებდა ოთხ საეპისკოპოსოს (როდოპოლისისას, ცაიშისას, ძიღანევისას, პეტრასას), მისი, ჭყონდიდის საეკლესიო კათედრით ჩანაცვლების შემდეგ, ფაზისის სამიტროპოლიტოს ტერიტორიული მემკვიდრეობა და ფაზისელის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი – პატივი, ბუნებრივია, ჭყონდიდსა და ჭყონდიდელზე უნდა გადასულიყო (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 102). ასეთი უპირატესობა ჭყონდიდს არც მომდევნო პერიოდში დაუკარგავს.

საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველი ინფორმაციის შემცველია ვახუშტის შემდეგი ლაკონური ცნობა: **„ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭურეტი, მაღალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მარტვირისა. ეს აღაშენა ჰ მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ. ამანვე დასვა მუნ ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე“** (ვახუშტი IV, 1973: 776).

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეორე მსოფლიო ომი

მეშვიდე ათეული წელი ილევა მას შედეგ, რაც დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ენით აუწერელი ნგრევა, სიკვდილი და ვაება მოუტანა მთელ მსოფლიოს. ფაქტია, რომ ამ ომში ყველაზე მეტად ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი ბურჯი – საბჭოთა კავშირი დაზარალდა, რომელმაც 20 მილიონ ადამიანზე მეტი დაკარგა. ომის დაწყების ორგანიზატორი და "სულისჩამდგმელი" კი გახლდათ გერმანული ფაშიზმი, რაც, როგორც ჩანს, დღესაც არ არის აღმოფხვრილი და ახალ სიურპრიზებს უმზადებს კაცობრიობას. სწორედ თანამედროვე ფაშიზმი აჩენს მეოთხე მსოფლიო ომის (მესამე მსოფლიო ომმა ფაქტიურად უკვე გადაიარა, რამაც შეიწირა საბჭოთა კავშირი) რეალურ საფრთხეს. სწორედ მეორე მსოფლიო ომის მატიანეს ეძღვნება ბაკურ მორგოშიას ნარკვევი მეორე მსოფლიო ომის მიზეზ-შედეგობრიობაზე.

ომის მსვლელობა ევროპაში

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში.

აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით – 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე – 1939 წლის 1 სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში – 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის დარღვევის შემდეგ – საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ – ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ბრძოლის ადგილი იყო: აზია, წყნარი ოკეანის აუზი, ევროპა და ჩრდილოეთ აფრიკა. საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა, აგრეთვე, ჩრდილოეთ ამერიკაში (არქტიკა) – ალასკასა და გრენლანდიაზე, ახლო აღმოსავლეთში – ერაყსა და ირანში, აღმოსავლეთ აფრიკაში – ეთიოპიასა და სომალიში, აგრეთვე სამხრეთ ამერიკაში (სურინამის დაპყრობა), ტიბეტში (ტოლსტოი-დოლანის მისია) და ანტარქტიდაზეც კი (ოპერაცია ტაბარინი).

მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღენთილი იყო მძლავრი იდეოლოგიზმით, რამაც ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში ევროპის ბევრი სახელმწიფო ტოტალიტარული რეჟიმის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. 1922 წელს იტალიის სათავეში बენიტო მუსოლინი და ფაშისტური პარტია მოექცა. მათი ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის შედეგი იყო ეთიოპიის (1936) და ალბანეთის (1939) დაპყრობა იტალიის მიერ.

გერმანიაში ამ პერიოდში ძლიერდებოდა ნაცისტური პარტია, რომელმაც საბოლოო გამარჯვებას 1933 წლის არჩევნებში მიაღწია და პარტიის ლიდერი, ადოლფ ჰიტლერი გერმანიის კანცლერი გახდა. ჰიტლერის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო **„ვერსალის ზავის“** წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა ე.წ. **„გროსდოიჩე რაიხის“** შექმნას და **„საარსებო გარემოს“** მოპოვებას აღმოსავლეთში.

ზაარის მხარის (1935), რაინის ოლქის (1936), ავსტრიის (1938) და სუდეტის მიწების (1938) მიერთებით ჰიტლერმა თავისი გეგმის პირველი ორი პუნქტი მეტ-ნაკლებად შეასრულა. ინგლისისა და საფრანგეთის დამთმობმა პოლიტიკამ ყოველივე ამას დიდად შეუწყო ხელი. მაშინაც კი, როცა გერმანიამ ჩეხეთი მთლიანად შეიერთა (1939 წლის მარტი), ინგლისი და საფრანგეთი მხოლოდ საპროტესტო ნოტით დაკმაყოფილდნენ.

ამ მოვლენებიდან მცირე ხნის შემდეგ ლიტვამ გერმანიას დაუთმო მემელის მიწები, სლოვაკეთი დამოუკიდებელი დარჩა, თუმცა გერმანიის პატრონაჟის ქვეშ. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ამ ქვეყნების შემდეგ ჯერი პოლონეთზე მიდგებოდა. ამის საპირისპიროდ პოლონეთის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

1939 წლის აგვისტოში ყველასთვის მოულოდნელად გერმანიამ და სსრკ-მ ხელი მოაწერეს **„ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს“** (ე.წ. **„რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი“**), რომლის დამატებით, საიდუმლო პროტოკოლში ზუსტად იყო განსაზღვრული ამ ორი ქვეყნის ტერიტორიული ამბიციები აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობის შემთხვევაში. პოლონეთი გერმანიასა და სსრკ-ს შორის უნდა გაყოფილიყო, ხოლო ბალტიის ქვეყნები და ფინეთი სსრკ-ის **„ინტერესების სფეროდ“** ცხადდებოდა.

იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკა XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. ამ ქვეყნის უმთავრესი ინტერესი ჩინეთის რესპუბლიკა იყო, რომლის ჩრდილოეთი რეგიონი, მანჯურია, 1931 იაპონიის მიერ იქნა ანექსირებული და მანშუს პროტექტორატის სახელით მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. საერთაშორისო პროტესტის გამო, 1933 წელს, იაპონიამ დატოვა **„ერთა ლიგა“** და 1936 წელს შეუერთდა **„ანტიკომინტერნის პაქტს“**.

1937 წელს დაიწყო იაპონია-ჩინეთის მეორე ომი. ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ იაპონიას ინდოჩინეთის დაპყრობის საშუალება მისცა. ამის საპასუხოდ **აშშ**-მა და დიდმა ბრიტანეთმა იაპონიას ემბარგო დაადეს და შეუწყვიტეს ფინანსური დახმარება. 1940 წელს იაპონია შეუერთდა **„ბერლინი-რომის პაქტს“**. ემბარგოს გამო იაპონიის ეკონომიკა რესურსების დიდ ნაკლებობას განიცდიდა და იმპერატორის სამხედრო წრე ერთადერთ გამოსავალს ამ კრიზისიდან **აშშ**-სა და ბრიტანეთის წინააღმდეგ ომში ხედავდა.

ომის მიზნები

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი, აღმოსავლეთში **„საარსებო გარემოს“** (გერმ. **„Lebensraum“**) მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდნენ:

1. კავშირი იტალიასა და იაპონიასთან;
2. ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი შედეგების მომტან ე.წ. **„ებრაული მსოფლიო შეთქმულების“** წინააღმდეგ;
3. ანტიბოლშევისტური გამანადგურებელი ბრძოლა აღმოსავლეთში **„საარსებო გარემოს“** მოპოვებისათვის და დაპყრობილი ტერიტორიების გერმანელებით დასახლება.

გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება. **„გერმანია იქნება მსოფლიოში გაბატონებული ძალა ან საერთოდ არაფერი არ იქნება“,** წერდა ჰიტლერი თავის წიგნში **„მაინ კამპფი“**.

დაპყრობილი საბჭოთა კავშირი უნდა დაყოფილიყო სხვადასხვა ოლქებად რაიხსკომისრების მმართველობის ქვეშ. აქედან ბელორუსები, უკრაინელები და ბალტიისპირეთის ხალხები **„საარსებოდ ვარგისად“,** ხოლო რუსები კი **„დაბალ რასად“** იქნენ შეფასებულნი. დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპა დასახლებული უნდა ყოფილიყო გერმანელი გლეხებით და ჯარისკაცებით, ე.წ. **„შეიარაღებული გლეხებით“** (გერმ. **"Wehrbauern"**). ნაცისტური ელიტის განზრახვით აღმოსავლეთ ევროპის ხალხები, მათი სამოქალაქო ელიტის განადგურების შემდეგ, უნდა დარჩენილიყვნენ **„გაუნათლებლები, მორჩილნი და გამრჯე“** და ემუშავათ გერმანიისათვის.

1933 წლამდე ეს იდეები სერიოზულად არავის მიუღია, თუმცა ჰიტლერის პოლიტიკა სხვა არაფერი იყო თუ არა ამ გეგმის ეტაპობრივი განხორციელება. 1936 წლის აგვისტოში მიღებული **„ოთხწლიანი გეგმა“** ითვალისწინებდა გერმანიის არმიის და ეკონომიკის საბრძოლო ვითარებისათვის მომზადებას ორი განსხვავებული ვარიანტისათვის: 1) 1941-1942 წ.წ. – გერმანიისათვის პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არახელსაყრელი ვარიანტი. 2) 1944-1945 წ.წ. – შედარებით ხელსაყრელი ვარიანტი.

1937 წლის 5 ნოემბერს ჰიტლერმა თავისი გეგმები დაწვრილებით და დაზუსტებით წარუდგინა ვერმახტის გენერალიტეტს (იხ. **„ჰოსბახის პროტოკოლი“**).

ომის მიმდინარეობა

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე, ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით. თავდასხმის გამართლების მიზნით გერმანულმა მხარემ მოაწყო რამდენიმე ინციდენტი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო პოლონურ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი „**SS**-ის“ წევრების თავდასხმა 31 აგვისტოს რადიოსადგურ გლაივიცზე, რომლის დროსაც მათ პოლონურ ენაზე ეთერში გადასცეს პოლონეთის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადების ცნობა.

ომის პირველი გასროლა მოახდინა გერმანულმა სასწავლო გემმა **„შლეზვიგ-ჰოლშტაინმა“**. პოლონური არმია რიცხობრივად ვერმახტის არმიის თანაბარი იყო, თუმცა ტექნიკური და საბრძოლო ტაქტიკის მხრივ დიდად ჩამორჩებოდა თავდამსხმელებს. პოლონეთის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო დახმარებაზე, რომელებთანაც მას ე.წ. **„გარანტიის პაქტი“** ჰქონდა დადებული 1939 წლის 30 მარტს. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა 3 სექტემბერს ულტიმატუმი წაუყენეს გერმანიას და მოსთხოვეს ჯარების დაუყოვნებლივი გამოყვანა პოლონეთის ტერიტორიიდან. **„გარანტიის პაქტის“** მიხედვით ინგლის-საფრანგეთს ულტიმატუმის შეუსრულებლობის პირობებში სამხედრო მოქმედებები უნდა დაეწყოთ არაუგვიანეს 15 დღისა. ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ისეთივე ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდნენ პოლონეთის მიმართ, როგორიც ეკავათ გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის და ავსტრიის ანშლუსის დროს. გერმანიაზე თავდასხმას ადგილი არ ჰქონია, მიუხედავად იმისა რომ პოლონეთის ორივე მოკავშირემ – ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა.

17 სექტემბერს პოლონეთის იმედებს წერტილი დაესვა. რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საიდუმლო დამატებითი პროტოკოლის შესაბამისად წითელმა არმიამ მოახდინა პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილის ოკუპაცია. მიუხედავად ამ ძალადობრივი ფაქტისა, ამჯერად, ინგლისს და საფრანგეთს საბჭოთა კავშირისათვის ომი არ გამოუცხადებიათ. იმავე დღეს პოლონეთის მთავრობამ დატოვა ქვეყანა და რუმინეთს შეაფარა თავი. პოლონეთის სამხედრო მარცხი გარდაუვალი იყო.

28 სექტემბერს დაეცა პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა, რომელიც 18 სექტემბრის შემდეგ ვერმახტის ალყაში იყო და განუწყვეტლივ იბომბებოდა. 29 სექტემბერს გერმანელებმა აიღეს მოდინის ციხე-სიმაგრეც.

8 ოქტომბერს ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების თანახმად პოლონეთი სადემარკაციო ხაზის საშუალებით გაიყვეს გერმანიამ და სსრკ-მა. გერმანიამ არა მარტო ვერსალის ზავით დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა, არამედ მესამე რაიხის შემადგენლობაში შევიდა თითქმის მთელი ცენტრალური პოლონეთი, ქ. ლოძთან ერთად. პოლონეთის დანარჩენ ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა გენერალ-გუბერნია.

პოლონეთის დაპყრობას საშინელი შედეგი მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. უფასო მუშახელის იძულებით სამუშაობზე დეპორტირება ყოველდღიურ მოვლენად იქცა. განსაკუთრებით დაზარალდა პოლონეთის ებრაული მოსახლეობა, რომელთა განადგურებაც გერმანული რასიზმის უმაღლეს მიზანს წარმოადგენდა. იდენტურ ღონისძიებებს **„კლასობრივი მტრების“** წინააღმდეგ აღმოსავლეთ პოლონეთში აწარმოებდა საბჭოთა კავშირიც.

პოლონეთზე სწრაფი სამხედრო გამარჯვების შემდეგ დამკვიდრდა ტერმინი **„ელვისებური ომი“** – იგივე **„ბლიცკრიგი“** (გერმ. **Blitzkrieg**) და იგი გერმანიის სამხედრო ტაქტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა 1941 წლის მიწურულამდე.

ბაკურ მორგოშია,
პარიზი
(გაგრძელება იქნება)

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის“

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – **„კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის“** მონაწილენი მივმართავთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საზოგადოებას, მთავრობებს, პოლიტიკურ ორგანიზაციებს მოწოდებით, გვერდზე გადადონ შიდა უთანხმოებები და პირადი ამბიციები, მოახდინონ საზოგადოებრივი ძალების სრული კონსოლიდირება და მთელი ეროვნული ენერგია მიმართონ იქით, რომ არ დაუშვან ვითარების დეტაბილიზაციის გამომწვევი მასშტაბური პროვოკაციები თავის ქვეყნებში, ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური შეცვლა, ჩანავლული კონფლიქტების ცხელ ფაზაში გადაყვანა.

აუცილებელია დროულად და საფუძველშივე აღმოიფხვრას მოსყიდული ადგილობრივი ძალების დესტრუქციული საქმიანობა, რომლებიც გარედან მიღებული მითითებებით **„დემოკრატიული“** ბრძოლის საფრქვეშ უბიძგებენ ჩვენს ქვეყნებს პოლიტიკური უფსკრულისა და ეკონომიკური კატასტროფისკენ. აუცილებელია ყველა არსებული საშუალებით ჩვენი ქვეყნების მოსახლეობის ცნობიერებამდე მივიტანოთ, რომ აგრესიულმა მსოფლიო ძალებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა მსოფლიოს ახალი გადანაწილებისთვის. აშშ, რომელიც ერთადერთ ზესახელმწიფოდ დარჩენას ცდილობს, მსოფლიო რესურსებზე მონოპოლიის დაწესებას ლამობს, ცდილობს თავის ნებას დაუქვემდებაროს მის სამიზნეში მყოფი სახელმწიფოების მთავრობები, არ დაუშვას ისეთი მსოფლიო მოთამაშეების გაძლიერება, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ აშშ-ს. ამისთვის ჩაღდება ომები, ეწყობა სახელმწიფო გადატრიალებები, ნაწევრდება სახელმწიფოები, ერთმანეთს უპირისპირდებიან ხალხები, იღვრება მილიონობით ადამიანის სისხლი მთელ მსოფლიოში.

დღეს დასავლეთმა ფაქტობრივად ომი დაუწყო რუსეთს, რომელიც მისი დასუსტებისკენაა მიმართული. დასავლეთს სჭირდება ცეცხლის ალში გახვეული რუსეთის საზღვრები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება უკრაინის მოვლენები და მრავალი ნიშნის მიხედვით ჯერი ეხლა ამიერკავკასიაზეა. ჩვენ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხალხებმა, საუკუნის ბოლო მეოთხედში არცოუ მცირე სისხლი რომ დავღვარეთ, არ უნდა მივცეთ საშუალება სისხლისმსმელ გარეშე ძალებს ამ ომის კოცონში ფიჩხად გამოგვიყენონ!

დასავლეთისთვის აბსოლუტურად სულერთია აზერბაიჯანიცა და მისი ხალხიც, მაგრამ სჭირდება მისი მილსადენები და კასპიის ზღვის ენერგორესურსები, გასასვლელი დაუმორჩილებელ ირანზე; და სულაც არ მოსწონს აზერბაიჯანის ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, ასევე აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის თავშეკავებული დამოკიდებულება **ნატო**-სადმი. ამიტომ, დასავლეთი აუცილებლად შეშფოთდება **„დემოკრატიის დონითა“** და **„ადამიანის უფლებებით“** ამ ქვეყანაში. ასე იზრუნა მან ერაყზე, ლიბიაზე, სირიაზე... განა ახლა იქ **“სამაგალითო დემოკრატია სუფევს და ადამიანის უფლებებიც რიგზეა”?!**

დასავლეთს სულაც არ ადარდებს სომხეთისა და სომეხი ხალხის ბედი, მაგრამ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა, ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა და საბაჟო კავშირის წევრია, ეს კი ნიშნავს, რომ იქ **„დემოკრატია არ არის“,** ჰომოსექსუალები მთავრობაში არ სხედან, ამიტომ დასავლეთი აუცილებლად დაუჭერს მხარს **„ჭეშმარიტ დემოკრატებს“**, რომლებიც სომხეთს განვითარების სწორ **„დემოკრატიულ გზაზე“** დააბრუნებენ. უახლოეს ხანებში ჩვენ მოწმენი გავხდებით ათასი ჯურის არასამთავრობო ორგანიზაციის, **„სახალხო მოძრაობის“,** მარგინალური პოლიტიკური პარტიების მკვეთრი გააქტიურებისა, რომლებიც მასობრივი არეულობების, სამართალდამცავებთან სისხლისმღვრელი შეტაკებების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების მუშაობის დეზორგანიზაციის პროვოცირებას შეეცდებიან.

დასავლეთი არაფრად აგდებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს, ეს თვალსაჩინოდ გვაჩვენა ბოლო 25 წლის პარაქტიკამ. მაგრამ დასავლეთს სჭირდება საქართველოს ტერიტორია **ნატო**-ს ბაზების, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განსათავსებლად, რუსეთის სამხრეთში დივერსიების მოსაწყობად და კასპიის ზღვაზე და მის ენერგორესურსებზე გასასვლელ კორიდორად. შევარდნაძე აშშ-ის ნების მორჩილი შემსრულებელი იყო, მაგრამ ტერიტორიის მესამედის დაკარგვის შემდეგ ბოლო ხანებში თავისი მორჩილებისათვის ჯილდოს ითხოვდა; ეს არ მოეწონათ ამერიკელ პატრონებს და **„ვარდების რევოლუციაც“** მოხდა.

სააკაშვილი ამერიკელებზე უფრო მეტ ამერიკელობას ცდილობდა, მაგრამ დააფრთხო ისინი თავისი ფსიქიკური გაუწონასწორებლობით; მათ იგი გაცილებით წყნარი პერსონებით შეცვალეს. თუმცა ვითარება იქითკენ მიდის, რომ მალე ამერიკელებს საქართველოში სწორედ ფსიქიკურად არანორმალური მმართველი დასჭირდეთ. ამიტომ მორიგი **„რევოლუცია“** საქართველოში სულაც არ არის გამორიცხული.

ჩვენი ქვეყნები საფრთხეშია! ნებისმიერ მასშტაბურ დესტაბილიზაციას სისხლისმღვრელი კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია, რომელიც მთელ რეგიონს მოედება! მორიგი **„რევოლუციები“** თვით ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების არსებობას ემუქრება!

ადამიანებო, ფრთხილად იყავით!

საქინფორმი

აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი!

ასეთია ჩვენი პოლიტიკური პარტნიორის ნამდვილი სახე – ქართველი ხალხის **„ნამდვილი მეგობარი“,** მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედებით, ან არ გვინდა დავინახოთ, რომ გვკვებავენ ყოველგვარი ილუზიებითა და რეალობას მოკლებული მოსაზრებებით, რომ ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები, მსოფლიო თანამეგობრობა აიძულებენ რუსეთს დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. ეს არარეალურია! რუსული გამოთქმისა არ იყოს, **„იგავ-არაკებით ბულბულებს კვებავენ!“**

კრიზისიდან გამოსვლისთვის საჭიროა ისეთი პოლიტიკური გაერთიანება, ისეთი ურყევი კავშირი პოლიტიკურ ძალებსა და ხალხს შორის, რომელიც იქნება დაინტერესებული არა ცალკეული პირებისა და გარკვეული დაჯგუფების ამბიციებით, არამედ საზოგადოებრივი ინტერესებით – ქართველი ხალხის ინტერესებით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პოლიტიკური ძალებისა და ხალხის ინტერესები უნდა იყოს იდენტური, თანმხვედრი. დღეს ეს არ იგრძნობა, და სანამ საკაშვილის ხელისუფლების ნარჩენი დაჯგუფებები, რომლებიც დანიშნულია ოკეანისგაღმელი მეგობრების მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად, და სანამ ისინი ყმუიან პარლამენტის ტრიბუნებიდან და ტელე-თოქშოუებიდან, ეს შეუძლებელია. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩატარდება ახალი საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლებაში მოვლენ ნამდვილი ეროვნული ძალები და ეროვნული ოპოზიცია. მაშინ გახდება შესაძლებელი თავის დროზე გაყალბებული რეფერენდუმის შედეგების გადასინჯვა და სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ასევე პრობლემატურია, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი არჩევნების შედეგებს ითვლიან და ადგენენ არა ცსკო-ში, არამედ – ამერიკის საელჩოში.

ამის დარეგულირება შეუძლიათ მხოლოდ ეროვნულ გმირებს, ხალხის უპირობო ლიდერებს, ისეთებს, როგორიც იყვნენ ნეტარხსენებული ზვიად გამსახურდია და ნეტარხსენებული მერაბ კოსტავა. მერაბ კოსტავა რომ ყოფილიყო ჩვენს შორის, ვერც ანტიეროვნული ოპოზიცია (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ლანა ღოღობერიძე, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, მამა-შვილი გაბაშვილები და ძმანნი მათნი) გაბედავდა გაჭაჭანებას და ვეღარც ეროვნული ხელისუფლების დამხობას გაბედავდა ვინმე. უკეთ რომ ვთქვათ, ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ ანტიეროვნული ძალები ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის სახით. არ მოხდებოდა ის, რაც დატრიალდა ქვეყანაში მათი მოსვლის შედეგად – არც აფხაზეთი გასხვისდებოდა და აღარც – სამაჩაბლო. მერაბ კოსტავა გამონახავდა გზებს აფხაზებსა და ოსების გულებისკენაც, როგორც თავად ამბობდა, მაგრამ არ დასცალდა. იცოდნენ ეს და ამიტომ მოუსწრაფეს სიცოცხლე ვერაგულად, მუხანათურად, რამაც სასოწარკვეთილებასა და უიმედობაში მოაქცია ქართველი ხალხი. თუმცა, ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ გამოჩნდა ნამდვილი ლიდერი, ნამდვილი გმირი, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს ღმერთმა არ გაგვწირა ბოლომდე და ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახით ქართველ ხალხისა და ქვეყნის მხსნელად მოგვივლინა იგი. მან თავისი სწორუპოვარი ქველმოქმედებითა და მეცენატობით არაერთი სასიკეთო საქმე განასრულა, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც გააკეთა, ეს სააკაშვილის რეჟიმის ლეგიტიმური გზით დემონტაჟია, თუმცა ეს საქმე ბოლომდე ჯერაც მიყვანილი არ არის. კოჰაბიტაციის მეოხებით სხეულის მომაკვდინებელი ბაცილა ჯერაც არ არის ბოლომდე ამოშანთული, რაც მეტად უშლის ხელს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარების, აღმშენებლობის საქმეს, განსაკუთრებით ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სწორად გააზრებასა და გონივრულ დაბალანსებას. აქ ყველაზე სუსტი წერტილი, როგორც იტყვიან – აქილევსის ქუსლი, რუსეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ჩამოყალიბების საქმეა. მართალია, ბატონი ბიძინას აქტიური პოლიტიკიდან ნაჩქარევად გასვლამ გაურკვევლობა გააჩინა ხალხში, მაგრამ, რაც გააკეთა – რაც მოასწრო, იმითაც ოქროს ასოებით შევა ის ქართველი ხალხის ისტორიაში. ბატონ ბიძინა ივანიშვილს აქვს შანსი დაუბრუნდეს პოლიტიკას და ბოლომდე მიიყვანოს მის მიერ დაწყებული საქმეები. მხოლოდ მას გააჩნია ხალხის უსაზღვრო ნდობა და დღესდღეობით მხოლოდ მას ამოუდგება ქვეყნის, როგორც პოლიტიკური სპექტრის პროგრესული ნაწილი, ასევე მოსახლეობა მთლიანად.

დროა გამოვფხიზლდეთ! თავი უნდა დავანებოთ სირაქლემის პოზას პოლიტიკაში, რათა ბერმა და ერმა ერთად ამოიხავლოს: **„გვეყოფა! კმარა! ჩვენ თვითონ მოვუვლით ქვეყნის საქმეებს, გამოვნახავთ გამოსავალს და თავად მოვაწესრიგებთ ჩვენს ქვეყანას; გამოვნახავთ საერთო ენას ჩვენს მრავალსაუკუნოვან თანამოძმეებთან – აფხაზებთან და ოსებთანო“,** მაგრამ ამას სჭირდება, როგორც ითქვა, ერთპიროვნული ლიდერი, რომელიც გაუძღვება ერს, როგორც ეს მოხდა ჩინეთის უახლოეს ისტორიაში – ჩვენ გვჭირდება ჩვენი დენ სიაო პინი, რომელმაც მიუხედავად ოპოზიციის უზარმაზარი წინააღმდეგობისა და გაუთავებელი მილიონიანი საპროტესტო აქციებისა, გაბედა და ცხოვრებაში გაატარა მეტად კომპრომისული, მაგრამ გონივრული ჩანაფიქრი – ერთ ქვეყანაში, სოციალისტურ ჩინეთში შემოიღო საბაზრო ეკონომიკა; ერთ ქვეყანაში შესაძლებელი გახადა სოციალიზმისა და განვითარებული კაპიტალიზმის თანაარსებობა, რითაც შემოიერთა 150 წლის განვმავლობაში დიდი ბრიტანეთის დროშის ქვეშ მყოფი ჰონ-კონგი. საგულისხმოა მისი სიტყვები: **„არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფერისაა ჩემი კატა – მთავარია ის თაგვს იჭერდეს.“** ამ სიტყვებით და გაკეთებული საქმეებით მან უკვდავებაში შეაბიჯა სამუდამოდ. მან ამ გონივრულობით არა მარტო ჩინეთში, არამედ კაცობრიობის ყველა დროის უბრძნეს ადამიანთა შორის დაიმკვიდრა სამარადჟამო ადგილი.

ასეთი გაბედული, ძლიერი ლიდერი სჭირდება დღეს ქართველ ხალხს – ისეთი გონივრულ და კომპრომისების ნიჭისა და ხელოვნების მქონე ლიდერი, რომელიც გამოიყენებს დენ სიაო პინის გამოცდილებას, ასევე გონივრულად გამოიყენებს იმავე ჩინეთის გამოჩენილ ფილოსოფოსის, ლაო ძის შეგონებას: **„დაეთანხმე, დაემორჩილე, რომ დაიმორჩილო!“** და საოცრებამოქმედ რუსთველისეული ტკბილად მოუბარი ენით მოაწესრიგებს რუსეთთან მეზობლურ ურთიერთობას, დაბალანსებს პოლიტიკურ და დიპლომატიურ უნიებს ევროკავშირთან და ოკეანისგაღმელ ჩვენს პარტნიორთანაც.

მხოლოდ ეს გზაა სწორი, თუ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის გაერთიანებაა ჩვენთვის მთავარი და პრიორიტეტულია და არა სხვადასხვა ქვეყნებში უვიზოდ სიარული თუ კანარის კუნძულებზე, ლას-ვეგასში ნებივრობა, დროის ტარება, გრიალი.

დროა ჩამოვყალიბდეთ და ვაკეთოთ ის, რაც გვინდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის გამთლიანებას და მართმადიდებლური კულტურის შენარჩუნება-განმტკიცებას. ჩვენ არ გვჭირდება ამდენი ე.წ. სოროსისეული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, ადამიანის უფლებათა დაცვის მანტიით ლახავენ ადამიანის ჭეშმარიტ უფლებებს – გვთავაზობენ გეებისა და ლესბოსელების აღლუმს, ერთსქესიან ქორწინებასა და ე.წ. **„კუზენ“-„კუზინას“** ურთიერთობის ინსტიტუტის შემოღებას და განმტკიცებას ჩვენს ქვეყანაში. დროა გავახილოთ თვალები და ავირჩიოთ უფრო სწორი გზა. ამ საქმეში, ვიმეორებ, ჯერ კიდევ აქვს შანსი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თუ ბოლომდე იტვირთებს ეროვნული ლიდერის მძიმე, მაგრამ საამაყო ტვირთს და ჩაუდგება სათავეში ხალხს. მას, მხოლოდ მას შეუძლია გაუსწოროს მოვლენათა განვითარებას და გადაარჩინოს ქვეყანა, ისე როგორც ამას აკეთებს გონიერი ბედაური, როცა გარბის წინ, უსწრებს უფსკრულისკენ მიმართულ რემას, ჩაუდგება სათავეში და სულ სხვა მიმართულებით აიყოლიებს და გადაარჩენს მას უფსკრულში გადაჩეხვისგან. თუ ის ამას ვერ შეძლებს, ცნობილ მიზეზთა გამო, მაშინ მან ის მაინც უნდა გააკეთოს, რომ ქვეყნის სათავეში მოიყვანოს არა უსახური და უინიციატივო ადამიანები, არამედ ძლიერი და გაბედული ხალხი, რომლებიც ფლობენ საჭირო, ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების ხელოვნებას, შეუთავსებელთ შემთავსებელი ალქიმიის მცოდნე პიროვნებებს და გონივრული, საბოლოო შედეგზე ორიენტირებულ ნაბიჯის გადადგმას.

ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში დღეს ძნელად თუ მოიძებნება ასეთი ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად რუსეთთან, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არცერთ პოლიტიკურ ძალას, მათ შორის ხელისუფლებაში მყოფს, არ გააჩნია პოლიტიკური რესურსი, რომ რუსეთის ხელისუფლება მათთან დიალოგზე წამოვიდეს და რაიმე სერიოზული საკითხი განიხილოს. აქ ზედმეტია საუბარი აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის პოლიტიკურ წრეებზე, რომელთათვისაც ეს ხალხი კატეგორიულად მიუღებელია. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებსაც ძალუძს იტვირთოს დასახელებული მისია. ერთ-ერთი მათგანია ბატონი ალექსანდრე ჭაჭია – იბერთა მოდგმის მკვიდრი, გონიერი, თავის ხალხისა და ქვეყანაზე ასე უზომოდ შეყვარებული და ერთგული. ის თხემით ტერფამდე ქართველია და მიიჩნევს, რომ საქართველო უპირველეს ყოვლისა, ქართველთა საცხოვრისია. ბატონ ჭაჭიას გააჩნია ქართველი ხალხის პრობლემებისადმი, მის კრიზისიდან გამოყვანის სწორი ხედვა და მიდგომა და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მას გააჩნია სათანადო ბერკეტები ამისთვის – ის ფლობს ნდობასა და პატივისცემას აფხაზი ხალხის ყველა ფენაში. ამავდროულად მიღებულია და სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით რუსეთის ელიტურ და სამთავრობო წრეებში. მას შეუძლია გააერთიანოს ქართველი ხალხის პროგრესული ძალები და ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად იტვირთონ დენ სიაო პინის როლი საქართველოში.

ნაპო მესხია

”დუმის” მილიარდერი დეპუტატი ქართული წარსულით

ქართველი დედისგან ქართული ცეკვის, დღესასწაულებისა და თამადობის სიყვარული ერგო, აფხაზი მამისგან კი აფხაზური დისციპლინა და თავშეკავება.

სოხუმში დაბადებულმა და ბათუმში გაზრდილმა, რუსეთის დუმის დეპუტატმა ოთარ არშბამ, რამდენიმე წლის წინ, ქართველი მილიარდერების ათეულში, 2,5 მილიარდიანი ქონებით, მეცხრე პოზიცია დაიკავა. რუსული **”ფორბსის”** თანახმად კი მისი წლევანდელი შემოსავალი 360 მილიონ რუბლს აღემატება.

მოსკოვში მცხოვრები ოთარ, იგივე თენგიზ არშბა, რუსეთის პარლამენტის ერთ-ერთი მდიდარი დეპუტატია. როგორც მის დეკლარაციაშია აღნიშნული, ფლობს რამდენიმე მიწის ნაკვეთს საქართველოსა და რუსეთში, აქვს ოთხი ფეშენებელური სახლი მოსკოვში, ორი კერძო სახლი კი საქართველოში, ჰყავს პირადი დაცვა, რამდენიმე ძვირადღირებული ავტომანქანა, არის დაახლოებით 10-მდე მსხვილი კომპანიისა და რამდენიმე მედიასაშუალების აქციების მფლობელი, მათ შორის ტელეკომპანია **”ტვ მოსტის”** 50%-ის.

რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 2007 წლისთვის ოთარ არშბა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი დეპუტატობის კანდიდატი იყო, რომელმაც სამი წლის განმავლობაში, სამ მილიარდ რუბლზე მეტი გამოიმუშავა. მიმდინარე წელს კი ის ყველაზე მდიდარი დეპუტატია სვერდლოვსკის ოლქიდან.

59 წლის ოთარ არშბა სოხუმში, აფხაზი მამისა და ქართველი დედის ოჯახში დაიბადა. კითხვაზე, ვინ ხართ ეროვნებით, არშბა პასუხობს, რომ რუსეთის მოქალაქეა.

”დედისგან ცეკვისა და ლამაზი დღესასწაულების, თამადობის სიყვარული მერგო, მამისგან კი აფხაზური დისციპლინა და თავშეკავება. ვფიქრობ, რომ ამ ორი კულტურის შერწყმამ სასურველი შედეგი გამოიღო”, – აცხადებს არშბა.

ბავშვობის წლები ბათუმში გაატარა, ზაფხულობით კი ხშირად სტუმრობდა მშობლიურ აფხაზეთს და არდადეგებს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბედიაში ატარებდა. მკაცრი აფხაზი ბებია შვილიშვილს ყოველდღე შეშის ჩეხვასა და საქონლის მოვლას ავალებდა. სწორედ ბედიას უმადლის ოთარ არშბა, რომ ადრეული ასაკიდანვე გამოიმუშავა შრომის სიყვარული.

ბათუმის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ არშბების ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, ახალგაზრდა ოთარი კი მამის კვალს გაჰყვა – სწავლა სპეცსკოლაში გააგრძელა.

იგი ძალიან ადრეულ ასაკში **”გავიდა პენსიაზე”** – 1994 წელს ოთარ არშბამ ახალი პროფესია აირჩია და მოსკოვის საერთაშორისო საფინანსო-საბანკო სკოლა დაამთავრა. ბიზნესსკოლის დამთავრების შემდეგ, მან ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში სპეციალიზება დაიწყო. 2003 წელს ოთარ არშბა რუსეთის დუმის დეპუტატად აირჩიეს პარტია **”ერთიანი რუსეთიდან”.** 2007 წლიდან მეხუთე მოწვევის რუსეთის პარლამენტის დეპუტატია.

დროთა განმავლობაში, პოლიტიკოსის კარიერის პარალელურად, ოთარ არშბა თავის პირვანდელ პროფესიას – ეთნოკონფლიქტოლოგის სპეციალობას დაუბრუნდა და ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემებზე მუშაობა დაიწყო.

რუსეთის დუმის მილიარდერი დეპუტატის სახელი ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთ-ერთი უმსხვილეს რუსულ სამთო-მეტალურგიულ კომპანიასთან, **”ევრაზჰოლდინგთან”.** საერთაშორისო კვლევითი ცენტრის **International Iron and Steel Institute**-ის მონაცემებით, **”ევრაზ ჯგუფი”** (ყოფილი **”ევრაზიაჰოლდინგი”**) მსოფლიოში მე-14 უმსხვილესი კომპანიაა მეტალურგიის სფეროში და რამდენიმე წლის წინ მისი კაპიტალიზაცია 42 მილიარდ დოლარს შეადგენდა. სხვა აქციონერებს შორის, **”ევრაზ ჯგუფის”** ერთ-ერთი მსხვილი აქციონერია რომან აბრამოვიჩიც.

დუმის დეპუტატობასთან ერთად, ოთარ არშბა დღემდე კვლავ რჩება **”ევრაზ გრუპის”** დირექტორთა საბჭოს წევრად.

რაც შეეხება საქართველოში, კერძოდ კი ბათუმში ოთარ არშბას ბიზნესცენტრებს, არაოფიციალური მონაცემებით ცნობილია, რომ ბათუმში სავაჭრო სახლის, სასტუმროსა და რესტორნების ქსელის მფლობელია მისი მეუღლე მარინა ზენაიშვილი. დეპუტატის მეუღლის სახელს უკავშირდება ასევე **”სახალხო აფთიაქის”** და ყოფილი **”სახალხო ბანკის”,** ამჟამად კი **”ლიბერთი ბანკის”** აქციების გარკვეული წილი.

სხვადახვა წყაროების თანახმად, მარინა ზენაიშვილს ეკუთვნის ბათუმის მრავალპროფილიანი სავაჭრო ცენტრიც, რომელიც 2008 წელს მიხეილ სააკაშვილმა გახსნა.

ბატონ ოთარს და პროფესიით ოფთალმოლოგ მარინა ზენაიშვილს 25-წლიანი თანაცხოვრება აკავშირებთ. ჰყავთ ქალვაჟი, რომლებიც დაოჯახებულები არიან. როგორც თავად ოთარ არშბა ამბობს, ოჯახი მისთვის ერთადერთი საყრდენია, რომელიც ძალასა და სტიმულს მატებს. ბიზნესის გარდა, ცოლ-ქმრის საერთო გატაცება შინაური და გარეული ცხოველებია – არშბების ოჯახი რამდენიმე ცხენისა და ძაღლის პატრონია. გარდა ამისა, აქვთ საკუთარი ზოოლოგიური პარკი, რომელშიც ბინადრობენ ლომები, სხვა მტაცებელი და ეგზოტიკური ცხოველები. თავად ოთარ არშბას კი მუსიკის, ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის სფეროში პროდიუსერობა იზიდავს. თუმცა მის ყველაზე დიდ გატაცებად სპორტი, უფრო მეტად კი ფეხბურთი რჩება.

სპორტის ეს სახეობა მისი ბავშვობის ყველაზე დიდი გატაცება იყო. 8 წლისა **”დინამოს”** ბავშვთა კლუბში აიყვანეს, რამდენიმე წელიწადში კი ფეხბურთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. თუმცა, როდესაც არჩევანის წინაშე დადგა – ფეხბურთი თუ კარიერა, ოთარმა მამის გზა აირჩია...

მ. ჯავახიშვილი

ერნესტ ჰემინგუეი

თეჟ, მიჩიგანს

ჯიმი გილმორქ კანადაშე დიკორთ ჰორტონს-ბეიშა დო რჩინგ ჰორტონიშ ოჭკადგრე ქიყიდგ. დაბალი, უჩა-უჩა კოჩი რდგ ჯიმი, დიდი ოშგმეში დო დიდი ხელეფი უღუდგ. ცხენეფიშ ჭკადუას გორწაფილ რდგ, მარა ფოტამიკოკირილო ხოლო მუთა უგუდგ იშენშენ ჭკადგშა. ოჭკადგრეშ ჟიდო მილარედგ დო ოჭკომალს დ.ჯ. სმითიწკგმა ჭკომუნდგ.

ლიზ კოუტსი სმითეფს გეურედგ მოინალეთ. მისის სმითი, ძალამო შხუ დო სასია ოსური, ირო ლიზიშ ცქვაფას რდგთეჯგურა წკარწკანტა ძღაბი ასეშახ ვა მიძირუნია. ლანდარჯგურა კუჩხეფდ უღუდგ ლიზის, ირო წკანტილი, ღოზეფამ აწაფორალდ მიკაკირგდგ დო ჯიმიქ მოსანჭგ თენა ირფელი, თუმა ხოლო ირო სქვამას აფუდგ გემარგებული კოფეშა. თიშ სახე ხოლო მოწონდგ ჯიმის, თიშენ ნამდა, ხიარულ სახე უღუდგ, მარა ბრელ ხანით დღას ვა უფირქებგ თე ოსურშე.

ლიზის ძალამო მოწონდგ ჯიმი. ირფელ მოწონდგ თიში – გილულა ხოლო, მუ შვანც ოჭკადგრეშე გიმილენდგ დო ცუდეშა მიშგნ; მუდაშახ გეურინ ლიზის საბზადიშ ხიბაწკგმა, ოჭკადგრეშე მუმალდ ჯიმიშა ქოუჯინუდგკონდ. ოშგმეშით მოწონდგ. ძიცაშ შვანც კიბირეფი ჩეთ გითარზანდგნ. ძალამო მოწონდგ, ჭკადგს შურო ვაგგდგნ. თინა ხოლო მოწონდგ დ.ჯ. სმითიქ დო მისის სმითიქ თაშ ქიყოროფუეს თინანდ. ართშახ, ოზეს ხე დო პიჯის იბონდგ ჯიმი დო ლიზის თიქით მეწონგ, უჩა თუმათ აფუდგ ხე ფორილინდ დო ჩხანათ გინოჭვილც ჟი ჩე კილე მოუჩქუდგნ. დო თენა ქიგინგნ, ხათე დეონჯღორუუ. ჰორტონს-ბეი დაბა რდგ, ხუთი მახორუშე აკოდგინელი დო თარი შარას იდვალუაფგდგ, ბოინ-სითი დო შარლევუაშ შქას: ართი დუქანი, მაღალი, ნასასურა ცვამი ფოშტაშ ნოდგგმი, ნამუშ წოხოლე ირო გედგუდგ მიდგარენიშ ფურგონი, სმითიშ ცუდე, სტრაუდიშ, დილუორთიშ, ჰორტონიშ და ვან ჰუსენიშ. თე ცუდეეფი ცეეონს აშადგგდგ, შარა ფსილათ რდგ ფორილი. შარაშ ართ განს ფერმეფი უღუდეს, მაჟირა განი ტყათ რდგ ფორილი. დაბას მიკაჩირთგდინ, მეთოდისტეფიშ ოხვამე გედგგდგ დო ჭეთ მოჩილათირო, მოპიჯე განს – ჭითათ ღაფილი ოჭკადგრე სკოლაშ წოხოლე წგმოდგგდგ. ტყაშა გოჭკირილი, ფსილამ შარა სუკის გინმიშგ დო ლუბაწკგმა ითებუდგ. სმითეფიშ უკახალენ აბარწაშე გეგნიჯინედითინ, თოლოწონდეს გენგაფაჩუდეს დიდი ტყა, ნამუთ ტობაშახ ონჭგდგ დო ლუბაშ მანგას მიშგ. დიდებუან ოძირაფუ რდგ თაქიანობა გიშულირც დო ზარხულც, ლუბა ლენიშფერო ვალგნდგ, შარლევუაშე დო მიჩიგანშე მულირდ მასქური პოპორეფც დოუქაქალუანდგ დო კონჩხიშ მანგას ჩეთ გეფაჩგნდგ. სმითეფიშ უკახალენდ აბარწაშე ლიზი ორწყედგ ბოინ-სითიშა მიმალ, მადენშე ეშნაღელი მეკონეფით ხარგელ ბარჟეფიშ სქერესქენს. თეიშახ ლიზი გერედგ დო უჯინედგ, ბარჟეფი ითამ ართ აბანშე ვექანცუანდეს, მარა საბზადშა მინილენდგ დო ართ-ჟირ სენც გორჩხგნდგნ, კინორთელს, ვა დოხვადგდგ თი ბარჟეფი, კონჩხის ქიმკაფორუდეს ეშობას.

ასე ირიათო ჯიმი გილმორშე ფირქენდგ ლიზი. ჯიმი ითამ შურო ვარწყედგ თის. მინშა ოჭკადგრეშე ეჩიებუდგ დ.ჯ. სმითის, მინშა რესპუბლიკურ პარტიაშე ქოდუგოთანდგ ზიტყვას დო მინშა ჯეიმს გ. ბლეინშე. ონჯუა ბორჯის, ვარდა წოხოლენ სენას ხედგ დო ლამპაშ სინთეს „ტოლედო ბლეიდის“ დო „გრანდ რაპიდსიშ“ გაზეთეფს კითხულენდგ, ვარდა ტობაშა მიდეშ ოჩხოშუშა, დ.ჯ სმითიწკგმა ართო. დამორჩილს სმითიქ, ჩარლი უაიმანქ დო ჯიმიქ ფურგონი დოხარგეს, ჟიდო კარე, ორზოლი, არგუნეფი, თოფეფი ქიგიონწკარეს, ჟირ ჯოღორი მიდეყონეს დო ვანტერბილტიშ ფიჭვონშა ინჭეს ერემეფიშ ოჯინუშა. თელ ოთხი დღას ონწყუნდეს ლიზი დო მისის სმითი თინეფიშ ორზოლს. ლიზის ოკოდგ ჯიმიშო გიშაგორილ მუთუნდ გემუანი დუჭუდუკონდ, მარა ვა მახუჯინგ – ონჯღორექ დაგურგ მისის სმითიშა დო მარქვალეფი დო ქვირი ვათხუ, მუშ ფარათ ხოლო ვაგაბედგ ციდირი – ჭუალა ბორჯის დუც ვეგმოდირთასია მისის სმითიქ დო. ვარდა მუთუნს უწინდუო მისის სმითი, მარა ლიზის იშენით მორდებაქ აშუ.

სონდარო ჯიმი ერემიშ ოჯინუშა რდგ ულირინ, ლიზი ირო თიშე ფირქენდგ. ძნელქ აცუ თიშ უმშო რინაქ. ირ წუნს ჯიმიშე ფირქენდგ, რულქ გეუგემურგ, მორო ჯგირი რდგ თიშე ფირქი, შურც მუთმუდგუნდგ. ჯინუაშე დორთაშ წოხოლენ დღას ლურქ შურო ვამკანჭგ. თაშ მეთონგ მუს, შურო ვადომირულუაფგნია- ებორჯგ გვალო: მინშა ოსისმარგდგ, ვა ბლურცია, მინშა დასურო ვა ლურდგ. ფურგონი ქოძირგ შარასგნი, შურიშ ღალაქ გაუჩენდგ, გურქ ეჩქიჩქარგ. ართ შურდ უხედგ, სოიშახ ჯიმის ძირგნდგნ. რახან დირთგნ, ანწდ მუთა მიჭირსია, ფირქენდგ. ფურგონი დიდ ცგშ თუდო გაჩემეს, მისის სმითიქ დო ლიზიქ აწაზადუშა გიმილეს. კოჩეფც ფრიმულ მორდუდეს, ფურგონს სუმ ერემი გერაგუდგ, კეტიაცალო ჭიფანა კუჩხეფი გალე გითუჩხირკანდეს. მისის სმითიქ ქომონჯს ქაჯუნგ დო ქომონჯქ ხოლო გურშა ქიხუტოლუ. ჯიმიქ ლიზის ქოდუძახგ: „გომორძგუა, ლიზი“ დო გოუძიცუ. ჯგირო ვა უჩქუდგ ლიზის, ჯიმი დირთუდუნ თიმწკუმა, მუ მოხვადუდუნ, მარა მუდგაქ რენ ოკო ქომოხვადგკონდ თეშე დარწუმებული რდგ. მუთუნ ხოლო ვა მოხვალამე. ცუდეშა დირთეს ჯინუაშე, თენა რდგ დო თენა. ჯიმიქ გინოფორაფილი ტომარეეფი გეგნონწყგ ერემეფც დო ლიზიქ ნაჯინუს ქოგიოჯინგ. ართ დიდ ხოჯერემი დოუცვილგდეს. თეშ გოჩიკინაფედგ, ძიუთ გითიღეს.

– სი ცვილიო, ჯიმი? – ქოკითხგ ლიზიქ.

– ქო, ხომ სქვამ ქორე?! – ჯიმიქ ერემი ოჭიშიშა ქიგნიყოთ დო ოშხაშხეშა მიდეღგ.

თიმ სერც ჩარლი უაიმენქით ქგდოსქიდგ სმითეფწკგმა ოსერიშეთ. უკვე ჯგირო ეკოსერელედგ დო შარლევუაშა ულა ვა ღირგდგ. კოჩეფქ ხელეფი გიბონეს დო წოხოლენდ სენაშა მინილეს, სოდეთ ოსერიშეშ ხაზირუას უჯინედეს.

– ორკოლს მუთუნქ ვენოსქიდუო, ჯიმი? – ქოკითხგ დ.ჯ. სმითიქ.

ჯიმიქ გედირთგ, ხულაშა მიდართ დო ფურგონშე ვისკიშ ორკოლი მალეჯუმუ, ნამუთ ჯინუაშ ფარანც იშო აფუდეს ღალირინ. ოთხგალონამ ორკოლი რდგ დო ქვინჯის ჭიჭე ვისკი ხოლო ქინოსქილადედგ. ცუდეშა მინოღალაშახ ჯიმიქ გვარიანო გამუნოშვგ. ძნელი რდგ თეშ მადიდა ორკოლშე შუმა. აკაბინალც ქიგნაწუ ვისკიქ. ორკოლით ქოძირეს ჯიმინ, სმითის დო ჩარლი უაიმენს გაძიცინეს. სმითიქ ჭირქეფი მითხუ დო ლიზიქ ქიმიღგ. სმითიქ სუმი დიდ ჭირქა გაფშგ.

– სი გოიმორძგვას, სმითი- დოხვამუ ჩარლი უაიმენქ.

– თი სქანი ხოჯერემიშ ღღაგინძაში ქორდას, ჯიმი – უწუ სმითიქ.

– ნამუსით ტყვია ევოჩილითეთგნ, თინეფც გოუმორძგვას,– თქუ ჯიმიქ დო გეშაყურწგ.

– გოსოფური მუდგარენ რე.

– წამალც ვემიართე, მუთუნ ქაჭგ კოცდა.

– თითო-თითო ხოლო ვაფშვათო, ბოშეფი? – სი გოიმორძგვას, სმითი.

– ჭვეთი ვენიბტუათ, ბოშეფი.

– ჩქინ ანწიან ჯინუას გოუმორძგვას.

ჯიმიქ ჭიე-ჭიეთ გეხიარულ. ვისკიშ გემოთ უცორდგ დო თინა ხოლო, უკულდ ჯგირი ეღების გედირთგდგნ. ქომონარტებუდგ ცუდეშა დორთა, ლიბუ ონჯირე, ჩხე ოჭკომალი დო მუშ ოჭკადგრე. ართდ ჭირქა ხოლო გეშვგ. ოსერიშეშა გვარიან ელახათირებულეფქ მერთეს კოჩეფქ, მარა დუდ ქომოლურო უკებუდეს. ლიზიქ სუფრა გოფაჩგ დო მუქ ხოლო ქგდოდოხოდგ ოჭკომგშა. გოსოფურ ოსერიშე დოუზადუდეს. ქომოლ კათა თელ სერიოზულობათ ჭკომუნდგ ოჭკომალს. ოსერიშეშ უკულდ კოჩეფქ კინი წოხოლენ თოლშა გემნორთეს, მისის სმითიქ დო ლიზიქ სუფრაშ ენწყუალა ქიდიჭყეს. უკულდ მისის სმითიქ ჟიდო ეშელგ, მუშ სენაშა დო მალას მისტერ სმითიქ ხოლო ქეკაღუნ. ჯიმიქ დო ჩარლიქ კინი წოხოლენ თოლს ქიმლასკიდეს. ლიზიქ ფეჩქიწკგმა ქეკოდოხოდგ, საბზადის დო წინგი გეჭოფგ, ითამ კითხულენდგ, ვარინ ჯიმიშე ფირქენდგ. ვედინჯირგ, უჩქუდგ, ჯიმი გემკიშგნ და ართშახ ხოლო ქოვოკინდუანქია თოლც, იფირქ, უკულდ თე გოშინას დანჯირუშა გემნიჯუმანდგ.

განწარებულო ფირქენდგ ჯიმშე დო ჯიმიქ ხოლო გამკორთ. თოლეფი ამარმალუდგ, თუმა ონდეთ აკობანძღუდგ. ლიზიქ წინგის ქიმკაჩემგ თოლი. ჯიმიქ მიკულუ დო დახვენჯის უკახალე ქიმკაპონ. ლიზის თიშ შურიშ ღალა არჩქილედგ. უკულდ ხელეფით ქუგაკირგ ჯიმიქ. ლიზის ძუძუეფქ გამბარგ დო დეკვარკვალგ, ჯიმიშ კითეფშქას ძუძუეფიშ კითეფქ გემანგარგ. ლიზის აშქურინგ, დიო კოჩიშ ხე ვა მიკოდვალუდგ. მარა იშენით იფირქ: „აჰა, ხომ ქგმორთ – ხომ ქგმორთ დასურო!“

შქურინიშ გეშა გვალო გისქანჩგ ლიზიქ, ვა უჩქუდგ, მუ უღოლამუდუკონდ, უკულდ უმოს მანგარო ქომიკიხუტოლუ ჯიმიქ დო ქაჯუნგ. თიჯგურა ნწალე დო ჭუათ ეფშა ღიაბი რდგ, ვა გუმარზინენია, ლიზიქ იფირქ. დახვენჯიშ უკახალე ხოლო გინაფულენდ ჯიმიშ რსხულს, ვა გუმარზინენია, ოშქურუდგ. უკულდ მუდგარენქ ქინოხორცქ დინოხ დო ლიბუ ღიაბიქ ქგმაკათგ. ჯიმი უმოს მანგარო დო მანგარო იხუტოლუანდგ თის დახვენჯამ დო ასე ლიზის ხოლო ოჰამუდგ თენა. უკულდ ჯიმიქ ქოდუფუცქინუ: „მოლა, გიბლათ“.

ლიზიქ საბზადიშ მიკაბუნაფალშე მუშ პალტო გემკონწყგ დო შოშეშა გიმილეს. ჯიმის ხე აფუდგ ხუტოლაფირი, ირდ ნობიჯგიშ გინოდგგმას გგთმაჩენდგდეს, ართიანს ოხუტოლუდეს დო ჯიმი ჯუნუნდგ. უთუთალე სერი რდგ დო თინეფქ ტყაშა გემშართეს, ფსილამ შარათ ონიშოლიშ დო ოწკარუეშ განშე მიშეს, კუჩხი ფსილას ანდუდეს. წყარი ხაბიჯგეფც უნარქუანდგ, ლუბაშ მანგას დინოუჩარებული კონჩხი მოჩქგდგ. ჩხურუ რდგ, მარა ჯიმს ხუტოლაფირი ლიზი ტიბას ორდგ. ოწკარუეშ ხულას ქოდოდოხოდეს დო ჯიმიქ ლიზი ქიმკიხუტოლუ. ოსურს ოშქურუდგ. ჯიმიქ ართდ ხე კაბაშა გენუდგ, კიდირს ქოდუჯღინჯღოლუ დო მაჟირა ხე ბირგულეფც ქიგედგვგ. ლიზის ძალამო აშქურინგ, ვა მეხვალამედგ, მუ ულამუდგ ჯიმისინ, მარა მუქით ქახუტოლგ. უკულდ ბირგულც თაშნე მონკათ გედვალირ ხექ ჟიშე გეშანჩურგ, განთხიშა ქიმიოჭირინუ დო უმოს ჟი ხოლო ქომიაცუნ. – გაჩენდი, ჯიმი – უწუ ლიზიქ. ჯიმის ხოლო მეუღუდგ ხე.

– ვარ, ჯიმი, ვა ქიმინა თენა – ვართ ჯიმის მეუჩამგ თე ზიტყვეფშა თოცუჯი, ვართ ჯიმიშ დიდი ხეს.

ფიცარიეფი მანგარი რდგ, ჯიმიქ კაბა გეუკინ ლიზის დო მუდგარენიშ ღოლამა ილამუ. ოსურს ოშქურუდგ, მარა მუს ხოლო ოკოდგ თენა. მუს ხოლო ოკოდგ, მარა ოშქურუდგ.

– ვა ღოლა, ჯიმი. თენა ვა ღოლა.

– ვარ, ვა ჩეგეთხიებუქ. სით ხომ ქოგიჩქ, თაშ უჯგუნდ.

– ვარ, ვა გოკო, ჯიმი. ვა ღოლა, ვეშილებე. ვა მიწყუნუა, მუს ორთუქ. ო, ჯიმი, ჯიმი, ო.

კონიოშ ფიცარიეფი მანგარი, ხოშქორამი დო რგილი რდგ, ჯიმი მონკას მუნოჯანუდგ დო ლიზის ძალამო აწყუნგ თეშ გეშა. ქოდუჯიკუ ოსურქ, მობურაცილ ჯანგდგ. ჯიმის ქგდორულაფუდგ. ვა დაქანცინ შურო ლიზის. ჭიე-ჭიეთ გეგთოოხოხ, გემწოდოხოდგ, კაბას დო გინაქვენჯის ქოგუფართხუ დო თუმაშა ხე ქიგნისვგ. ჯიმის ლურდგ, პიჯი ონდეთ გონჯამილი ქგდოსქილადგდგ. ლიზიქ გეგნიკინ დო ცალს ქაჯუნ. ასე ხოლო ვა გოკურცხინაფე. ლიზიქ დუდის ეშე გეუკინგ დო ონდეთ ქოდუჩაკალუ. ჯიმის ხასლაშა გეგნუოლგ დუდქ დო ლერჭყვა გეგნოყინტგ. ლიზიქ ნგარა ქგდაჭყგ. წყარპიჯიყურე ქიგდაცუნ შარას დო წყარს ქიგნაჯინ. კონჩხიშ ცურე ნირსის მალურთუმუდგ. ჩხურუ რდგ, გური აბათქალუდგ დო გინაფულენდგ, ირფელქ გეთუნ თის. ჯიმიშა დიირთგ დო ხოლო ართშა ქოდუქანცუ. ხოლო ინგარდგ.

– ჯიმი – ეჩიებუდგ თინა – ჯიმი, მიკიჯინ, ჯიმი.

ჯიმიქ ქოდიქანცუ დო უმოს უჯგუშ ხუც ქოგინჯირგ. ლიზიქ გინაქვენჯი გემკიყოთ დო ქომუნაფორუ, თხილას დო გურგედვალირო გოქუნგ. უკულდ ონიშოლს ქელაცუნგ დო ფსილამ შარას ეკი ქოგიაცუნ, ცუდეშა ინჭუ დარულაფუშა. ტობაშე ეკულირ ნირსით თელ ტყა გეგნოფორელედგ.

გინმათანგალი:
გიორგი ხულორდა

პოეზიის კუთხე

მეგრულის ენციკლოპედ მირიან ჯალაღონიას

მეგრულის ენციკლოპედო
მირიან ჯალაღონიავ!
მზის ხილვა არ მოგეშალოს,
მოგეცეს ძალა, ღონეა!

ღმერთების ენა მეგრული
ფერადად აგმძივებია,
ცხოვრების ტვირთის ტარება
წამითაც არ გმძიმებია.

მეგრელთა მეგრული ენის
მცოდნე ხარ სიმთა ნოტაზე,
ღმერთმა ბევრი წლები მოგცეს
გარანტირებულ კვოტაზე.

ღმერთთან და ანგელოზებთან
საშუამავლო კაცი ხარ,
სიკეთის ეტალონ სწორი
კაცთაგან კაცთა ფასი ხარ.

რადგან ღმერთი გაქურუმებს,
იმის თვალთა არეში ხარ,
სიტყვის ქურა-საბურველით
ღმერთის კარის ფარეში ხარ.

დადიხარ,– სიკეთეს თესავ,
ჩუმად ხარ,– სიკეთეს აფრქვევ,
დიდ კოლხთა შთამომავალო,
ღმერთი ზეციდან ხელს გართმევს.

დიოგენე რომ ეძებდა

პატიოსნების უღელი
კისერზე ადგას გვარითვე,
უშურველი და უმწიკლო
კაცის ღირსება გავრითმე.

მირიან ჯალაღონია
ეტალონია კაცობის
და შინაგანად მაღლდებით
ამ პიროვნების გაცნობით.

დიოგენე კაცს ეძებდა
ანთებული ფარნით დღისით.
ამ გაგებაში მირიანს
მივიჩნევთ და არის ღირსიც.

მურთაზ ჯანჯღავა

ემირ ბურჯანაძე

77 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ქართველი მხატვარი, მონუმენტალისტი და გრაფიკოსი, ხობის საპატიო მოქალაქე ემირ ბურჯანაძე. მხატვრის მრავალწლიანი შრომა წიგნის და არა მარტო წიგნის გაფორმებასთან იყო დაკავშირებული. ქართულ დიზაინში პირველი ეროვნული საფირმო, სასაქონლო და სარეკლამო ნიშნები, სხვადასხვა ტიპის სიმბოლური ემბლემები სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა. იგი სატიტულო, სარეკლამო და საპროექტო ქართული მხატვრული შრიფტების ავტორია, შექმნილი აქვს ქართული ჩართული ანბანის (მონოგრამების) სრული ციკლი, ღერბები და ემბლემები. ემირ ბურჯანაძემ შრიფტის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია დააარსა, რომელსაც 2004 წლამდე თავად ხელმძღვანელობდა.

ემირ ბურჯანაძე საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისადმი და ქრისტეშობის 2000 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო 10-ლარიანი მონეტის შემქმნელია. იგი თბილისის გერბის, დროშისა და სიმბოლიკის ავტორია – 1970 წლიდან მხატვარი მუშაობდა თბილისის სიმბოლიკაზე: თბილისის ღერბი და ღერბის ვარიანტები, თბილისის დროშა, თბილისის გასაღები, თბილისის სიმბოლო, თბილისის საპატიო მოქალაქის მედალი და დიპლომი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პირადი ნიშნები, ორდენი და სხვა. 2005 წელს ემირ ბურჯანაძე თბილისის საპატიო მოქალაქე გახდა.

ემირ ბურჯანაძე გახლდათ ხობის საერთაშორისო ფესტივალის – **„სიმღერა სამეგრელოზე“** საორგანიზაციო ჯგუფის უცვლელი წევრი, ფესტივალის სიმბოლიკის ავტორი, 2011 წლიდან კი – ხობის საპატიო მოქალაქე.

დამსახურებული ხელოვანი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 21 სექტემბერს დაკრძალეს.

საქინფორმი: ღარიბაშვილის, ჭიკაიძისა და ნარმანიას მიმართ თბილისელების უკმაყოფილების გამოსაწვევად „სითი-პარკმა“ საბოტაჟი დაიწყო, რომელშიც მავნებლებიც მონაწილეობენ ამჟამინდელი ხელისუფლებიდან!

საქინფორმის ღია წერილი თბილისის მერს დავით ნარმანიას

ბატონო დედაქალაქის მერო!

მას შემდეგ, რაც თქვენ ამხილეთ **„სითი-პარკი“**, რომელიც წლების განმავლობაში თბილისში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს ძარცვავდა და კორუმპირებულ გარიგებაში იყო წინა ხელმძღვანელობასთან, **„სითი-პარკი“**, იმის ნაცვლად, რომ გამოიყენოს თქვენ მიერ მისთვის მიცემული ერთი თვე ცოდვების გამოსასწორებლად, ჩაერთო სააკაშვილის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით დაწყებულ საბოტაჟში, რომლის შესახებაც შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ ღიად განაცხადა.

კერძოდ, მოსახლეობაში პრემიერ ღარიბაშვილის მთავრობით, პირადად ჭიკაიძითა და თბილისის ახალი მერის უკმაყოფილების გამოსაწვევად **„სითი-პარკი“** აიძულებს ყველას, ვინც ავტომანქანებზე სანომრე ნიშნებს ახლით ცვლის, თავიდან ქავთარაძის ქუჩაზე წავიდეს, **შსს**-ს სერვისცენტრში, მერე ბანკში გადაიხადოს 6 ლარი, რათა მიიღოს ცნობა სანომრე ნიშნების შეცვლის შესახებ, შემდეგ კი ამ ცნობით წავიდეს **„სითი-პარკის“** ოფისში კანდელაკის ქუჩაზე, რათა ჩააბაროს იგი და გადაიტანოს უწინ გადახდილი **„სითი-პარკის“** ნებართვა ავტოსადგომზე დგომისათვის თავის ახალ ნომერზე.

განა არ შეიძლებოდა, რომ შსს-ს სერვისცენტრიდან რუსთავში ინფორმაცია ახალგაცემულ ევროპული დიზაინის ნომრებზე ავტომატურად, ინტერნეტით გადაგზავნილიყო **„სითი-პარკში“**?! რა თქმა უნდა, შეიძლება! და იცით, რას ამბობენ უკვე ქალაქში?

„ისევ დაბრუნდა შევარდნაძისა და სხვადასხვა ცნობების დრო! მიშას დროს ასეთი რამ არ ყოფილა! გამოიგონეს ახალი ევრო-ნომრები, რათა ცარიელი ხაზინა შეავსონ! დაე, ჯერ ევროპული ხელფასები და სამუშაო მისცენ! თავიდან ჭიკაიძემ გვაიძულა მთელი დღეები რიგში ვმდგარიყავით რუსთავში, რათა ახალი ნომრები აგვეღო, ახლა კი „სითი-პარკი“ გვაიძულებს, ცნობებზე ვირბინოთ და მათში ფული გადავიხადოთ! ჯანდაცვის მინისტრმა კი გვაიძულა რეცეპტებისათვის პოლიკლინიკებში ვირბინოთ! ესე იგი, ისინი ყველანი გარიგებული არიან! მიშა მაშინვე მოხსნიდა ყველას! მალე კიდევ ტექდათვალიერებაზე სიარულს გვაიძულებენ, რომლისგანაც სააკაშვილმა გაგვათავისუფლა, და ავტომანქანის დაზღვევას! ტექდათვალიერებას ვერავინ გაივლის, თუკი კატალიზატორს არ დააყენებს, რომელიც ასობით დოლარი და ევრო ღირს, პლუს თვითონ ტექდათვალიერების ღირებულება და აუცილებელი დაზღვევა!“

ახლა გვიპასუხეთ, ბატონო დავით – მარტო სააკაშვილი აწყობს საბოტაჟს და საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს, თუ ამას ხელს უწყობენ ამჟამინდელი ხელისუფლების ზოგიერთი ვაიხელმძღვანელი – თქვენი მეგობრები და კოლეგები, სულ რაღაც ერთ წელიწადში ქართველ ხალხს თავი **„ნაციონალებზე“** მეტად რომ შეაძულეს?!

საქინფორმი

გვანჯი დარასელიას წერილი ბატონ ნაპოლეონ მესხიას

ბატონო ნაპო, მე ვიყავი ის ერთადერთი ქართველი, რომელიც სულ აფხაზების გვერდით იდგა ჭირშიც და ლხინშიც. სამაგიეროდ ისინიც დიდი პატივსცემით მექცეოდნენ. მათი თანამდებობის პირები ყველაფერში მეხმარებოდნენ, ყველა მიცნობდა, ყველას ვუყვარდი. ხშირად დავდიოდი მათთან და კარებს რომ შევაღებდი ადგებოდნენ და მიმიპატიჟებდნენ. მახსოვს ერთხელ ს. ბადაფშმა მითხრა, გვანჯი შემოდი ვისაუბროთო. მეც ვთანხმდებოდი, მაინტერესებდა აფხაზების მომავალი ბედი როგორი იქნებოდა. ერთხელ საუბრისას მან ხუმრობით მითხრა, რომელიც სიმართლეს უფრო ჰგავდა: გვანჯი ბატონო, ჩვენ აფხაზებს არაფერი გვესაქმება ღალიძგას იქითო და სამურზაყანო შენთვის მიჩუქნიაო. მე საზღვრის გადაწევა მოვითხოვე, ის კი თავისას მთავაზობდა.

ბატონო ნაპო, ჩემი გაგებით იმ დიდი ტრაგედიის მერე თითქმის გამორიცხულია ჩვენი ერთად ცხოვრება. ხომ არ აჯობებს ძმურად გავიყოთ უძრავ–მოძრავი, მხედველობაში მაქვს ტერიტორია. ეს აზრი მე ბრუნერისაგანაც მომისმენია. თქვენც გქონდათ ამის შესაძლებლობა, რომ გუმისთა და სხვა მდინარე ყოფილიყო ჩვენს შორის საზღვარი, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, მხარი არავინ დამიჭირა, რას მიქვია რომ ყვირიან, ჩვენ ერთ გოჯ მიწას არ დავთმობთო. აფხაზეთის მიწა მარტო ქართველების ხომ არ არის, ის აფხაზების მიწაცაა, მათ ხომ ვერ გავყრით იქიდან? თუ მიწა მათი არაა, აფხაზეთი რატომ ჰქვია? აქ სადაო არაფერია, ნუ ვიქნებით დამპყრობლები. მე ერთხელ კითხვა დავუსვი აფხაზ ცნობილ ლიდერებს: **“ერთი გვარის მატარებელი აფხაზები და მეგრელები ძმები არიან თუ არა?”** მიპასუხეს: **“რა თქმა უნდა, ძმები არიან”**. მე ისევ ვკითხე: **“თუ ერთი ძმისთვის მიწა მშობლიურია, რატომ არ უნდა იყოს იგი მშობლიური მეორე ძმისათვის?”** მათ მიპასუხეს: **“კარგი, ჩვენ გეთანხმებით, მაგრამ აგვიხსენით, როგორ შეიძლება, რომ ერთ ოჯახს ორი ძმა გაუძღვეს”**? მე აქ თავი შევიკავე, სხვა რა გზა მქონდა.

ბატონო ნაპო, აფხაზეთი იყოფა სამ ნაწილად: ჯიქეთი, შილოეთი და სამურზაყანო. მე თქვენ გეკითხებით, აფხაზებმა თუ დაგვითმეს სამურზაყანო, გვაწყობს თუ არა ეს ჩვენ? რა თქმა უნდა კელასურამდე ტერიტორიის დათმობას არ დათანხმდებიან, ის კი არა ღალიძგამდეც საეჭვოა. გალის რაიონი მთელი აფხაზეთის მკვებავია და თუ ამასაც დავთმობთ, არ ვიცი. აფხაზებს ვინ ჰკითხავს, მთავარია რუსები იყვნენ თანახმა. რუსეთის გვერდის ავლით და ანტირუსული პოლიტიკის გატარებით ერთ გოჯა მიწასაც ვერ დავიბრუნებთ. ჩემი გაგებით ჩრდილოეთის გზა ჩვენთვის უფრო პერსპექტიულია ვიდრე დასავლეთისა.

მინდა ყველა კატეგორიის ქართველმა კარგად გაიგოს, აფხაზეთი ჩვენთვის დაკარგულია, აფხაზები ჩვენ არ დაგვიბრუნებენ არც ერთ მეტრ მიწას, იმ საშინელი ტრაგედიის მერე. ამ საკითხში დიდია რუსეთის ფაქტორი. ჩვენ თუ რუსეთთან საერთო ენა გამოვნახეთ, მოსალოდნელია ყველაფერი. მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ თუ ჩვენ ნატოში შესვლას ვაპირებთ, ვიქნებით ამერიკის მოკავშირე, მაშინ რუსეთისკენ ნუ მივიხედავთ და დავემშვიდობოთ სამუდამოდ აფხაზეთსა და ოსეთს. საშიშია კიდევ მეტი ტერიტორია არ დაკარგოთ. სამხრეთში ჩვენს მიწებს ბევრი მუშტარი ჰყავს, სომხეთისა და თურქეთის სახით. გავიგოთ, ხალხნო, რუსეთს უჩვენოდ არაფერი დააკლდება, ჩვენ კი ურუსეთოდ გაგვიჭირდება. რა დაგვიშავა ისეთი ერთმორწმუნე რუსეთმა, პირიქით ჩვენმა ვაიპოლიტიკოსებმა აიძულეს რუსეთი მიემართა სამხედრო ძალისთვის. გახდი მისი მოკავშირე და ყველაფერს გაგიკეთებს, ცხოვრებამ დაამტკიცა ეს, ჩვენ ქართველები ვინმეს გავლენის ქვეშ უნდა ვიყოთ. ღრმად ვარ დარწმუნებული ჩვენ რუსეთი თავისუფლებას, დამოუკიდებლობას არ წაგვართმევს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს გარშემო მტრულად განწყობილი ქვეყნებია, მათს შორის ყველაზე საშიში სომხეთია. ამიტომ საქართველოს სჭირდება ძლიერი მფარველი. ღმერთმა გვაჩუქა ასეთი მფარველი რუსეთის სახით. რა გვემართება, ოკეანისგაღმა რომ ვიყურებით. დაფიქრდით, ხალხნო, სანამ გვიან არ არის. ყველაფერი ვიღონოთ, რათა ერთმორწმუნე რუსეთთან გამოვნახოთ საერთო ენა და თუ რუსებმა არ მიიღეს ჩვენი თხოვნა, მაშინ სხვა გზა არ დაგვრჩენია და თუ გვინდა ეშმაკთან ვიმეგობროთ, ოღონდ საქმით დაგვეხმაროს. მაღალი ტრიბუნებიდან ლაქლაქი არ არის საჭირო. ყველაფერი ვიღონოთ, რომ რუსები გავიდნენ აფხაზეთიდან და თუ ეს ბედნიერება გვეღირსა, აფხაზეთის საკითხი 24 საათში გადაწყდება. აფხაზების უმრავლესობა ჩვენთან დარჩება, უმცირესობა უკან გაჰყვებიან რუსებს. გთხოვთ ყველას, ნუ აეჩქარდებით, ნუ ვაღიზიანებთ რუსეთს. რუსეთში ყოველთვის პუტინი და მედვედევი არ იქნებიან. მოვა სხვა ძალა, ნაკლებად დემოკრატიული და მერე არაფერი გვეშველება. თავი ავარიდოთ უაზრო სისხლისღვრას, ეს ყველა სულელს შეუძლია. მთავარია შევძლოთ მშვიდობიანი გზით საქმის მოგვარება. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ, რასაც მრგვალი მაგიდა ვერ უშველის, იმას ვერაფერი მოაგვარებს. სიტყვა ბომბზე უფრო ძლიერია. როგორ ვენდოთ დასავლეთს, რომელიც 20 წელია ვერაფერს აკეთებს აფხაზეთთან მიმართებაში, გაერო რისი გამკეთებელია, ის მხოლოდ ნასისხლარზე გამოჩნდება, ხელი რომ მოითბოს. ჩვენ მხოლოდ მოთმინება და ჭკუა გვიშველის. მივბაძოთ სომხებს, თავი დავანებოთ ანტირუსულ ისტერიკას და ყველაფერი მოგვარდება. ეს ასე იყო და ასე იქნება. აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა სტიქიურად, უაზროდ იღვრებოდა უდანაშაულოთა სისხლი ორივე მხრიდან. ეს ომი კი არ იყო, ეს იყო შევარდნაძის ყაჩაღების მიერ წარმოებული გენოციდი აფხაზეთში მცხოვრები ხალხისა, კერძოდ აფხაზებისა და ქართველებისა. ამ დროს მე პეტერბურგში ვიყავი და იქიდან ვაკეთებდი რაც შემეძლო. ერთხელ ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ტყვარჩელის მიმართულებით აფხაზი ხალხისთვის ჰუმანიტარული ტვირთის სახელით 25 მანქანა მოდიოდა. ეს მანქანები შემოწმების გარეშე გაატარეს. მე ამან ძალიან დამაფიქრა და სასწრაფოდ დავრეკე მოსკოვში, ჩვენს ელჩთან ვალერიან ადვაძესთან და ვუთხარი: რატომ დაუშვით ასეთი შცდომა, ეს ხომ იარაღით სავსე მანქანებია-მეთქი. მიპასუხა, ბატონო გვანჯი შენ რა განერვიულებს, შევარდნაძემ ჩვენზე უკეთესად იცის რას აკეთებსო. ვერ მოვითმინე და თბილისში დავრეკე უშიშროებაში. იქიდან ვიღაც პაიჭაძემ მიპასუხა: ყველაფერს გავარკვევთო. სწორედ ამის მერე იყო რომ იმ შეგზავნილი იარაღით სოხუმი აიღეს. ვინ იყო მაშინ გამკითხავი. შევარდნაძემ ის კი არა, ხალხი დააბრუნა სოხუმში და იქ ჩახოცა, თვითონ კი გამოიქცა. სახრჩობელაზე ნამდვილ გმირებს მოუწიათ ასვლა. რომ გაიქცა, მერე რატომ არ დაეხმარა სვანეთში გოლგოთას გზაზე მიმავალ საწყალ გაუბედურებულ ხალხს? ყველამ ვიცით თუ როგორ გაუმასპინძლდნენ ჩვენს ხალხს იქ, როგორ გაძარცვეს ისევ ჩვენებმა. ანგელოზები ჩვენს მხარესაც არ იყვნენ, ამიტომაც დაიწყეს ომი აფხაზეთში, თუმცა ეს ომი არ იყო, ეს ნადავლის ძარცვა და ზვიადისტებზე ნადირობა იყო. ეს ჩანაფიქრი კარგად შეასრულა შევარდნაძემ, უცხო ძალების დახმარებით საბოლოოდ ამოხოცა ზვიადისტები, ზვიადი კი მოკლა. მიკვირს, ქართველები ამის მერე მაინც დუმილს არჩევენ, მთავარი დამნაშავე კი ფუფუნებაში ჰყავდათ. მაგრამ ყველამ კარგად გაიგოს, ისტორიაში არაფერი იმალება, ადრე თუ გვიან ყველაფერს გაეცემა პასუხი. გული მწყდება, როდესაც აფხაზეთში დამარცხებას ჩვენ, მეგრელებს და ზვიადისტებს გვაბრალებენ. ახია ჩვენზე, რაც დაგვემართა ზუგდიდელებს, წალენჯიხელებს, გალელებს. დღემდე არავინ ამაზე რეაგირებას არ აკეთებს, პირიქით ენგურს იქით მეგრელები მეორეხარისხოვან ქართველებად მოგვნათლეს. არავითარი დახმარება, არავითარი კომპენსაცია. გულსატკენია ის რომ, როცა კახელებს სეტყვამ ვენახი გაუფუჭა ან სახნავი დაუზიანა, ყველას ზარალი აუნაზღაურეს. ჩვენ კი მამაპაპური სახლები, საფლავები და უძრავი ქონება დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ სულის გარდა და არავითარი დახმარება, სულს ვღაფავთ და ჩვენი ხელისუფლება ბოდიშსაც კი არ გვიხდის. 28-ლარიანი შემწეობის შემყურემ, ბევრმა წვალებითა და დიდი შრომით რაღაცას მიაღწია, მაგრამ ეს მხოლოდ უმცირესობაა. ჩემი გოგო 20 წელია ნაქირავებში ცხოვრობს, იმიტომ, რომ საშუალება არა აქვს ვინმეს რომ ჩაუჯიბოს. ის დრო დადგა, დღეს მგელი უნდა იყო და მგელზე უფრო მგელი. დღეს პატიოსანი კაცი განწირულია. დალესის თქმისა არ იყოს, პატიოსანი კაცი გამასხარავებულია და წარსულს ჩაბარდა.

აფხაზებმა ის უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ისინი თუ იცხოვრებენ რუსებთან, თანდათანობით დაკარგავენ კულტურას, ენას, თავისუფლებას. ისინი ერთმოგვარე ქართველებთან შეინარჩუნებენ ყველაფერს, რასაც აფხაზური ჰქვია. საქართველოდან ასიმილაციის საშიშროება მათ არ ემუქრებათ. მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი: კომუნისტების დროს ვლადიკავკაზში ჩავედი, რაღაც გასაყიდი ტვირთი მიმქონდა. ბაზარში ერთი ახალგაზრდა ოსი დამწია და მკითხა, ვინ ვიყავი. რომ გაიგო ქართველი ვიყავი, ჩემოდანი გამომართვა და ბაზრამდე მიმაცილა და მთხოვა სადამოს რომ დაბრუნდებიმატარებლის სადგურში დაგვხვდები და გაგაცილებო. მე არ ვიცოდი ის მართლა დამხვდებოდა თუ არა, მაგრამ რომ მივედი იქ ვნახე. ჯერ პურმარილზე დამპატიჟა, მერე ბილეთი ამიღო და დამაბარა: გადაეცით დიდი მადლობა ქართველ ხალხს, რომ ოსებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნეს, აქ კი ჩრდილოეთში ჩვენ ყველაფერი დაკარგული გვაქვსო. მე არ ვიცი დღეს რა დაემართათ აფხაზებს, ოსებს და სხვა ეთნიკურ კავკასიელებს, რომ თავის ბედზე არ ფიქრობენ. რა ქნან, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. კაცი იმედით ცხოვრობს და ჩვენც მოვითმინოთ მანამ სანამ არ გამოჩნდება პატრონი. ასეთ პატრონს მე ჯერ ვერ ვხედავ. სიტყვით ყვალა გვპირდება დახმარებას, მაგრამ საქმე სამწუხაროდ არ ჩანს.

ნუთუ ჩვენ, ქართველებს არ გვინდა გავიგოთ, რომ ამერიკა და დასავლეთი აფხაზეთის გულისთვის რუსეთს არ აწყენინებს. მე რომ მკითხოთ გლეხს, რუსეთი უფრო პერსპექტიულია ვიდრე ამერიკა და სხვა ქვეყნები. გთხოვთ ნუ გავაბრაზებთ რუსეთს, ნუ ვაიძულებთ იყოს ჩვენს მიმართ უფრო რადიკალური. მკაცრმა ანტირუსულმა პოლიტიკამ შეიწირა გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი. ნუ გავიმეორებთ ჩვენი წინამორბედების შეცდომებს, ნუ დავკარგავთ ძველ გზას და ძველ მეგობრებს. ჩვენ როგორც მიწათმომქმედ ქვეყანას, უფრო გვჭირდება მშვიდობა, მდიდარი სოფელი და რუსული ბაზარი და არა ამერიკის იარაღი, ხოლო ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთნოდეს. გთხოვთ ნუ ვიქნებით მარიონეტები, სჯობია ვიყოთ თავისუფლები, **დსთ** სწორედ ამის გარანტი გახლავთ. რომ გავშიფროთ მშვენივრად ჟღერს: **„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“**.

ისიც უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთი ჩვენ არ მოგვცემს იმის ნებას, ნატოს ჯარი დავუყენოთ საზღვართან. ეს ბუნებრივია, ამიტომ თავი უნდა დავანებოთ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, ცემა-ტყეპას. ყველამ უნდა ვიფიქროთ სამშობლოზე, რადგან არ არსებობს პირადი ბედნიერება ეროვნული ბედნიერების გარეშე.

გვანჯი დარასელია,
ზუგდიდი, კოლხიდა

რადგან თავია სიცრუე ყოვლისა ბოროტებისა!

ღმერთის აღთქმა გვეუბნება: მხოლოდ იესო ქრისტე დედამიწაზე მეორედ მოსვლით გაუჩენსო კაცობრიობას სამართალს (კანონის უზენაესობის სახელმწიფო სამართლიან სისტემასო), ხოლო მატყუარა პოლიტიკოსები ეუბნებიან ქართველებს და მსოფლიო ხალხებს, ქრისტეს გარეშეც, ჩვენ, ცრუ სიტყვის თავისუფლებით (მხეცი 666) გავაჩენთო სამართალს დედამიწაზე. აი, ამას ჰქვია სატანისა და ეშმაკის ბრძოლა ღმერთთან, ანუ მწიგნობართა და ფარისეველთა (ავყიათა) ბრძოლა ქრისტეს წინააღმდეგ. ამიტომ გვეუბნება წმიდა სახარება: **„შეიქმნა ცაში ომი: მიქაელი და მისი ანგელოზები ებრძოდნენ გველეშაპს: შეებრძოლენ გველეშაპი და მისი ანგელოზები, მაგრამ ვერ გაუძლეს და აღარც აღმოჩნდა ადგილი მათთვის ცაში. გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია. მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი და მისი ანგელოზებიც გადმოყრილ იქნენ მასთან ერთად“** (გამოც. 12, 7-9). გველეშაპში იგულისხმება მსოფლიო სამხედრო-საფინანსო იმპერიალიზმი და მისი ყალბი იდეოლოგია, ქრისტიანული მორალით შეფუთული დემოკრატია, რომლის მხილება არის სამშობლოსა და ღმერთის სამსახური.

როგორც სახარებიდან ჩანს, თანამედროვე მსოფლიოს ზოგ სასულიერო პირს, პოლიტიკოსებსა და ქრისტიანული მორალით შეფუთულ დემოკრატიას, სახარების ენაზე ეწოდება: გველეშაპი, ძველი გველი, ეშმაკი, სატანა და წუთისოფლის (კაცობრიობის) მაცდუნებელი.

ახლა გაჩვენებთ, თუ როგორ აზროვნებს და მსჯელობს თანამედროვე საქართველოსა და დანარჩენი მსოფლიოს **„ელიტა“** – თეოლოგები, მაღალი საფეხურის მეცნიერები და მასონური მთავრობები. დაახლოებით 2009 წელს შეხვედრა მქონდა ქართული დამწერლობისა და ენის მკვლევარ მეცნიერ თეოლოგთან (პროფესორთან). მან მითხრა, რომ მას გააჩნია უტყუარი ინფორმაცია, თითქოსდა „***ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“*** იოანე ზოსიმემ კი არ დაწერა, არამედ – ლუკა მახარობელმა და მან ეს დოკუმენტი დატოვაო სინაის მონასტრის არქივში.

აღნიშნულზე შევეპასუხე მას და ვკითხე: ბატონო პროფესორო, მეცნიერებსა და მსოფლიოში არსებულ მთავრობებს რომ შევეკითხოთ, რომელი ტომის წარმომადგენლები არიან მართლმადიდებელი აბრაამი, ისააკი, იაკობი, მოსე, იესო ქრისტე, წინასწარმეტყველები, მოციქულები, მახარობლები (მათ შორის ლუკა მახარობელი) და წმინდა ამმები, ისინი ხომ ერთხმად გვიპასუხებენ: მცირეაზიელი ურია-იუდეველები არიანო.

დიახ, ეს ჭეშმარიტებაა – თქვა თეოლოგმა პროფესორმა.

ბატონო პროფესორო, მცირეაზიელი ურია-იუდეველები აბრაამის ეპოქაში კი არა, აი, აგერ XXI საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მოძულე ანტიმართლმადიდებლები არიან. მართლმადიდებლური მოძღვრების დამწერ იუდეველებს მართლმადიდებლობა რატომ სძულთ და დევნიან? ეს ხომ აბსოლუტური ალოგიკაა!

ბატონო პროფესორო, თქვენი გაგებით, ლუკა მახარობელიც ხომ მცირეაზიელი ურია – ებრაელი იყო?

– დიახ, ეს ეჭვგარეშეა, – თქვა პროფესორმა.

თუ თქვენი მიდგომა სწორია, მაშინ ლოგიკის თანახმად, ლუკა მახარობელი ***„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“*** ტექსტს კი არ დაწერდა, არამედ **„ქებაი და დიდებაი ივრითისა (ურიათა) ენისაის“** ტექსტს დაუტოვებდა კაცობრიობას და რაც მთავარია, ლაზარე (საქართველო) ქრისტეს დედის მარიამის ძმაა. მაშასადამე, ქრისტე დედით ქართველია, ხოლო მისი მამა ღმერთია, აქედან გამომდინარე, არის ლაზარე (საქართველო) ქრისტეს მეგობარი, შესაბამისად ქრისტე მოვა საქართველოში და სვეტიცხოველში მონათლავს კაცობრიობას. ამის შემდეგ კიდევ იტყვით, რომ ქრისტე მცირეაზიელი ურია-ებრაელია?

ამის გაგონებაზე თეოლოგ პროფესორს სახე დაეღრიჯადა ქვედა ტუჩი ნიკაპამდე ჩამოუვარდა. ბატონო პროფესორო (გავაგრძელე არგუმენტის ლოგიკა), უფრო მეტსაც გეტყვით, სახარების მახარობლების მოღვაწეობის ეპოქაში (პირველი საუკუნის ორმოციანი წლები) სიტყვა, ეროვნება, სახელდება ქა-რთველი და საქართველო არ არსებობდა, არამედ არსებობდა კოლხი, ლაზი, სუანი (ანმარეს ქვეყანა), იბერია, მესხი ჭანი, მარგალი და ა.შ. რომელთა სისხლიდან და ხორციდან იშვნენ (ტ)არიელი გიორგიანი მართლმადიდებელი ქურუმები, დაწყებული პატრიარქი ადამიდან და ქრისტეთი დამთავრებული, ყველანი არიან ლაზარეს ენისანი და ტომისანი.

სიტყვა, სახელდება, კოდური შიფრი ქართველი საეკლესიო წმიდა მამებმა და ბაგრატიონებმა დაადგინეს IX საუკუნის დასაწყისში. ქა-რთველი თავის თავში გულისხმობს ქრისტეს (ქა) რთველს (ვენახს, ვაზს, ყურძენს, მაჭარს, ღვინოს, მარანსა და წმიდა სალოცავებს), ქართველი პირდაპირ კავშირშია ქრისტესთან, სახარებასთან და სულის ქორწილის საღვთო საიდუმლოებასთან (დალიეთ ჩემი სისხლი, ღვინოა იგი, ჭამეთ ჩემი ხორცი, პურია იგი, ქრისტეს სისხლია სახარება, ხოლო ქრისტეს ხორცია ქართული სამება დამწერლობა და სამება ენა – ლაზარე. შესაბამისად, ქრისტე თავისი ჯიშითა და ჯილაგით ქართველია).

მცირეაზიელი ურია-იუდეველები და სინაგოგას სინედრიონი, ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში, მართლმადიდებლები არიან? – არა, ბუნებრივია ისინი არც ქრისტეს მოღვაწეობის დროს იყვნენ მართლმადიდებლები ანუ არ იყვნენ ებრაელები. იესოს მეშვიდე ეკლესიას, მესამე რჯულსა და ამ რჯულის მქადაგებელ სამღვდელოებას და ამ რჯულის მიმდევარ ხალხებს ეწოდებათ ქართველი. ამრიგად, ებრაელი და ქართველი არის მართლმადიდებლური ეკლესიისა და სასულიერო ხარისხის აღმნიშვნელი კოდი. ქრისტეს მოღვაწეობის დროს, იმ ხალხებმა, ერებმა, რომლებიც მისდევდნენ მოსეს მეექვსე საფეხურის ეკლესიის მართლმადიდებლობას, მცირეაზიელი ურია-იუდეველების გარდა ყველამ მიიღო ქრისტეს რჯული და გაქრისტიანდა.

იმ ხალხებსა და ერებს, რომლებიც ამჟამად მისდევენ ქრისტეს მეშვიდე ეკლესიას, გავლილი აქვთ მოსეს მეექვსე საფეხურის მართლმადიდებლური ეკლესია – ებრაელი. აქედან გამომდინარე, ვართ ჩვენ ქართველები სულით ებრაელები, შესაბამისად, ჩვენი ეკლესიის არსებობის საფუძვლად ვაღიარებთ ძველ აღთქმას (მოსეს თორას). აქედან გამომდინარე, ქართველი მეფეები აღიარებდნენ თავიანთ სულიერ ებრაელობას და ამიტომ დასტურად საბუთზე ხელმოწერით აფიქსირებდნენ: ებრაელი თამარ მეფე, ებრაელი ერეკლე მეორე და ა.შ.

დედამიწის ზურგზე მხოლოდ ქართველებს აქვთ სრულყოფილი სამება დამწერლობა და სამება ენა. ამიტომ გვაფრთხილებს გენიოსი რუსთაველი: ***„მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა, რა ვედარ მიხვდეს ქართულსა დაუწყოს ლექსმა ძვირობა“***-ო. შემდეგ ისევ გვაფრთხილებს: „***არ შეამოკლოთ ქართული არა ქმნათ სიტყვა მცირობა“***-ო. ამრიგად, სრულყოფილ, მთლიან ქართულ ენად წმიდა რუსთაველს მიაჩნია: სვანური ენა (უძველესი ქართული ენა), მეგრული ენა (ძველი ქართული ენა) და იბერიული ენა (ახალი ქართული ენა). შესაბამისად საქართველო თავის თავშია სამი კოლხური ცივილიზაცია და სამი მართლმადიდებლური რჯულის შემოქმედი ქვეყანა. ამრიგად, საქართველო თავის თავშია უძველესი კოლხური ცივილიზაცია (სვანური ენის და ნოეს ეფუთი), ძველი კოლხური ცივილიზაცია (მეგრული ენა და მოსეს თორა) და ახალი კოლხური ცივილიზაცია (იბერიული ენა და იესოს სახარება) სვან-მეგრელ-იბერები (ქამი-სემიიაფეთი) არიან ქრისტიანული მოძღვრებით (იდეოლოგიით) ქართული სახელმწიფოს შემოქმედი სრულუფლებიანი ერთი ნაცია – ქართველი, სხვა დანარჩენი ვინც კი ცხოვრობს საქართველოში, არიან უუფლებო სტუმრები. აი, ასეთია, ბატონო პროფესორო, ჩემი არგუმენტი, რომლის სისწორეს ადასტურებს საიდუმლო კოდური შიფრით დაწერილი ღვთის სიტყვა: ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა და **„ვეფხისტყაოსანი“.** ამრიგად, ჩემს სიმართლეს ემოწმება და ეთანხმება ძველი აღთქმა (მოსე), ახალი აღთქმა (იესო) და საიდუმლო კოდით შედგენილი ქართული სამება დამწერლობა და სამება ენა – ლაზარე. თქვენ კი ვინ გყავთ მოწმედ, ბატონო პროფესორო, მეცნიერები? პოლიტიკოსები? ესენი ხომ ერთხმად მალავენ ქრისტეს ქართველობას და მისი მეგობრის ლაზარს (საქართველოს) სულიერ მისიას. ესენი ხომ ქრისტეს მკვლელი ურია ისრაელის მეგობრები არიან და ამით არ მალავენ თავიანთ მტრობას ქრისტეს მიმართ...

ადამიანს არაფრის მიღება არ შეუძლია, თუ ციდან (მამა ღმერთიდან) არა აქვს მიცემული (იოანე 3,27), აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანურ-კაცურ-ხორციელ-წუთისოფლური ლოგიკით და წმიდა წერილების გვერდის ავლით კაცობრიობა ვერასოდეს ვერ შეიმეცნებს ღმერთის ლოგიკასა და მის წმიდა საქმეებს.

ცოდვილი სულით მოაზროვნე პარლამენტი, მთავრობა, პოლიცია, სამხედრო სამსახურები, ეშმაკი პროკურატურა და სასამართლო კი არ (ვერ) დაამყარებს წესრიგს საქართველოსა და მსოფლიოში, არამედ ქრისტიანული სულითა და ზნეობით განათლებული ელიტა – წმიდა მამათა გუნდი, რომელიც არის ღვთის რჯულისა (კანონისა) და სამართლის ერთგული. თანამედროვე მსოფლიოში არსებული სახელმწიფო მოხელეები კი არიან გამდიდრებისა და ქონების მოხვეჭის სურვილის ერთგულნი. თანამედროვე მსოფლიოში არსებული განათლების სისტემა დაცლილია ქრისტეს სიმართლისმყვარული სულისაგან.

შესაბამისად, სახელმწიფო მოხელეები არიან სიმართლის მოძულე და უსამართლობის მოყვარული იუდები (ვერცხლის მოყვარული იუდები).

სიმართლის (ქრისტეს) სიყვარულის გარეშე, სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული სახელმწიფო სისტემის შექმნა გამორიცხულია. ამიტომ გვასწავლის წმიდა სახარება: „***სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს, ამიტომ სიყვარული რჯულის აღსრულებაა“*** (რომ. 13,12). ამრიგად, კანონის უზენაესობის მატარებელი სახელმწიფოს შესაქმნელად საჭიროა ერთადერთი ჯადოსნური ჯოხი: კანონის უზენაესობის მოყვარული განათლების სისტემის ჩამოყალიბება მთელ მსოფლიოში.

იესო ქრისტეს მადლი იყოს ჩვენი წინამძღოლი ყოველ საქმეში. ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად! ქრისტე მოვა ჭეშმარიტად!

მურმან ხუბულავა

რა ხდება სახელმწიფო უწყებებში და როგორ ემზადებიან “ნაციონალები” მეორედ მოსვლისთვის – რას ყვება სოსო თოფურიძის მძახალი

რა ხდება სახელმწიფო უწყებებში და როგორ ემზადებიან **“ნაციონალები”** მეორედ მოსვლისთვის? ამ თემაზე გაზეთები წერენ.

დღეს ამაზე ჩინიანებიც ლაპარაკობენ და უჩინოებიც. მაგალითად, როგორც დევნილთა და განსახლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, სანდრო ბრეგაძე აცხადებს, სამინისტროებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობენ ადამიანები, რომლებიც უცხოელებთან ირაკლი ღარიბაშვილს ლანძღავენ და აგინებენ, ხოლო ბიძინა ივანიშვილს რუს ოლიგარქს უწოდებენ:

ინკოგნიტო წყაროს იფნორმაციით, ერთი ასეთი **“ნაცბუდე”** დევნილთა და განსახლების სამინისტროშიც არსებობს, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, თამარ ბასილია ხელმძღვანელობს. ის **კუდ**-ის ყოფილი უფროსის (ამჟამად ძებნილის), სოსო თოფურიძის მძახალია. იგივე ინკოგნიტო წყაროს თქმით, ქალბატონი თამარი თურმე მომენტს არ უშვებს ხელიდან, მით უმეტეს, უცხოეთში, ბიძინა ივანიშვილს რუსი ოლიგარქი არ უწოდოს, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილსა და მისი მთავრობის წვრებს – **“დებილი ბავშვები”.** ერთ ასეთ **“სხადნიაკზე”,** როდესაც დევნილთა სამინისტროს დელეგაცია იყო წასული უცხოეთში, თამარ ბასილაიასთვის თავად მინისტრს, დავით დარახველიძესაც წაუსწრია და უყვირია: ქალო, რა სისულელეებს ლაპარაკობ?! ბასილია უცებ გამოსულა **“ნაციონალური ნარკოზიდან”,** ეგრევე გადაუტრიალება **“პლასტინკა”,** მაგრამ აზრი აღარ ჰქონია. როდესაც დელეგაცია საქართველოში დაბრუნებულა, მინისტრს მავანთა რჩევით მისი განთავისუფლებაც უცდია, მაგრამ ცოტა ზემოდან მფარველები გამოსჩენიან და ეს საქმე ჩაუფარცხავთ. წყაროს თქმით, ამის შემდეგ მინისტრის თანამდებობაზე მოვიდა სოზარ სუბარი, რომელიც მუდმივად ვისკის წრუპავს და **“ნაციონალებსაც”** ბოლომდე გაეხსნათ ხელ-ფეხი. როგორც სამინისტროს კულუარებში ამბობენ, ბასილია სოსო თოფურიძით იმუქრება, ცოტა ხანში ამ დებილ ბავშვებს გავყრით, **“ნაციონალები”** ისევ დაბრუნდებიან და ნახავთ, როგორ უნდა ქვეყნის მართვაო. იმავე წყაროს თქმით, **“ნაცები”** ყველა სამინისტროში ფარული საბოტაჟიდან უკვე ხმამაღალ მუქარაზე გადავიდნენ და სწორედ მათთან ჭიდაობას შეეწირა სანდრო ბრეგაძეც, მან ვეღარ გაუძლო ამდენ დომხალს და წამოვიდა.

ჟურნალისტი კომენტარისთვის თამარ ბასილიას დაუკავშირდა:

– მე გეტყვით, რას ლაპარაკობენ თქვენზე კულუარებში, თუნდაც თქვენს სამინისტროში. პირდაპირ ვერავინ გეტყვით. მაგალითად, სულ გაძახებენ ზურგს უკან, თქვენგან შეუმჩნევლად, რომ სოსო თოფურიძის მძახალი ხართ. რომ იმუქრებით, სოსო ისევ დაბრუნდება ხელისუფლებაში და ეს დებილი ბავშვები გაიქცევიან.

– სოსო თოფურიძის მძახალი ნამდვილად ვარ, 17-წლიანი საჯარო სამსახურის სტაჟი მაქვს, ამ პოზიციაზე ვმუშაობ 8 წელია, სოსოს არანაირი წვლილი ჩემს კარიერაში არ აქვს შეტანილი, ვინც მიცნობს, ჩემგან ასეთ ლაპარაკს ვერავინ გაიგებდა იმიტომ, რომ მსგავსი არაფერი არასდროს მითქვამს! არც დარახველიძეს ჰქონია ჩემი გაშვების მცდელობა. რაც შეეხება ბრეგაძეს, მისი განზრახვები ჩემთვის ცნობილი არ არის, აი, თავიც მამართლებინეთ.

– არა, თავს არ გამართლებინებთ... თქვენი ბიოგრაფიაც ვნახე და გაცილებით ადრე გაქვთ დაწყებული აღმასვლა, მაგრამ, როგორ დავიჯერო, რომ თქვენს გარშემო ატეხილი კულუარული ამბების შესახებ არაფერი იცოდით? როგორ გგონიათ, რატომ არის თქვენ მიმართ ასეთი აგრესია, მართლა “ნაციონალი” ხართ და ძირს უთხრით არსებულ ხელისუფლებას?

– მეხუმრებით?

– აი, ძირგამომთხრელ საქმიანობაზე გეხუმრებით, მაგრამ მართლა ამბობენ, რომ სამინისტრო “საბოტაჟნიკებითაა” გადატვინილი და მათი ხელმძღვანელი თქვენ ხართ.

– ტყუილია, ყველა თავის საქმეს აკეთებს, როგორც შეუძლია, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ვინმე საბოტაჟს ეწევა... ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია. ეს საჯარო სტრუქტურაა, ჩვენ კი საჯარო მოხელეები ვართ და არა პოლიტიკოსები.

ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს დევნილთა ყოფილი მინისტრი დავით დარახველიძე. ბუნებრივია, თუ ის აღიარებს ასეთ ფაქტს თავის ყოფილ უწყებაში, მაშინ უხერხულობაში ჩავარდება, იძულებული გახდება, ისიც თქვას, ვინ ჩაფარცხა კონკრეტულად ეს საქმე. საერთოდ, ზოგიერთი მინისტრი თუ ნამინისტრალი რომ სირაქლემას პოზაში არ იყოს გაყუჩებული, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ალბათ, დავით დარახველიძე ფიქრობს, მე მინისტრი აღარ ვარ, იქ რა ხდება, ფეხებზე არ მკიდიაო? მართალია, ქალბატონი თამარ ბასილია ყველაფერს უარყოფს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა პროცესები მიდის თითქმის ყველა სამინისტროში, როგორ ცდილობენ **“ნაციონალები”** დაწინაურებას და რევანშის აღებას? წესით, მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად თავად ხელისუფლებას, ანუ **“ქართული ოცნების”** წევრებს უნდა ჰქონდეთ რაიმე პროფილაქტიკური პროგრამა მოფიქრებული, მაგრამ აქაც დუმილს ვაწყდებით, უფრო სწორად, ყველა ამბობს, რომ **“ნაციონალები”,** რომლებიც საბოტაჟში არიან შემჩნეულები, სამსახურებიდან უნდა განთავისუფლდნენ. პრინციპში, რა გეგმა უნდა არსებობდეს ამ კუთხით? სანამ **“ნაციონალები”** შეშინებულები იყვნენ და ჩირგვებში იმალებოდნენ, ხმა არავინ გასცათ ივანიშვილის ხათრით და ახლა კიდევ ვინ არის მაგათი გამკონტროლებელი? ისე, წესით, **“ნაციონალებმა”** რომლებიც ისევ კარგ თანამდებობებზე არიან, ბიძინა ივანიშვილი კი არ უნდა ლანძღონ, ყოველდღე სანთელი უნდა დაუნთონ და ილოცონ. სხვათა შორის, ძეგლიც რომ დაუდგან, არც ეგ იქნება ურიგო.

გელა ზედელაშვილი

ზიზილოს ფავორიტები

აი, იმდროინდელ ამბებს იგონებდნენ პენსიონერები და ამაყობდნენ იმით, თუ რამდენ **"მტერს"**, სამშობლოს რამდენ **"მოღალატეს"** დაუბნელეს მზე. დიდის გულმოდგინებით ყვებოდნენ **"ხალხის მტერთა"** და **"დივერსანტთა"** შეპყრობის, მათი დასჯის და ოჯახის აწიოკების ცალკეულ სცენებს. კომპოზიტორი კარგა ხანს გაოგნებული იდგა დერეფანში. ცალკე საავადმყოფოს მთავარი ექიმის უტიფარი საქციელითა და ცალკე იმ პენსიონერთა მკვეხარობით გულგაწყალებული დაღონებული დაუყვა მეოთხე სართულის კიბეს და ვესტიბიულში დაბრუნდა.

საავარძელში ჩამჯდარ გულშეღონებულ ავადმყოფს და მის ჭირისუფალს უთხრა: ცოტა ხანი კიდევ მოითმინეთ, ტაქსით წავალ ჯანმრთელობის სამინისტროში, მეოთხე სამმართველოს უფროსს მომართვაზე რეზოლუციას დავადებინებ და მალე დავბრუნდებიო. სახეგაფითრებულ ავადმყოფს მუღლე უკვე მესამედ აძლევდა ვალიდოლის აბს, მაგრამ მას საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა.

სამინისტროში მისულ კომპოზიტორს ჯერ კარისკაცმა გაუწყალა გული, შესვენების დამთავრებამდე შენობაში შესდგომა არ შეიძლებაო. შესვენების დამთავრების შემდეგ მეოთხე სამმართველოს უფროსის პირადმა მდივანმა გაუშრო სისხლი, უფროსი დაკავებულია და არავის არავის იღებსო.

გულზე ბოდმამოწოლილი კომპოზიტორი ერთხანს ბოლთას სცემდა მისაღებ ოთახში, ფანჯარასთან შეჩერდა და წუთით დაფიქრდა. კომპოზიტორი კარგა ხანია მუშაობდა ოპერაზე, რომლის თემა იყო თანამედროვე ადამიანის კეთილშობილება და ჰუმანიზმი. ამ ოპერაზე მუშაობის დამთავრებას ფიქრობდა გაგრის ერთ-ერთ სანატორიუმში დასვენების დროს, მაგრამ იქ ცალკე პალტა არ მისცეს და ორკაციან პალატაში შემოქმედებითი მუშაობა ვერაფრით ვერ მოახერხა. იფიქრა, მეოთხე სამმართველოს სანატორიუმ **"თბილისში"** გადასულიყო, სადაც დამსვენებელთათვის ლუქსებიც არის და იდეალური კვებაც. თუ რიგით სანატორიუმებში დღე-ღამეში ერთ დამსვენებელზე იხარჯებოდა მანეთი და ორმოცი კაპიკი, მეოთხე სამმართველოს სანატორიუმში – სამჯერ მეტი იყო გათვალისწინებული. მერე თბილი აბაზანა, ტელეფონი, ტელევიზორი და სხვა მრავალი სიკეთე. ჩვეულებრივ სანატორიუმებსა და მეოთხე სამმართველოს სანატორიუმს შორის იმდენი განსხვავება იყო, რამდენიც დღესა და ღამეს შორის.

სანატორიუმში ამბის გასაგებად მისული კომპოზიტორი, როგორც აქ, სამინისტროში, ისე იქაც, გაგრაში, ჯერ კარისკაცმა არ შეუშვა და შესვლის შემდეგ მთავარმა ექიმმა მასხრად აიგდო. როგორ მოგაფიქრდათ აქ დასვენება. განა არ იცით, რომ ჩვენი სანატორიუმი რიგით მოქალაქეებს არ ემსახურებაო და მერე რამდენჯერაც შეეკითხა კომპოზიტორი, ამ ცხვირაბზუებულმა და თავისი პრივილეგიური უფლებებით თავბრუდახვეულმა საქმოსანმა პასუხიც არ აღირსა. ოპერის პარტიტურა, რომელიც პორტფელში ედო, აქვე უნდა დაეფხრიწა და ზღვაში გადაეყარა, მაგრამ ირგვლივ ისეთი მშვენიერება, სისუფთავე და მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევდა, ვერაფრით ვერ მოახერხა. იმედგაცრუებული დაუბრუნდა თავის სანატორიუმს. იქ დასვენების დღეები ჩათავდა, მაგრამ ოპერის დამთავრებას არაფერი ეშველა, თბილისში კი სამსახურმა, წვრილმანებმა და ყოველდღიურმა გაწამაწიამ ისე ჩაითრია, რომ ოპერა კი არა, თავიც გადაავიწყდა. თანდათან მის დასაწერად განწყობილება და ხალისიც დაეკარგა. იძლეოდა თუ არა ოპერის დასამთავრებლად ახალ სტიმულებს უკანასკნელი დღეები, მის გარშემო შექმნილი სიტუაციები? – აი, რაზე ფიქრობდა ფანჯრასთან მდგომი კომპოზიტორი.

სამმართველოს უფროსის პირადი მდივანი კი ხან ერთი ტელეფონით მასლაათობდა, ხან მეორით. ტელეფონები, ღვთის შეწევნით, მომრავლებულიყო მაგიდაზე – შავი, ცისფერი, ღია ცისფერი, ქვიშისფერი და კიდევ რაგინდაფერი... ქალი რომელსაც თვალ-წარბ-წამწამები და ტუჩპირი ათასგვარად ჰქონდა შეღებილი, რაც შეიძლება ხმამაღლა ლაპარაკობდა ტელეფონზე, ოთახში მყოფ უცნობ მამაკაცს აინუშშიც არ აგდებდა.

კარგა ხანს ჩუმად იყო კომპოზიტორი, მაგრამ ვინაიდან მდივანი ქალის თავგასულობას ბოლო არ უჩანდა, აღშფოთებულმა უნებართვოდ შეაღო სამმართველოს უფროსის კაბინეტის კარი. ის საწერ მაგიდასთან იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა. წინ უჯდა თავისი მოადგილე, შინაბერა ქალი რომელიღაც ნამინისტრალი საქმოსნის ნახასარი და რაღაცაზე ეჭორავებოდა უფროსს. ჯანდიერი ყასიდად თავს უქნევდა და თან სანახევროდ ძილმორეული თვალით ხანდახან უღიმღამოდ შეხედავდა.

ჯანდიერმა როგორც კი უცნობი შენიშნა, მაშინვე ელექტროღილაკს თითი დააჭირა, მდივანი გამოიძახა და დატუქსა, უდროო დროს მთხოვნელის შემოშვების გამო, მერე ახალმოსულს შეხედა და რაკი მის გოროზ სახეზე ანღებული თვალები შენიშნა, ქაღალდის ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა. სასწრაფოდ გადაიკითხა მომართვა.

– ტყუილად გარჯილხართ! რა უფლება მაქვს მე მთავრობის საავადმყოფოში მოვათავსო რიგითი კომპოზიტორი, რომელსაც არც თანამდებობა აქვს, არც დეპუტატია. ესეც არ იყოს, ასეთი კომპოზიტორის გვარი არც გამიგონია. თუ ის მართლა კომპოზიტორია, ხალხი ხომ უნდა იცნობდეს?

– ხალხი კი იცნობს, მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, მუსიკაზე მწყრალად ყოფილხართ, თუ ამ კომპოზიტორის გვარი პირველად გესმით. ამას გარდა, რას ნიშნავს რიგითი კომპოზიტორი. ჩვენი საქმე მაშინ წახდა, როცა შემოქმედებით ინტელიგენციას თანამდებობისა და ჩინის მიხედვით დავუწყეთ განსჯა. რა თანამდებობა ჰქონდა აკაკი წერეთელს ან ლევ ტოლსტოის, თუნდაც ვაჟა-ფშაველას და ზაქარია ფალიაშვილს? შემოქმედის თანამდებობა მისი საქმიანობაა – ისინი დიდი რანგის შემოქმედები იყვნენ.

– რას ნიშნავს დიდი და პატარა რანგის შემოქმედი? ყოველ მათგანს თავის ხმა აქვს და თავისი სათქმელი. პატარა შემოქმედი ისევე გულწრფელად ემსახურება ხალხს, როგორც დიდი. მარტო დიდი ხეებით არ იგება შენობა. იქ თანაბრად მონაწილეობენ მცირე და დიდგაბარიტიანი ხეები. ტყეში ყველა ხე ერთი სიმაღლის არაა, მაგრამ მზე არც ერთისათვის არ იშურებს ცხოველმყოფელ სხივებს. თუ მაღალი ხის ტოტზე ქორი ან არწივი შემოჯდება, დაბალ ხეზე გვრიტი ან შაშვი ნებივრობს. მაღალ ხეებს ხშირად მეხი თუ ქარიშხალი ანადგურებს, ის სწორედ დაბალი ხეებით სულდგმულობს, არ კარგავს მშვენიერებას, სიმშვიდეს. ჩანჩქერსაც თავისი სილამაზე აქვს და ნაკადულსაც. ბუნება იმით არის ლამაზი, რომ მის წიაღში ათასგვარი ნადირ-ფრინველი, მწერი, ბუზი და ბუზანკალი ბინადრობს. ყოველი მათგანის არსებობა რაღაცის არის განპირობებული და გამართლებული.

– გეტყობათ, კარგი ოქროპირი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენი სამმართველოს საავადმყოფოში მოთავსებას ლამაზი სიტყვები არ შველის. გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ აქ მთავარია ნომენკლატურა. ნომენკლატურა და კიდევ ნომენკლატურა!

– არცერთი მეცნიერი და შემოქმედებითი მუშაკი, გამონაკლისის გარდა, ნომენკლატურაში არ შედის. გამოდის, რომ მეცნიერთა და შემოქმედებით მუშაკთათვის გადაკეტილი ყოფილა თქვენი საავადმყოფოსა და სანატორიუმის კარები.

– შემოქმედი შემოქმედს გააჩნია.

– მომიტევეთ, მაგრამ რახან ასე მოურიდებლად გვყოფთ რანგებად, ნება მომეცით გკითხოთ: **"მთაწმინდის მთვარის"** ავტორი ხომ იყო დიდი შემოქმედი?

– იყო და კიდევაც ბევრჯერ მკურნალობდა ჩვენს საავადმყოფოში.

– საიქიოშიც თქვენ გაისტუმრეთ ორმოცდაცხრამეტი წლის ავადმოსაგონარ ჩვიდმეტ მარტს.

– სიკვდილს ვერავინ დააფარებს ხელს. ამის გარდა, ჩვენ რა შუაში ვართ, მკურნალები, მედიცინის დარგის მუშაკები?

– რაღა თქვენს საავადმყოფოში გაუსწორდა თავის თავს, უთუოდ რაღაცა აწყენინეთ?

– ეს წარსულის ამბავია. ჩვენ ახლა ამას ვერ დავუბრუნდებით.

– რაღა წარსულის. ყოველ ჩვენგანს გუშინდელ დღესავით ახსოვს ის ავადმოსაგონარი დღე.

– ყველაფერს ჩვენ ნუ გვაბრალებთ. არც შემოქმედნი ბრძანდებით მის წინაშე უცოდველი ანგელოსები. პირველი ნერვული დარტყმები, შესაძლოა, მან სწორედ კოლეგებისგან მიიღო.

– ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია მის წინაშე უთუოდ სცოდავდა, მაგრამ სასიკვდილოდ არასოდეს გაგვიმეტებია.

– ჩვენ გავიმეტეთ კი?

– მაშ როგორ მოხდა, რომ მაინცადამაინც თქვენს საავადმყოფოში დაასრულა მან სიცოცხლე? ის ხომ სამკურნალოდ, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად მოვიდა თქვენთან?

– ეს მოულოდნელი აფექტის ბრალია, შეიძლება თვითმკვლელობაზე ბევრი ხანი ფიქრობდა და საბოლოოდ აქ გადაწყვიტა საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა.

– დამშვიდებული კაცი თავს არ მოიკლავს, უთუოდ გაანერვიულეთ, მაგრამ, ადრე თუ გვიან, თეთრ ხალათში გადაცმულ კარიერისტებს ისტორია სანაგვე ყუთში გადაისვრის...

– მე ფეხებზე მკიდია ისტორია და მისი სანაგვე ყუთი. სანამ ამ სავარძელში ვზივარ, უბატონოდ ხმას ვერავინ გამცემს.

– ნუ დაგავიწყდებათ, რომ რბილი სავარძელი და ურა ცხენის ზურგი ერთია. დიდხანს ვერ იგუებენ პატრონს! – კომპოზიტორმა გაიხურა კარი. მისაღებში მდივანი ქალის მიერ გაბრიყვებულ მთხოვნელებს გულგრილად ჩაუარა და იქაურობა დატოვა.

მალე, საავადმყოფოში დაბრუნებულს ვესტიბიულში გულშეღონებული მეგობარი დაუხვდა. მისთვის პირველი დახმარება კი აღმოეჩინათ, მაგრამ ეს იყო და ეს. მთავარი ექიმი კვლავ თავისას გაიძახოდა – სანამ სამმართველოს უფროსის მებართვა არ იქნება, სტაციონარში ვერ მოვათავსებო.

– გავეცალოთ აქაურობას! – უთხრა სამმართველოდან დაბრუნებულმა გონგაძემ ავადმყოფის მეუღლეს, – დღეს აქ თავისუფალი საწოლი არა აქვთ, შესაძლოა ხვალაც ლოდინი მოგვიხდეს. ამიტომ, წავიდეთ სხვა საავადმყოფოში, სადაც ჩვენი ენა ესმით, ჩვენზე გული შესტკივათ, მოგვისმენენ, მოგვივლიან და ადამიანურად მოგვეპყრობიან.

– საავადმყოფოში ხეტიალი უკვე გვიანდაა, კაცი ძლივს სუნთქავს. რახან განწირული ყოფილა, ბარემ თავის საწოლში ამოხდეს სული, შინ წავიყვანოთ, – ჩუმად, თითქოს ჩურჩულით თქვა ქალმა და თვალი ცრემლებით გაევსო.

– თავიდან შეცდომა იყო ჩვენი აქ მოსვლა. ახლა მაინც არ დავაყოვნოთ, სანამ გვიანი არ არის, – დაეთანხმა გონგაძეც.

მიოკარდის ინფარქტით გულდაისრული ავადმყოფი ხან ერთს აჩერდებოდა სახეზე, ხან მეორეს, შველა კი არსაიდან არ ჩანდა.

– წამიყვანეთ, გევედრებით, წამიყვანეთ, შმორის სული მცემს, – აღმოხდა მომაკვდავს.

– გამაგრდი, ძმობილო, სწორედ ახლა გვჭირდება სულიერი სიმხნევე, როცა ყველამ ზურგი შეგვაქცია, – ანუგეშებდა მეგობარი.

– წამიყვანეთ შინ, რომ ჩემიანებთან, ჩემს წიგნებთან და საწერ მაგიდასთან აღმომხდეს ცოდვილი სული.

ავადმყოფი მეგობრის მძიმე მდგომარეობით და საკუთარი უმწეობით აღშფოთებულმა კომპოზიტორმა ერთხელ კიდევ სცადა გაბრძოლება და მთავარი ექიმის კაბინეტისაკენ წავიდა. მდივანმა ქალმა გზა გადაუჭრა, – დაკავებულია, შესვლა არ შეიძლებაო. სახტად დარჩენილი კომპოზიტორი ერთხანს მდივნის მაგიდასთან შედგა, სადაც რომელიღაც ქაღალდს მოჰკრა თვალი მთავარი ექიმის რეზოლუციით: **"მოათავსეთ თერაპიულ განყოფილებაში".**

– აკი მთავარ ექიმს უფლება არა აქვს საავადმყოფოში პაციენტის მოთავსებისო? – ნიშნის მოგებით ჰკითხა გონგაძემ ქალს.

– ვინ მოგახსენათ?

– თავად მთავარმა ექიმმა.

– გააჩნია პაციენტს და აგრეთვე იმას, თუ ვის მიერაა გამოგზავნილი.

– ეგ ვინ წითელი კვერცხი ბრძანდება, მთავარ ექიმს ასე მოწიწებით რომ დაუდვია რეზოლუცია საავადმყოფოში მოთავსებაზე?

– გასტრონომიული მაღაზიის დირექტორი გახლავთ. სწორედ მისი მეუღლე საუბრობს ახლა მთავარ ექიმთან.

– ავადმყოფი ნომენკლატურული მუშაკია?

– ეგ არ ვიცი, ოღონდ ეს კია, ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს: ზიზილო ნებიერიძემ თხოვა მთავარ ექიმს მისი აქ მოთავსება.

მდივანმა ჯერ კიდევ მელანშეუშრობელი ქაღალდი თერაპიულ განყოფილებაში წაიღო.

მალე გაიღო მთავარი ექიმის კაბინეტის კარი და იქიდან გამოვიდა ქერათმიანი გაფაშფაშებული ქალი, ალუბლისფრად შეღებილ ტუჩებსა და სახეზე თვითმაყოფილების ელფერი რომ დაჰკრავდა. საპატიო მანდილოსანი კარამდე მიაცილა თავკომბალა კაცმა და რაკი მისაღებთან ბრაზმორეული გონგაძე დაუხვდა, უმალ შებრუნდა.

* * *

კამკამაძე დიდის პატივით დაკრძალეს პანთეონში. კომპოზიტორის ღვაწლს მაღალი შეფასება მისცა პრესამ.

კამკამაძის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ თბილისში სენსაციური ამბავი მოხდა. თანამდებობიდან მოხსნეს ზიზილო ნებიერიძის მეუღლე. ზიზილო დაპატიმრების შიშით სადღაც გაუჩინარდა. ხოლო მისმა ქმარმა თბილისი დატოვა. რკინიგზის ვაგზალზე იგი თავისმა ყოფილმა შოფერმა და ერთადერთმა გულშემატკივარმა გააცილეს.

ამ დღის შემდეგ ზიზილოს დედასთან პალატის ექიმისა და სანიტრების გარდა არავინ შესულა – არც შინაური და არც გარეული.

ზიზილოს ფავორიტები – ლონგინოზ ნადირაძე და აპოლონ ჯანდიერი დამდუღღული ვირთხებივით გარბოდნენ და გამორბოდნენ შავიზღვისპირეთსა და წყნეთ-წავკისში უკანონოდ აშენებული სახლებისა თუ აგარაკების გადასაფორმებლად.

იძირებოდა ხომალდი აბობოქრებულ ზღვაში.

ასე იქცა ნომენკლატურა მაკულატურად, ხოლო მოკვდავი უკვდავად.

და ყოველივე ამვეყნიურ კომედიას ოლიმპიური სიმშვიდით გადმოსცქეროდა მაღლიდან **"მთაწმინდის მთვარის"** უკვდავი შემოქმედი.

ელიზბარ უბილავა

ჩვენი გაზეთის წინას წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ ეს მოთხრობა 1973 წელს დაიწერა და თავდაპირველად გაზეთ "თბილისში" უნდა გამოქვეყნებულიყო, ხოლო 1975 წელს – გამომცემლობა "მერანში", მაგრამ ჯერ გაზეთის ნომრიდან ამოიღეს და ავტორს დაბეჭდვაზე ზრდილობიანად უთხრეს უარი, შემდეგ კი, როცა წიგნი აიწყო, აიკინძა, გასავრცელებლად მზადდებოდა, "ინსტანციამ" ბრძანა, შეეჩერებინათ მისი გავრცელება, როგორც მიუღებელი და მანკიერი ნაწარმოებისა. ამასთან, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, სადაც წიგნი დაისტამბა, მკაცრად გააფრთხილეს, რომ მკითხველას ერთი ეკზემპლარიც კი არ ჩავარდნოდა ხელში.

საქართველოს გამსახკომსა და მთავლიტის სამმართველოს დაევალა, მკაცრად დაესაჯათ წიგნის რედაქტორი, აგრეთვე "მთავლიტის" რწმუნებული, რომელმაც "ზიზილოს ფავორიტების" ბეჭდვისა და გავრცელების ნებართვა გასცა. რაც შეეხება ავტორს, მას, როგორც "პოლიტიკური პაქკვილის" მთხზველს, ამჯერად წიგნის აკრძალვა აკმარეს, თუმცა არც თუ სახარბიელო რეპუტაცია შეუქმნეს.

შემთხვევითი არ იყო ამგვარი დევნა და წიგნის დაწვა.

მოთხრობა მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის საქმიანობას შეეხებოდა – იმ სამედიცინო დაწესებულების საქმიანობას, სადაც ჩვენს უდიდეს თანამედროვეს – გალაქტიონს სამკურნალოდ დაწოლის წინ კვირაობითა და თვეობით ალოდინებდნენ და მაინც ჩვეულებრივ პალატაში ათავსებდნენ, ხოლო ხელმძღვანელ მუშაკთა სიდედრ-სიმამრებს ეგრეთწოდებულ "ლუქსებს" უთმობდნენ.

– რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც სკამზე შემდგარ გალაქტიონს ფანჯარას მზრუნველად გაუღებდა, ერთ ხელს მოსაჩვენებლად თვალებზე აიფარებდა და გულის სიღრმეში საოცრად კმაყოფილი და ბედნიერი მეორე ხელს სივრცეში გასაფრენად მიაშველებდა. – ვკითხულობთ "კრიტიკის" 1989 წლის მე-2 ნომერში დასტამბულ გურამ ბენაშვილის პუბლიკაციაში.

ამ სიტყვებში უდიდესი სიმართლეა, რადგან მმართველი კასტის პირველ ეშელონს ყოველთვის აფრთხობდა მხილების შიში, რამეთუ სულს უმძიმებდა ის 30 ვერცხლი, რომელიც საკუთარი კერპის დამხობაზე თანხმობისათვის და 1956 წლის 9 მარტს თბილისში მუხანათურად დახოცილთა სისხლის საფასურად მიიღო.

რაც შეეხება ზიზილოს ფავორიტებს, მათ არც მაშინ შეეძლოთ და არც ახლა შეუძლიათ ნასუფრალის გარეშე არსებობა" (არა და, როგორ შეშვენის ეს სიტყვები დღევანდელობასაც – **"ილორი"**).

აი, როგორი პიროვნება და შემოქმედი გახლდათ სულმნათი ელიზბარ უბილავა.

რამ მიგვიყვანა ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე?

ქართველი ერის სულიერ-ზნეობრივი დაცემით აღშფოთებულმა დიდმა ილიამ თავის დროზე მკაცრად გააკრიტიკა გაველურებისკენ მიდრეკილი საზოგადოება მწვავე სატირული ლექსით **„ბედნიერი ერი“.** ილიას გულისტკივილი, იმ ხანად, ბევრმა ეროვნულმა მოდვაწემ გაიზიარა და გადაარჩინეს ქართველი ერი გადაშენებას; ეროვნული კულტურა აღმავლობის გზას დაადგა, მიუხედავად იმისა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა წართმეული გვქონდა.

ახლა, თითქოსდა, აღვიდგინეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ქართველი ერის სულიერ-ზნეობრივი დონე იმდენად დაეცა, ილიასდროინდელი ყოფა სანატრელი გაგვიხდა: ქართველმა კაცმა მთლიანად დაკარგა ეროვნული სახე; ფართო ასპარეზი მიეცა დემოკრატიის ნიდაბს ამოფარებული, უწარსულო, ამორალური ზნეობის ხალხის ველური ცხოვრების წესის გავრცელებას; ღვთისგან ბოძებული სქესობრივი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დღეს ქართველ ადამიანს და ქალი განკაცებისკენ მიილტვის; ზოგი გახდა კიდეც, მამაკაცის სასქესო ორგანოს გადანერგვით, ორივე სქესის მატარებელი არსება; ზოგი კაცი, კიდევ, ვითომ, ქალის მძიმე ცხოვრების გამზიარებელი და თანამგრძნობი, გახდა ქალის ფუნქციის მატარებელი საქმიანობითაც და სექსუალური ცხოვრების წესითაც. ასეთი გადაგვარების წინააღმდეგი და პროტესტის განმცხადებელი საზოგადოების წარმომადგენლები საქართველოში თანდათან კლებულობს; საზოგადოების წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობა (განსაკუთრებით, ეკონომიურად ასე თუ ისე უზრუნველყოფილ ფენებში) ზნეგადასულ ჰედონიზმს მისცემია და მუცელღმერთობაა მათი ღირსების საქმე; დღეს, ტანსაცმელში ჩატენილი გ...ი ღირსეულ ადამიანად იწოდება და ხშირად იტყვიან ასეთ ზე: **„კაი ბიჭია, პურის მჭამელი ბიჭია“**-ო; მათთვის სამშობლო მხოლოდ გამაბრუებელი ალკოჰოლით სავსე ჭიქით ხელში არსებობს და, მხოლოდდამხოლოდ, უაზრო და უზნეო დროის ტარების ასპარეზია.

ევროპაში, კულტურულ ერებში, მუცელწამოწეულ ადამიანს, ორსული ქალების გარდა, ვერ იხილავ, ეს იქ სირცხვილად ითვლება და, მართლაც, მუცელღმერთობა დიდი უზნეობაა, მაგრამ დღეს ქართველებს, ევროპელებისგან მხოლოდ უზნეო ცხოვრების წესი და გარყვნილება გადმოაქვთ, ხოლო რაც მისაბაძია და ჩვენთვის საშური, ვერც ამჩნევენ; დღეს უზნეობისა და გარყვნილების პროპაგანდა და დანერგვა სახელმწიფო დონეზე ხდება და კანონით მტკიცდება; ამის მკაფიო მაგალითია გეიადლუმების ჩატარების კანონის ძალით დაშვება ხელისუფლების მიერ და ანაკლიაში **კაზანტიპის** რესპუბლიკის **„კულტურის“** დემონსტრაცია და პროპაგანდა. იაფფასიან ბოზებთან ერთჯერადი ქორწინების მსურველი ადგილობრივი ახალგაზრდების წინასწარი რეგისტრაცია, შემდგომ, რამდენიმე თვე შიმშილობის ფასად. ეს ოფიციალური ღონისძიება ასეთი სახელწოდებითაა წარმოდგენილი: – Fast Married – свадебная церемония, временно связывающая “брачными узами” в пределах Республики (იხ. ინტერნეტ-საიტი).

მოკლედ, ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით, ზედაფენების უდარდელობისა და უსულგულო დამოკიდებულების გამო ეროვნული თვითმყოფადი კულტურის მიმართ, წაილეკა ის დიადი მონაპოვარი, რომლითაც ამაყობდა და არსებობდა ქართველი ერი.

რამ გამოიწვია ადამჟამინდელი, **„[უზენაეს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერი“, ანუ იბერი თიბერი თ,ბ,რ,** ერის, შემდგომ, იაფეტურ-იბერიული მოდგმის ქართველი ერის სულიერ-ზნეობრივი კულტურის რღვევა და ასე ტრაგიკულად დაცემა?

ცხადია, აღნიშნული ტრაგიკული მდგომარეობა მოკლე დროში არ შექმნილა, მრავალსაუკუნოვანი თანდათანობითი დეგრადაციის შედეგია. რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ერთ დროს **„იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე“** ტერიტორიაზე განაპირობა ცხოვრების სწორმა, უზენაეს ნათელთან მტკიცე კავშირმა, ანუ გარემომცველ სამყაროსთან კანონზომიერმა, ჰარმონიულმა თანაცხოვრების წესმა, მაგრამ მისი დასუსტება და დაცემა მოპოვებული წარმატებებით კმაყოფილებისა, შედეგად, უზენაეს ნათელთან დაშორებისა და შემდგომი განვითარების გზაზე შეცდომების დაშვების შედეგია. ეს ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად რას უნდა გამოეწვია **„აყვავებული კულტურისა“** (ნიკო მარის სიტყვებია) და იმ ხანად განსაკუთრებული ძლიერების მქონე ხალხის ეროვნულ სიმტკიცეში ბზარის გაჩენა და ესოდენ ტრაგიკული მდგომარეობა?

შიგა უთანხმოების წარმოშობისა და ეროვნული ძლიერების რღვევის უპირველეს მიზეზს ერთიანი ენის დიფერენციაცია – დივერგენცია და, შედეგად, ერთი მოდგმის ხალხთა შორის განსხვავებული აზროვნების წარმოშობა წარმოადგენს, რამეთუ, გერონტი ქიქოძის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ეროვნული სულის სიმდიდრე და სიძლიერე, ან კიდევ, მისი სიღარიბე და უილაჯობა არსად იხატება ისე ნათლად და ხელშესახებად, როგორც ენაში. ენა ააშკარავებს როგორც აზრთა მორჭმულობას და გრძნობათა მრავალფეროვნებას, ისე ეროვნული ტემპერამენტის სიცხოველესაც. ეს იმიტომ, რომ ენა არ არის სიტყვათა და გამოთქმათა მკვდარი ლექსიკონი, ის ცოცხალი სალარაა იდეათა და ემოციათა... იდეას მხოლოდ სიტყვის შემწეობით ეძლევა ნათელი და მკვეთრი კონტური, წინადადების, ანუ სიტყვიერი გამოთქმის წყობილება სავსებით ეთანაბრება აზროვნების მიმდინარეობას... რაც უფრო მდიდარია ამა თუ იმ ერის ისტორიული წარსული, მით უფრო მდიდარია მისი სული, მით უფრო მრავალფეროვანია მისი ენა... ამიტომაა, რომ შეგნებული ერი არცერთ თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღებით, როგორც თავის ენას.**

ჩვენმა წინაპრებმა, ეტყობა, ვერ გამოიჩინეს ჯეროვანი სიფრთხილე ჩვენი ადამჟამიდან მომდინარე უმდიდრესი ენის მიმართ და **„ის,**– როგორც გერონტი ქიქოძე გვამცნობს, – **შეირყვნა და გადაგვარდა უცხო ელემენტების გავლენით“.** ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა, აკაკი შანიძის გამოთვლით, შეიცავს 66% უცხო ენათა (ძირითადად, სპარსულ, ელინურ, არმენულ, ლათინურ, არაბულ და თურქულ) ლექსიკას. ამიტომ ეწოდება ქართური (ქართურე, ანუ შერეურე – შერეულე – შერეული) // ქართული. ამიტომ, თუ ძველი იბერიული ენის ლექსიკა ინერგებოდა, ერთ დროს, მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ენებში, ქართული ენის სამოქმედო ასპარეზი შევიწროვდა და **„გადაგვარდა, – სწორედ, – უცხო ელემენტების გავლენით“.**

თანამედროვე ქართველი **„მოღვაწენი“** ეროვნული ძირიდან კი არ ცდილობენ ქართული სალიტერატურო ენის ზრდა-განვითარებას და საკუთარი ფესვების ღრმად გადგმას, როგორც აკაკი გვმოძღვრავდა, არამედ უკონტროლოდ იტაცებენ უცხო სიტყვებს, საკუთარს კი, ნებით თუ უნებლიედ, დევნიან.

რითი სჯობს უცხოური სიტყვები, მაგალითად, „კოჰაბიტაცია“, „ტოლერანტობა“ და „კონსენსუსი“, შესაბამისად, **თანაარსებობას, შემწყნარებლობას და შეთანხმებას?** უკეთესი ჟღერადობის არიან თუ რა?

ადამიანი საკუთარ ენაზე აზროვნებს და, როგორც გ. ქიქოძე შენიშნავს, **„საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას, ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერგიოა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება“.** ამიტომ არა გვყავს ეროვნული ლიდერი; თუ გამოჩნდება ლიდერი, რომელიც ერის სატკივარს გულთან მიიტანს, მოკლე დროში მოვუღებთ ბოლოს, შიმშილით ამოვხდით სულს; რომ არ გაგვაჩნია ეროვნული, საღი აზროვნების უნარი, ამიტომ ვერ შევიწყნარეთ და ვერ გამოვიყენეთ თავის დროზე დიდი ილია, შემდეგ კი, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა; ვერ მოინახა საქართველოში უნიჭიერესი პოლიტოლოგის – ალექსანდრე ჭაჭიას და **„ჯვარპატიოსანის“** ავტორის – ვასო კუკუნაშვილის ადგილი; ამიტომ არიან საქართველოს ხელისუფლების სათავეში, ხან არმენი, ხან კიდევ, ებრაელი ერის წარმომადგენლები; ამიტომ არიან უპასუხისმგებლო, სამარცხვინო მდგომარეობაში ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ შეთანხმებულან პრემიერ-მინისტრის, თუ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით წარსდგეს საქართველოს დელეგაცია გაეროს სამიტზე; გარყვნის გზას დამდგარმა, გაველურებისკენ მიდრეკილმა და გაბერწებულმა საზოგადოებამ და ენამ ვერ შვა ეროვნული იდეოლოგი; ველურ ბრბოს კი ჰყავს ისეთი ხელისუფლება როგორის ღირსიცაა; საქართველოს ხელისუფლებასაც აწყობს ბრბო, ნახირი, რომელიც ადვილი სამართავია; ასეთი ხელისუფლება, ბუნებრივია, ვერ იტვირთება ეროვნული ინტერესებით; ის მარიონეტია ძლიერი, **„მეგობარი“** ქვეყნების ხელისუფალთა ხელში.

მოკლედ, თავის მოტყუება იქნება რომ ვთქვათ: დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და თავისუფალი სახელმწიფო გვაქვსო. უკვე აშკარად ჩანს, რომ ვერ შედგა ეროვნული ქართული სახელმწიფო. მაგრამ ყველაფერი ბუნებრივი კანონზომიერებების ფარგლებში ხდება: ისტორიის გაყალბებამ, საამაყო წარსულის იგნორირებამ და უპატივცემლობამ, საკუთარი საძირკვლის მოშლამ და ეროვნული ფესვების ამოძირკვისათვის ბრძოლამ იცის ასე.

ეს უმძიმესი ცოდვა, უპირველეს ყოვლისა, თქვენ და თქვენნაირებს გაწევთ კისერზე მეცნიერის დიპლომს და სამღვდელოებას ამოფარებულო მოღალატეებო – ტარიელ ფუტკარაძევ და თემურ გვანცელაძევ, ანანია ჯაფარიძევ და მარიამ ლორთქიფანიძევ!

კუკური ფიფია,
„ფაზისი“-სა და „აია“-ს საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

უსაფლავოდ დარჩენილი გენიოსი?

კითხვა, რომელიც პასუხს ითხოვს

გაზეთ “ილორის” შენიშვნა – დიდი მონდომებით ეძებენ ახლაც ფიროსმანის იმ საფლავს მავანნი, რომელიც თურმე არ არსებობს, რაზედაც მეტყველებს კომპეტენტური ადამიანების მიერ გაკეთებული კვლევის არსი. ამას წინათაც ზარზეიმით გამოაცხადეს ვიდაცეებმა თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ნიკო ფიროსმანაშვილის საფლავის აღმოჩენის თაობაზე, მაგრამ გაირკვა, რომ ეს საფლავი პატარა ბავშვს ეკუთვნოდა, რომლის საფლავის ქვაზედაც მიცვალებულის სახელი ***“ნიკალა”*** *იყო ამოტვიფრული. ღმერთო ნუ მიწყენ, მაგრამ იმის ეჭვი მიხრავს გულს, რომ მთელი ამ საძიებო საქმეების უკან გარკვეული ანგარება დგას, რადგან საფლავის მოძიება მეცნიერული კვლევის საგნად ითვლება, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს კი გარკვეულწილად აფინანსებს სახელმწიფო. და რაც უფრო გაიწელებოდა დროში ეს* ***“კვლევითი”*** *სამუშაოები, მით უფრო მეტ თანხებს გამოიმუშავებდნენ* ***“მკვლევარები”****. სწორედ ამ საკითხისათვის ნათელის მოსაფენად გთავაზობთ ცნობილი ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის ბატონ ალექსანდრე შენგელიას ადრე გამოქვეყნებულ წერილს სათაურით* ***“კითხვა, რომელიც პასუხს ითხოვს”****.*

მახსოვს, გასული ათასწლეულის ბოლო ორმოცდაათიანი წლების დასასრულ, გაზეთ **„თბილისის“** დაარსების თითქმის პირველივე დღეებიდანვე, როგორ აატალახა რამდენიმე ავანტიურისტმა რედაქტორის ნიკოლოზ ჯაშისა და დიდი ქართველი პოეტის, ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს გიორგი ლეონიძის კაბინეტები: რატომ არ ჩქარობთ? ჩვენი ხელით დავმარხეთ და ვიცით, სად განისვენებს ნიკო ფიროსმანიშვილიო. საფლავი დროზე უნდა გაითხაროს, თორემ მოუვლელია და შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოსო.

გაითხარა, თანაც ერთი კი არა, რამდენიმე, მაგრამ ამაოდ. არც ერთ მათგანში მხატვრის ნეშტი არ აღმოჩნდა.

უკანასკნელ წლებში ისევ გააქტიურდა ნიკო ფიროსმანის სამუდამო განსასვენებელზე საუბარი. ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი ნარკვევი მასალა გამოაქვეყნეს ცნობილმა ტელეჟურნალისტმა ნელი კობიძემ, მწერალმა შორენა ლებანიძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მანანა ხომერიკმა და სხვებმა, მაგრამ როგორც გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა, **„უცნაურია ხვედრი მხატვარის, თითქოს იგი კი არ მოკვდა, არამედ დაიკარგა თითქოს იმისათვის, რომ მისი ხატული „უსახელოდ“ დარჩენილიყო, როგორც ნაშთი დიდი პრიმიტივისა. ხედავ ფიროსმანს და გჯერა საქართველო.“**

ჰოდა, რადგან თითოეული ჩვენგანი გენიალური მხატვრის ნამუშაკარით საქართველოს ხედავს, თავს ნებას მივცემთ, მკითხველს შევახსენოთ 2000 წლის მაისში გამოცემული ნომერი ჩემი საავტორო გაზეთისა **„სარკმელი საქართველოსი“,** რომელშიც, ვფიქრობ, არც თუ უინტერესო ვარაუდზეა საუბარი, მით უფრო, რომ ფიროსმანის სამუდამო განსასვენებელს ხან ერთ და ხან მეორე სასაფლაოზე ამაოდ დაეძებენ.

საუბარი შეეხება სულგანათლებული ხელოვნებათმცოდნის შალვა კვასხვაძის შეხედულებას, რომ ფიროსმანი საერთოდ არ დაუკრძალავთ. იგი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ მხატვრისგან დამზადდა ანატომიური ჩონჩხი, რომელიც დღესაც ერთ-ერთ ორგანიზაციაშია.

ამ ვარაუდის პრაქტიკულად შემოწმება სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. ერთის მხრივ შესასწავლია საარქივო მასალების ის ნაწილი, რომლითაც მოსალოდნელია დადასტურდეს პაციენტის თანხმობა გარდაცვალების შემდეგ მისგან ანატომიური ჩონჩხის დამზადების შესახებ. და, მეორე, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა; უნდა შემოწმდეს ჩონჩხები და მათგან მეტნაკლებად საალბათოს ჩაუტარდეს ე.წ. **“დეენემის”** ანალიზი.

ფიროსმანის თანამედროვეთაგან ცნობილია, რომ იგი იყო ტანმაღალი და წელში ოდნავ მოხრილი. ამ გარემოებას ადასტურებს სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის გრაფიკული ნაწარმოებიც, რომელიც 1914 წელს ნატურიდან შეიქმნა. არც მხატვრისადმი 1972 წელს მიძღვნილი პაბლო პიკასოს სურათი დავბეჭდეთ მაშინ შემთხვევით.

უნდა ვიფიქროთ, ბევრი უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ლაბირინთიდან, რომელსაც მხატვარი **„ეფარება“,** პიკასოსავით მოვახერხოთ და მივაგნოთ ფიროსმანს.

ამან გადაგვაწყვეტინა, მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა 14 წლის წინათ დასტამბული სტატია და შეგვეხსენებინა მასში გამოთქმული ვარაუდი, რომელსაც არსებობის უფლება სხვა ვარაუდებზე მეტად თუ არა, ნაკლებად არა აქვს.

ალექსანდრე შენგელია

პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

არქეოლოგი – პატრიარქატი მიწათმოქმედებამ შექმნა, მაგრამ ამ უკანასკნელის საწყისი უხსოვარ მატრიარქატშია. ეს როცა მან (მიწათმოქმედებამ) იმ დონეს მიაღწია, რომ მამაკაცის სამეურნეო როლი გადამწყვეტი გახდა, იწყება გასაყარი მატრიარქატ-პატრიარქატისა.

ავტორი – ქართველურში პოვნიერია მიწათმოქმედების საწყისი პერიოდის – მატრიარქატის ეპოქის ტერმინები. აქედან უმნიშვნელოვანესია – ჯოხი. მისი დიდმნიშვნელობა განპირობებულია შემდეგით: იგი პირველყოფილი ადამიანის სახელდახელო იარაღია, რომელიც შემდეგ ხდება პირველყოფილი სამიწათმოქმედო იარაღი.

ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა შემდეგი:

1) ახალკოლხურად ანუ მეგრულად ხალიჩათა თუ მისთანათა ბერტყვას როხ-უა ეწოდება;

2) მეგრ. როხ-ი მიწის ნაგლეჯი, ბელტია და დიდი ზომის ქვაა;

3) ჯოხის ცემა გახლავთ – გა-ჯოხ-ვა. რაკი მეგრ. როხ-უა იგივეა, გამოდის ჯოხსაც, ერთდროს როხ-ი რქმევია. აქედან, უცილოდ, ის გამომდინარეობს, რომ:

4) ქართ. ჯოხ-ი როხ-ის რ-ს აფრიკატიზაციის შედეგი ყოფილა: როხ-ი>ჯოხ–ი;

5) ადვილად მისახვედრია: რამეთუ როხ-უა დღესაც ჯოხით ცემა (ბერტყვა) გახლავთ, უძველეს წარსულში იგი ჯოხით მიწის ცემა (დამუშავება) ყოფილიყო. მართლაც:

6) მეგრ. როხ–ი\\დიხა“მიწა” >ქართ. თიხა//თიხამიწა და >თოხი” მიწის დასამუშავებელი იარაღი” იმას გვეუბნება, რომ, ამ უკანასკნელს – იარაღს მისგან დასამუშავებელი ობიექტის სახელი ერქმევა. მაშასადამე განხორციელდა შემდეგი ფსიქოტრანსფორმაციები:1) მეგრ როხ-ი “მიწა>როხი “მისი დასამუშავებელი იარაღი> ქართ//ჯოხ-ი; 2) მეგრ დიხა «მიწა” >ქართ. თიხა//თიხამიწა და >თოხი” მიწის დასამუშავებელი იარაღი”

7) დღესაც გვეპოება მიწის დასამუშავებელი – მრგველი//მარგალი იარაღი – სპეციალური ჯოხი, სახელით – მარგილი. შდრ. მარგილი **“მიწათმოქმედების იარაღი”,** მარგალი მეგრ. **“მრგველი”** და ეთნონიმი – მარგალი **“მეგრელი”**;

8) ფეოდალურ საქართველოში საპოლიციო ფუნქციის მქონე, სპეციალური ჯოხით — არგანით შეიარაღებულ მოხელეს არგ-ნოსანი ეწოდებოდა. არგნოსანი და არგ-ანი, რათქმაუნდა, სამიწათმოქმედო იარაღ მარგილთან და რგვის და ეთნომიმის აღმნიშვნელ მარგალთან პოულობენ ამოსავლიანობის საერთო კავშირნათესაობას.

9) ცემა მეგრულად არის ლახ-უა. დამეთანხმეთ: როხ-უა **“ჯოხით ცემა”** და ლახ-უა **“ზოგადად ცემა”** იმგვარი მოცემულობები არიან, პირველისაგან მეორის მიღება: როხ-უა>ლახ>უა, აზრობრივი თუ ბგერითი ცვლილებების თვალსაზრისით, **“სტრუქტურული ანალიზის”** პრობლემებს არ შეიცავს.

10) მეგრ. ლახ-უა-დანაა ქართლ. მეგრ.გა-ლახ-ული//ლახ-ირი და ა.შ. უამრავი ზმნური ფორმები.

11) ქართ მეგრ. სენტენცია: გა-ლახ-ული ვარ//გო-ლახ-ირი ვორექ. ნიშნავს (სხვა მნ.-თა გამოკლებით) ავადა ვარ, ცუდად ვარ. მ.ე. ამ სიტყვათა ლახ. ძირიდანაამეგრ. ლეხ-ი **“ავადმყოფი”.**

ფსიქოლოგი – ვინ იფიქრებდა: ცემით გამოწვეული თვალსაჩინო შეგრძნებები ყოფილა მნიშვნელობითი ამოსავალი მეგრ. აბსტრაქტული სიტყვების ალახ-ალა **“ავამდყოფობა, გო-ლახ-უა «შუძლოდ ყოფნა».** აგრეთვე: ო-ლეხ-ე **«საავადმყოფო»,ლეხ-ი “ავამდყოფი”** დაა.შ. ხოლო ქართ. ავადმყოფობა შორდება მის მეგრ. შესატყვისს და დაკავშირებულია ავის, ცუდის მოაზრებებთან;

12) ავტორი – პირიდაპირი მითითება მასზე, რომ წარსულში მიწის დამუშავება ჯოხით ხდებოდა ესაა – ბერ-კეტი, რომელიც, გამარტივებით, მიღებულია ბერგ-კეტისაგან: ბერგ-კეტი > ბერ-კეტი.

ბერგი – თოხია მეგრულად, ამიტომ, აზრობრივად ბერგ-კეტი იგივე თოხ-კეტია ანუ თოხის ფუნქციის მქონე ჯოხია. ეს შემდეგ შეიძინა ბერგ-კეტ>//ბერ-კეტ-მა ანუ თოხ-ჯოხმა ბერკეტის, როგორც პატარა ძალით დიდის გამაწონასწორებლის მნიშვნელობა. და, რა თქმა უნდა, ამ ფუნქციას ბერკეტისას ადამიანმა მიწის ჯოხით (კეტით) დამუშავებისას მიაგნო. ეს უეჭველია, რადგან კეტის წვერს (კეტის სიგრძის პროპორციულად) ძლიერი ბერკეტული თვისება გააჩნია. იგივეა თოხის ტარი თოხის პირთან მიმართებით.

ფსიქოლოგი – აქვე თქმული და ზემორე კონტექსტები უფლებას იძლევა ვთქვათ: არამცთუ სიტყვა ბერკეტია კოლხური, არამედ იარაღი ბერკეტის გამოგონებაც კოლხურია, რადგან მიწათმოქმედების საწყისებთან სათოხნი ჯოხებით, მისგანვე ბერკეტის თვისების გამომზეურებელნი – კოლხები დგანან.

ანთროპოლოგი – დიახ, რადგან კეტება>//კეთ-ება სხვა არაფერია თუ არა კეტით საქმიანობა. აქედანაა კეთ-ილი, სი-კეთ-ე. ამ სიტყვებითგამოხატული თვისებები მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. მ. ე. მეგრ. კათ-ა **„ხალხი”** მათთან ერთიანობაში უნდა განვიხილოთ. სხვათაშორის ქართ. ხალხი კარგი იქნებოდა მეგრ. სიტყვით – კათა შეგვეცვალა, რადგან ხალხ მონღოლურად მონღოლია და შემოსულია მონღოლთაგან საქართველოს დაპყრობის პერიოდში, კეთება, სიკეთე, კათა კი მშობლიური სიტყვებია.

კეთ-ება და სი-კეთ-ეს შორის იგივე აზრობრივი მიმართებებია, როგორიც ღვაწლს (შრომას) და ღვაწლმოსილს შორის. შრომის დაფასების კულტურა ხალხთა ტრადიციაშია, მაგრამ, ვინ იფიქრებდა, მას ამ სიძველის (მატრიარქატის) საწყისი ექნებოდა. კეტი, კეთება, სიკეთე ხომ მატრიარქატის დროინდელი სიტყვებია.

ავტორი – უპირველეს და დასაბამისმიერ მიწის დასამუშავებელ იარაღად ადამიანის ხელიც რომ წარმოიდგინებოდა, ამაზე ქართ. მხარ-ი//მეგრ.ხუჯ-ი, ხე ‘ ხელის შემდგენლობაში ხ ბგერის არსებობა მეტყველებს: როგორც ითქვა, იარაღს ერქმევა სახელი დასამუშავებელი ობიექტისა.

ზემოთხსენებულ სიტყვებში – ქართ. ხელ-ები, მეგრ. ხელ-ეფი **“ხელები”** llateralsrbgeradaRadgenslaT. ხერ-ომანტია **“ხელითმკითხაობა”:** ხერ>ხელი (იხ. გ.თ. გვერდი 98)

საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია, მეგრ. ხა-ჩქ-უ-ა „თოხნა.” ამ სიტყვაში ხა მიწაა (სამუშაო, ხუხუა, კუპრავა და სხვები), ხოლო უა ქმედების აღმნიშვნელი სუფიქსია. რაფუნქციისაჩქ? ...ამის გარკვევაში დაგვეხმარება ერთი ხმაბაძვითი მეგრ. სიტყვა — ჩხერეზი. იგი მიწის ზედაპირზე საგნის ტარების ხმაურს, აგრეთვე ობიექტის ძლიერ დასახიჩრება-გაკაწვრას აღნიშნავს. ხაზგასასმელია, ძლიერი დასახიჩრება-დაკაწვრა, თორემ უმნიშვნელო კაწვრას სხვა მეგრ. ზმნა – ცხაბარი-ც აღნიშნავს. მ. ე. ჩქ< ჩხ, რადგან მეგრ. ჩხერეზ-ი, ჩხერეზ-უა შემადგენლობაში შემავალი ჩხ ბკ. ამგვარი ხმიანობის მოვლენათა სახელდებას რომ ახდენდა, უამრავი დამოწმება გაგვაჩნია (იხ.”გთ” ჩხ ბკ).

მ.ე. ხა-ჩქ-უა (<ხა-ჩხ-უა) მიწის ხმაურიან დასახიჩრებას ანუ მიწაზე ხმაურიან ქმედებას, რაც იგივეა – მიწადმოქმედებას აღნიშნავდა.

ფსიქოლოგი – გამოდის, ხაჩქუას დღევანდელი მნიშვნელობა – თოხნა, ძველი მისი ზოგადად მიწათმოქმედების მნიშვნელობის დავიწროების შედეგი ყოფილა. რაკი ქართველურში ნა სუფიქსი ხშირად ქმედების აღმნიშვნელია (შდრ. რქა დარქე-ნა, კბილი და კბე-ნა), უფლება გვაქვს ვამტკიცოთ: (დი-ხა >\\ თი-ხა >თ-ო-ხ-ი >) თ-ო-ხ-ნა, ოდიდგანვე, მიწაზე (დიხა//თიხა-ზე) ქმედებას ანუ მიწათმოქმედებას აღნიშნავდა. ვფიქრობ, ზემოთქმულს ხაზს უსვამს ერთი მეგრ. ხმაბაძვითი სიტყვა – თორხ-უა, რაც მიწის ძალუმი და ხმაურიანი დამუშავებაა.

მათემატიკოსი – მართალია, ზემოთდასახელებულ და მრავალ სხვა ხ ბგერიან ხმაბაძვით სიტყვებში, როგორნიც არიან: ქართ. ხეხ-ვა//მეგრ. ხეხ-უა; ქართ. ხერხ-ვა// მეგრ. ხორხ-უა; მეგრ. ხიხ-ონ-უა “მიწის ხელით თხრა”; ქართ.ხ-ვნა// მეგრ. ხ-ონ-უა და ა.შ. მაწარმოებელთა შეზრდის გამო, ძირად წარმოჩენა ხ ბგერისა შეუძლებელია, მაგრამ ამას ამტკიცებს ხ... ხ... ხმიანობები ზემოთქმული სიტყვებით გამოხატული პროცესებისა და, იმავდროულად, ამ სიტყვებში ჭარბი ხდომილობები ხ ბგერისა.

ავტორი – ახლა კი განვიხილოთ ისეთი ზოგასაკაცობრიო მნიშვნელობის ტ-ები, როგორიც არიან – ქიმია, ალქიმია, აქიმი\\ექიმ-ი და მათთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვები.

ბიოლოგი – კოლხეთში ქუმ-ელი //მეგრ.ქუმ-ი დიდმნიშვნელოვანი მცენარე რომ გახლდათ, ამაზე ტოპონიმიკა მეტყველებს: ო-ქუმ-ი უდრის **“სა-ქუმ-ელ-ო”;** ქა-ფა-თი უდრის ქუმ+ფა+თი: ფა მცენარეა, თი//თა ტერიტორიას აღნიშნავს: ქა-ფა-თი უდრის ქუმელ მცენარესთვის განკუთვნილ ტერიტორიას; ქუ-თა-ია უდრის ქუმ+თა+ია უდრის ქუმის პატარა ტერიტორიას.

ავტორი – აი, ამ მეგრ. ქუმ-იდანაა წარმოქმნილი ტ-ები ქიმია და ალქიმია: ჯერ იყო და, მცენარე ქუმისაგან, იმგვარადვე როგორადაც ვენახისაგან – მევენახე. წარმოიქმნა მეგრ. ტ. ქუმ-ინუა, ზედმიწ. „ქუმზე-საქმიანობა”. კონკრეტულისაგან წარმოქმნილი ეს განზოგადება ხდება უფრო აბსტრაქტული და ვღებულობთ ქიმ-ინ-უას “საერთოდ (განზოგადებულად) საქმიანობას» და ისეთ ტ-ებს, როგორიცაა: გინო-ქიმ-ინ-უა“გარდაქმნა”; გე-ქიმ-ინ-უაა-გრეთვე გარდაქმნაა, ოღონდ ეს ტ.უფრო კულინარიაშია შენარჩუნებული: მეგრ. გე-ქიმ-ინ-ელი უდრის სულუგუნი, რომელიც ჭყინტი ყველის მოხარშვით (გარდაქმნით) შემდეგნაირად მზადდება: რძის ჟელეს აქუცმაცებენ, ხელებით ზელენ, ამრგვალებენ და ჭყინტი ყველის სახით ამოიღებენ. შემდეგ ისევ აქუცმაცებენ, ცხელ წყალში ისევ არბილებენ და ისევ ზელენ და ამრგვალებენ. აი, ეს პროცესია ასახული მეგრ. ტ. სელე-გინ-ში, რომელიც მიღებულია ზელი-კინი-საგან მეგრ. ზელი = მოზელილი, ხოლო კინი = ისევ, განმეორებით.

ფსიქოლოგი –ე.ი. ქიმ-ინ-უა“ ქმნადობა”>ქიმინუა“გარდაქმნა” აბსტრაქცია განხოციელდა. ცხადია, ამგვარ დიდმნიშვნელოვან ტერმინთა წიაღში სახელების ქიმია, ალ-ქიმია, აქიმ-ი//ექიმ-ის ადგილი სრულიად კანონიერია

ისტორიკოსი – დღესავით ნათელია: რაკი უძველეს მეტალურგიაში კოლხეთის პრიორიტეტი ცნობილია, ხოლო მადნის დნობა ბერვით გაჩენილ ცეცხლის ალზე ხორციელდება, ფაქტია: ალ-ქიმ-ია იგივე მეგრ. ალით ქიმ-ი-ნუა ანუ ალზე საქმიანობაა, ალით გარდაქმნაა.

ანტროპოლოგი – საბოლოო ჯამში, ეს სახელები სამიწათმოქმედო, კულინარიულ, მეტალურგიულ და სხვა საქმიანობებთან ანუ შრომასთან ყოფილა დაკავშირებული

ფსიქოლოგი – მთავარია, ავტორის მიერ აღმოჩენილი ადამიანის არქაული ფსიქოაქტივობისა და მისი დინამიკის პრინციპები, როგორიცაა:

1) ქუმ-ი “ქუმელი”>ქუმ-უა “ზედმიწ. ქუმელობა”>ქიმ-ინუა.“ქმნა,ქმნადობა”>გინოქიმ-ი-ნუა „გარდაქმნა”> ქიმ-ია „მეცნიერება ნივთიერებათა გარდაქმნაზე”;

2) ხერხ-ი >ხერხ-ვა>მო-ხერხებული; ხერხ-ი „აბსტრაქციული ტერმინი”;

3) როხ-ი „ბელტი, მიწა»; როხი > როხ-უა„ ჯოხით დამუშავება ობიექტისა; როხი >ჯოხი”;

4) თიხა **«მიწა»** >თ-ო-ხ-ი **„სამიწე”**>თ-ო-ხ-უა//თ-ო-(რ)-ხ-უა **„ოდესღაც მიწათმოქმედება, ამჟამად თოხით მიწის დამუშავება”** და ა.შ. აბსოლუტურად გამჭვირვალე, ზუსტია და გასაგები.

ავტორი – რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ ბგერითი ცვლილებები ზოგიერთი სიტყვისა: მაგ: მეგრულში გ2მა **„მკა”,** გ2მა-თუთა **„მკათათვე”** სახელების და კოლხეთში ძირითად საკვებ მცენარის სახელ ღომ-ი//მეგრ. ღუმ-უს არსებობიდან გამომდინარე, მეგრ. გ2მა **“მკათათვე”**-ს პრეფორმად ღ2მა **“ღომზე საქმიანობა”** იგულისხმება.

რაკი მკა და მეგრ. გ2მა ექვივალენტურ ბგერებს შეიცავენ, მაშასადამე, იქიდანვეა ქართ. მკა-ც, რომელიც უფრო მეტადაა სახეცვლილი. ე.ი. ქართ. მკა და მეგრ. გ2მა საერთო წინაპრიდან არიან აღმოცენებულნი: ყ2რ (ყ ბგერის ალომორფიიხ «გ. თ.» ყბგერა)>ღ2მ>ღომ //ღუმ; ღ2მ>გ2მ//კ2მ>გ2მა//მკა.

ენათმეცნიერი – დიდი ენათმეცნიერის, ა. ჩიქობავას მიხედვით, 2 მიღებულია ო და უ ბგერათა დასუსტებით. ღ2მ ფორმა ღომ//ღუმ ძირისა კი ენათმეცნიერებამ არ იცის. უკანასკნელნი ისტორიულნი გახლავან, რასაც ტოპონიმიკა ამტკიცებს: დიღომ–ი უდრის დიდი ღომი, გუმ-ის-თა უდრის ღუმ-უშ–თა უდრის მეგრ. **“ღომისტერიტორია.”**(გ<ღ).

ავტორი – მაგრამ ენათმეცნიერებას არა აქვს დასახელებული მიზეზი (თუ არ სპონტანური) კოლხურში 2-სთან მიმართებითო და უ ბგერათა დასუსტებისა.

ავტორი კი აცხადებს: პირიქით, დასუსტდა 2 არამარტო ო და უ-სთან მიმართებით, არამედ საერთოდ და თანაც იმდენად, მალე სრულიად გაქრება მეგრული მეტყველებიდან. განმაპირობებელი ფაქტორი კი ცხადზე უცხადესია: ისტორიული სახელმწიფო ქართული ენის გავლენა (დღეს ეს გავლენა განსაკუთრებით ძლიერია: სკოლებში – ქართ. სწავლება და მეტყველება, წარმოება-დაწესებულებებში – ქართული მეტყველება, ქართულენავანი – ტელევიზია, რადიო, პრესადაა.შ. მეგრულს არ დარჩა არავითარი დამცავი მექანიზმი. ასე რომ, სხვა ქართვ ენებთან ერთად, ერთ-ერთ უდიადეს ეროვნულ სიმდიდრეს – მეგრულ ენას, ახლო მომავალში სრული გადაშენება ემუქრება.

ანტროპოლოგი – როგორც ეტყობა, ზემოთხსენებულ, ფაქტორებზე დაყრდნობილი ვარაუდის (ღ2მ>გ2მ//კ2მ>გ2მა//მკა) უარყოფის, მეცნიერულად დასაბუთებული, ანუ **„აკადემიური”** საფუძველი არ არსებობს. მითუმეტეს რომ საქმე ეხება უძველეს წარსულს

ფსიქოლოგი – მთავარი, რაც უნდა შევნიშნოთ, მეტყველების პირობითრეფლექსული პირველი პერიოდის შემდგომ პირველქმნადობებში, რაციონალური მომენტია: ბ. თუ ბკ. უშუალო და თვალსაჩინო ბენებასთან – უთავდაპირველეს საგნებთან და მოვლენებთან გონების უშუალო მიმართების ნაჟურია. შემდგომ, ალომორფიზებული ბ. თუ ბკ. უკვე ძველბერძნული ფილოსოფიური გაგების ლოგოსია, რომელიც განიცდის განუწყვეტელ აბსტრაჰირებას: **„საგნებისა და მოვლენების გარკვეული თვისებათაგან და მათ შორის არსებულ მიმართებათაგან განყენებას”**: ზემოთ მოყვანილ გ2მა//მკა ტერმინთა წარმოქმნის შემთხვევაში ყ პირველ პერიოდში პირობითრეფლექსური წარმოთქმაა, მეორეში ლოგოსია (ბგერისა და აზრის ერთიანობაა); მესამეში ალომორფი ყ2რ უკვე ლოგოფრაზაა: უდრის აზროფორმას: ყ **„საკვები (ღომი თუ სხვა რამ)”** + რე **„ზმნა არის”**; შემდგომ, ამ კონკრეტულ მაგალითში, ეს კონკრეტული ლოგოფრაზა განიცდის კონკრეტიზაციას: ყ2მ>//ღ2მ **„ღომი”** ფორმის სახით და აბსტრაჰირებას> ღ2მა//ღიმ-უა>გ2მა//გიმ-უა **„მკა”** ფორმებში.

ისტორიკოსი – მაშ, დღევანდელი ლექსიკა თავდაპირველი ლოგოსის მუდმივი ფორმა-ცვალებადობის და აბსტრაგირების შედეგი ყოფილა.

ფილოსოფოსი – ლოგოფრაზები ხშირად აბსტრაქტულ ტ-ებად იქცევიან. მაგ: მეგრელები, როცა ჰიპოთეზის დასამტკიცებელ ლოგიკურ თუ სხვა სახის უზუსტეს საბუთიერობას წამოაყენებენ, ამ უკანასკნელზე იტყვიან: ენაჭეშმეტირე = ჭეშ **„ცოტაზე”** + მეტი+რე არის; =ეს ცოტაზე მეტია ანუ ეს ცოტა არააო. ეს ჭეშმეტირე გახლავთ ისტ. ქართ. სიტყვა – ჭეშმარიტება, რომლის ასავალ-დასავალი აქამდე ვინმემ თუ იცოდა;

ენათმეცნიერი –დადასტურებულად არსებული, ამგვარი ლექსიკა ზღვაში წვეთია და არაფერზე მეტყველებს.

ისტორიკოსი – მილლერის, კლიმოვის და სხვათა აზრით, თანამედროვე ადამიანის გაჩენის საწყის პერიოდში – 40ათ. წლის წინანდელი სამეტყველო ფონდი დღევანდელის 10% თუ იქნებოდაო.

ანთროპოლოგი – **„დიახაც”**. ამიტომ, ავტორის მიერ მოხმობილი ბუნებრივი სიმბოლიზაციის ასეულობით ძირები, დამტკიცებულად, საკმარისია ენათა წარმოსაქმნელად.

ფსიქოლოგი – მათგან წარმოქმნილ სიტყვებზე, როგორც მატერიალურ საყრდენზე, დგანან ცნებები, განმაპირობებელნი ლოგიკური სააზროვნო ოპერაციებისა.

ფიზიოლოგი – სიტყვის, ცნების მატერიალური საყრდენი თავის ტვინის ნერვულ უჯრედებში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესებია, რომელთა მოლეკულურ დონეზე განხილვას, როგორც შევთანხმდით, აზრი არა აქვს.

ედემი იზორია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სახალხო მოძრაობა
“სამებრელოს” ზუგდიდის
ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს
ბატონ ვახტანგ შონიას სიმამრის
დავით მიქავას
გარდაცვალების გამო

სამი ლიტრი ღვინო

საკვირაო საკითხავი

იმ დღეს მიხო უქეიფოდ შეიქნა. ჯერ იყო და ბავშვობის მეგობრის, სანდროს სიკვდილმა დაწყვიტა გული და მის ქელეხში ყოფნისას თავი შეუძლოდ იგრძნო. ადრე თუ ორ ლიტრ ღვინოს სიამოვნებით სვამდა და ორჭიქადალეულობაც არ ეტყობოდა. ახლა ერთი ბოთლიც ვერ დალია. სუფრის წევრებს – თანამეტრაპეზეებს და თამადას ბოდიში მოუხადა, თავისი მეუღლე – მარო იხმო და სახლისკენ წავიდა.

მიხოს ეს საქციელი ყველას გაუკვირდა. ადრე ეგეთი რამ ჯერ არ მომხდარა და გაოგნებულებმა გააყოლეს თვალი.

– ვერ აიტანა სანდროს სიკვდილი. – დაასკვნეს და სუფრა გააგრძელეს.

შინ დაბრუნებული მიხო პირდაპირ საძინებლისკენ გაეშურა და ლოგინში ჩაწვა. თვითონაც ვერა გაეგო, რა მოუვიდა. ნიშანდობლივ არაფერი ტკიოდა და აწუხებდა. ჯანმრთელობას არასოდეს უჩიოდა. ოთხმოცი წლისა ისე მოიყარა, ექიმი, წამალი და აფთიაქი არა დასჭირვებია.

ლოგინში ჩაწოლილი მიხო ფიქრებმა გაიტაცეს. ხან რა მოაგონდა და ხან – რა. თავისი განვლილი ცხოვრების ტკბილ-მწარე ეპიზოდებმა კინოფირის კადრებად გაურბინეს თვალწინ.

მიხოს ცხოვრება, როგორც ნებისმიერი მოკვდავისა, ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. იყო გაჭირვების წლები, მაგრამ იყო წარმატებებიც. საბოლოო ჯამში, იგი ცხოვრების ძვირს ვერ იტყოდა. განსაკუთრებით სიბერეში გაუტკბა ცხოვრება.

კმაყოფილი იყო მეუღლით, შვილებით, რძლებით, სიძეებითა და შვილიშვილებით. მეზობლები და მეგობრები ხომ საუკეთესონი ჰყავდა.

კარგად ვერ გაერკვია მიხო, ძილში მიდის თუ ძილიდან ბრუნდება. იძინებს თუ იღვიძებს. ეს კია ძილბურანშია.

საძინებლის კარი ნელ-ნელა, თითქოს თავისით, გაიღო. მიხოს ყურადღებაც კარისკენ მიეპყრო. ზღურბლზე, მოულოდნელად, წვიმასგამორიდებული, ქუდიანქურთუკმოსხმული კაცის სილუეტი გამოჩნდა. მხარზე ცელი ჰქონდა გადებული.

მიხომ თავიდან ვერ გაარჩია. იფიქრა, ამ დროს თოხი ან ბარი უნდა ჰქონდეს ადამიანს, თიბვის სეზონი ჯერ შორს არისო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, აშკარად ცელი იყო.

– გამარჯობა, მიხო! – მიესალმა უცნობი.

– გაგიმარჯოი, მაგრამ ვერ გიცანი, კაცოუ, რომელი ხარ? თანაცა, ცელით სიარული!.. თიბვამდე ჯერა სადაა, ჰა? – გაეპასუხა მიხო.

– ვერ მიცანი, ჩემო მიხო, იმიტომა, რომ მე ადამიანები მხოლოდ ერთხელ მხედავენ. შენი სეხნია ვარ, – მიქაელი.

მიხო მიხვდა, რომ მიქაელმა მოაკითხა და იქვე გაბრიელიც იქნებოდა სადმე, ახლო-მახლო. მთელი ოთხმოცი წელი ამ დღეს ელოდა და ამ დღისთვის ემზადებოდა, მაგრამ მოულოდნელი გახდა ეს წუთი.

უცებ, თითქოს, გონება გაუნათდა, რატომღაც კარგ გუნებაზე დადგა.

– უჰ, როგო ვერ გიცანი, ჩემო ბატონო! მობრძანდით, დაბრძანდით. რამდენი ხანია გელოდები. რატომ შეგაგვიანდა ამდენი?

– არ დამიგვიანია, ჩემო მიხო, ვიცი მე ჩემი დრო.

– შენ კი იცი, შე კაი კაცო, მაგრამა ჩვენ ხომ არ ვიცით და ლოდინი გვაცვდება!

– არა უშავს, მაგითია ცხოვრება საინტერესო. ჰა, რა ვქნათ, წავიდეთ, ჩემო მიხო?! – გამომცდელად გამოხედა მიქაელმა.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მიქაელ ბატონო. ვინა ყოფილა რომ შენს სიტყვას გადასულიყოს?! – გაეპასუხა მიხო. – მაგრამა, ერთი თხოვნა მაქვს და იქნება ამისრულო!

– წამო მიხო, წამო! თხოვნას გზაში აგისრულებ. რა თხოვნა გაქვს ეგეთი?

– ჰოო, მაგის გზაში ასრულება შეუძლებელია. – დანაღვლიანდა მიხო.

– რა არი ეგეთი, ჰა, მითხარი. – დაინტერესდა მიქაელი.

– რა არი და... ერთი სამლიტრიანით ღვინო მაქვს ჩაციებული, ხვალისთვის მინდოდა... ბულბულის ცრემლებს რომ ეძახიან, სწორედ ისაა. მაგის დაულევლად ნუ წამიყვან და ნუ გამატან მაგის დარდსა... ჩამოვსხდეთ აგერ, გვერდით სამზარეულოში. შენც გეამება, ვერ დამიწუნებ... ერთი კარგად წავუქეიფოთ და მერე წავიდეთ ღი-ღინ-ღი-ღი-ნი-თა. წაუღიღინა მიხომ.

მიქაელი ჩაფიქრდა. ჯერ ეგეთი წინადადება არ მოესმინა და ვერ გადაეწყვიტა დათანხმებოდა მიხოს თუ მოეკიდა ხელი და გაეყენებინა მოუსავლეთის გზას.

მიხომ ორჭოფობა შეატყო. ლოგინიდან წამოდგა. ჩაიცვა. თან მიქაელს მიუბრუნდა.

– მიაყუდე ეგ ცელი, ჩემო სეხნია, ეგე კუთხეში. დაუძახე მაგ შენ გაბოსაც, ხომ ვიცი, აქვე იქნება სადმე. – უთხრა და სამზარეულოსკენ გაემართა. თან უკან მოიხედა, ხელი დაუქნია და მიაყოლა, – მოდით, მოდით!

მიქაელმა ცელი კუთხეში მიაყუდა, კარებში გაიხედა და გასძახა:

– გაბრიელ, მოდი, აბა, ერთი აქა!

გაბრიელიც შემოვიდა და ორივენი მიხოს სამზარეულოში შეჰყვნენ.

ღვინით სავსე სამლიტრიანი ქილა გადმოიღო მიხომ მაცივრიდან, მაგიდაზე დადო. მრგვლად მოხარშული დედალიც მოაყოლა, კახური შოთის პური, ხაშლამა, მწვანილიანი ჯამი, სამწვადედ გამზადებული ღორის ხორცი. ბუხარში ცეცხლი ააგუზგუზა. სამწვადე შამფურებზე წამოაგო, ბუხართან ახლო მიაყუდა და მაგიდასთან იხმო სტუმრები. ღვინო დოქში გადაიტანა, დოქიდან ჭიქებში ჩამოასხა.

– ჩემო მიქაელ და ჩემო გაბრიელ! – სავსე ჭიქა ხელში აიღო და მიმართა თანამეინახეებს. – მე ხომ ვიცი, რომ ჩემთან თქვენი ნებით კი არ ხართ მოსული. თქვენ, როგორც ჩემთვის, ისე ნებისმიერისთვის სულიერ სამყაროში, უფლის ნებასა და სურვილს ასრულებთ. ჩვენ, ადამიანები, მადლიერები ვართ უფლისა ამქვეყნად მოვლენისთვის და მადლიერები დავრჩებით იმქვეყნად წასვლისთვისაც. ვადიდოთ უფალი და შევსვათ მისი სადიდებელი სადღეგრძელო ამ მცირე ჭიქითა და დიდი გულითა. – დაასრულა სადღეგრძელო და ისე გემრიელად გადაჰკრა, რომ მიქაელმაცა და გაბრიელმაც ლამის შურით გააყოლეს თვალი.

– დიდება უფალს! – თქვა მიქაელმა და მანაც მოწყურებულივით გადაჰკრა. – კარგი ღვინო კი გქონია, ჩემო მიხო!

– უფლის დიდება იყოს! – გაბრიელმაც მასე გადაჰკრა. – მართლაც დიდებული ღვინოა!

ლუკმაც გატეხეს და ქეიფიც გაჩაღდა. მიხო ენამზიანობდა, მიქაელიცა და გაბრიელიც უსმენდნენ და ხანდისხან კმაყოფილნი აღტაცებით ეხმიანებოდნენ მიხოს მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს.

– უფლის შემდეგ ჩვენი მამულის სადღეგრძელოს ვსამთ და არ მინდა ეს ტრადიცია დავარღვიო. მშვიდობა მინდა ვუსურვო ჩემს ქვეყანასა, საქართველოს. უფალს უნდა შევთხოვო ჩემი ქვეყნის გამთლიანება-გაერთიანება. ვიცი, მაგას მე უკვე ვერ მოვესწრები, მაგრამა იქნებ ჩემი შვილები მაინც მოესწრონ.

– უფალს უყვარს თქვენი ქვეყანა. – წამოიწყო მიქაელმა. – იგი ასევეა ჩვენი ქვეყანა, როგორაცაა თქვენი. უფალი ცდილობს საქართველოს დახმარებას, მაგრამ თქვენთან მრავალია ლუციფერის მიმდევარი და უფალი მის საქმეში არ ერევა, რადგანაც თვითონ უნდა მიხვდნენ, რომ არასწორი გზით დადიან. უფალი გზას გიჩვენებთ და თუ თქვენ მას არ მიჰყვებით, მერე უფალზე საყვედური არ უნდა თქვათ.

– მასეც ვიცოდი, ჩემო მიქაელ. მართალი ხარ, ჩვენა ვართ ყველაფერში დამნაშავენი. – დაედასტურა მიხო.

– ჩვენ ლუციფერს კი ვუშლით ბევრ რამეს, – სიტყვა აიღო გაბრიელმა, – მაგრამ თქვენს არჩევანში ვერ ჩავერევით.

– მართალნი ხართ, მეგობრებო, მართალნი! – თქვა მიხომ და ჭიქები შეავსო. – ჩვენ, ქართველებს, სამი წმინდა სადღეგრძელო გვაქვს, თუმცა სადღეგრძელო ყველა წმინდაა, მაგრამ პირველი სამი განსაკუთრებით: უფლისა, სამშობლოსი და ოჯახისა. მინდა ეს ჩემი ოჯახი დალოცვილი დავტოვო, ჩემს მაროსა მაინცდამაინც მალე ნუ მომაყოლებთ, იყოს ჯერ კიდევ თავის შვილებსა და შვილიშვილებში. დავლოცავ ჩემს შვილებსა და მათ ოჯახებსა. დავლოცავ ყოველი ქართველის ოჯახს და, საერთოდ, სამყაროში ოჯახის სიწმინდესა. თუ ოჯახზე ზრუნავს ადამიანი, მას ბოროტი ზრახვები არ შეაწუხებს, რადგანაც მიხვდება, რომა თავისი ბოროტი ზრახვები სხვის ოჯახს ავნებს და სხვათა ბოროტებანი – მისას. გაუმარჯოს ოჯახს და მის სიწმინდესა და სიძლიერეს! სანამ ძლიერი ოჯახი იქნება, კაცობრიობა არ გადაშენდება და უფალსაც მადიდებელი მრავლად ეყოლება.

– დაგილოცავთ ოჯახს, უფალმა ადიდოს ყველას ოჯახი! – დაილოცა მიქაელმა.

– დიდება იყოს მათი! – დაამატა გაბრიელმა.

ბუხარში ცეცხლი ჩანავლდა. მიხომ ნაკვერჩხლები მისწი-მოსწია სამწვადეაგებული შამფურები ზედ შეაწყო. სუფრას მოუბრუნდა, ჭიქები შეავსო, დოქი ჩამოდგა და სასმისი ხელში აიღო.

– ვინ მოთვლის რამდენი ვინმე გაგიცილებ-წაგიყვანიათ ამქვეყნიდან იმ ქვეყანას, ჩემო ბატონებო! მე მინდა ყველა იმ ადამიანის ხსოვნისა შევსვა, რომლებიც იმ ქვეყნად, სადაც ახლა მე უნდა გამაცილოთ, გველოდებიან. მინდა ამ სასმისით ჩემი მეობრის, სანდროს წინდგომით მოვიგონო ყველა ის ადამიანი, რომლებიც იქ მელოდებიან და რომლებიც ჩემგან მოგონების ღირსნი არიან. მე, რა თქმა უნდა, არ მაქვს უფლება, და მგონია თქვენც, რომ არ მოვიგონოთ ის ადამიანები. ნათელი დაადგეთ მათ სამშვიდისში იყოს მათი სულები.

– ამინ! – წარმოთქვა მიქაელმა და სიამოვნებით გადაჰკრა.

– უფალმა ნათელში ამყოფოთ! – დაამატა გაბრიელმა.

ამასობაში მიხომ ცხელ-ცხელი, ცვრიანი მწვადები შამფურიანად მაგიდაზე ჩამოაწყო.

– მანამ ცხელია, მიირთვით, რომ გაცივდება ის გემო აღარ ექნება. – მიმართა სტუმრებს.

– მადლობა, მადლობა, გეახლებით. – მწვადს წაეტანა მიქაელი.

– იფ, იფ, იფ! დიდებულია! – აღტაცება ვერ დაფარა გაბრიელმა.

მიხომ კი სასმისები შეავსო და ახალი სადღეგრძელო წამოიწყო:

ჩემო ძვირფასო სტუმრებო. არის ჩვენში ასეთი გამოთქმა: **„სტუმარი ღვთისაა!“**-ო და, მართლაც, თქვენ ხომ ჩემი სტუმრები ბრძანდებით და თანაც, უფლისგან გამოგზავნილნი. მინდა თქვენი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ... – მიხო წუთიერად შეყოვნდა, ჩაფიქრდა და დინჯად განაგრძო. – ჩემო მთავარანგელოზო მიქაელ, მძლეველო ყველა მტრული ძალისა. შენს მიერ დაითრგუნა დემონი; შენ უკუაქციე ლანგობარდები სიპონტას ალყისას; შენ გადაარჩინე ათონის მთაზე ბიჭი, რომელსაც ყაჩაღები დახრჩობას უპირებდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ საგანძური, რომლითაც შემდგომ იმ ადგილას ტაძარი აგიგო მადლიერმა ხალხმა; სწორედ შენ დააკისრე მისია ჟანა დარკს მეფედ ეკურთხებინათ კარლოს VII რეიმსში, მასვე თავად დაეხმარეთ ინგლისელებისგან ორლეანის გათავისუფლებაში... ამბობენ, თურმე, თავად იბრძოდით ფრანგების მხარეს... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სიკეთე გიკეთებია შენს ლურჯი ელვების ლეგიონთან ერთად, რომლებიც ღვთისშვილებს გვიცავენ ანტიქრისტესაგან. – ამბობდა მიხო და თავადაც უკვირდა, საიდან მოსდიოდა ეს აზრები. – სამშაბათის მთავარანგელოზო გაბრიელ!.. სიტყვით ღმრთისა და კეთილ მაცნედ საღმრთოისა საიდუმლოისა წმინდა დიდო მთავარანგელოზო... წინამძღვარო და პირველმდგომელო უხორცოთა წესთაო, ზესთა დიდო წინამძღვარო და საყდართა მათ მაღალთა და შესაძრწუნებელთა საღმრთოისა დიდებისა წინაშე მდგომელო, გაბრიელ!.. თქვენ გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონებო! თქვენს საქმიანობასაც გაუმარჯოს! თქვენი არ იყოს, მეც თქვენნაირ საქმეს ვეწეოდი მთელი ცხოვრება: ზვარში დაბერებულ ვენახს ვხშირავდი, ტყეშიც დაბერებულ და გამხმარ ხესა ვჭრიდი, ყანაში ხშირ სიმინდს გამოვხშირავდი, ხოლმე... თქვენ რომ არა, დედამიწა ვერ გაუძლებდა ადამიანთა სიმრავლეს...

– ჩვენ მხოლოდ რჩეულ ადამიანებთან მივდივართ, – თქვა გაბრიელმა. – დანარჩენებთან ჩვენი თანაშემწე, სიკვდილი მიდის.

– ხოო, ეგეც ვიცი და იმასაც გაუმარჯოს! გაიხარენით და ჩვენც გაგვახარეთ დროულად თქვენი მობრძანებითა... უდროოდ არც თქვენ შეწუხებულიყავით და ნურც ადამიანები შეგეწუხებინოთ!

– მასეც იქნება, მიხო ბატონო! დიდი მადლობა დღეგრძელობისთვის. თქვენც იხარეთ და იბედნიერეთ! – თქვა მიქაელმა.

– მეც მადლობა მომიხსენებია, ბატონო მიხო! უფალმა თქვენც გადღეგრძელოთ! – წარმოთქვა გაბრიელმა და სასმისი სიამოვნებით დაცალა.

მიხო სიმღერის ხასიათზე დადგა.

– სიმღერასთან როგორა ხართ, ბატონებო? – იკითხა მან.

– ვახერხებთ. – გაეპასუხა გაბრიელი.

მიქაელმა კი ირონიულად ჩაიღიმილა.

– ქეიფს სიმღერა უხდება! უსიმღეროდ ქეიფი შეუძლებელია. – თქვა მიხომ და წამოიწყო ოდესღაც გაგონილი და გონების წიაღში შემონახული ჰანგი:

ჩემო მიქაელ და ჩემო გაბრიელა!
ჩემო გაბრიელ და ჩემო მიქაელა!
იქნებ გამიფანტო ეგ ჩემი სევდა:
სამშობლო კარგად გვიმყოფე, რა იქნება?!
ჩემი სიბერისა არა გამეგება,
თქვენთან წამოვალ და ეგ იქნება,
აქა სიმშვიდე თუკი დამირჩება –
ეგა იქნება ჩემი დამშვიდება.

მიქაელიცა და გაბრიელიც აყვნენ მიხოს სიმღერაში. ისე შეწყობილად მღეროდნენ, მსმენელი არ გაკვირდებოდა, მაგრამ იფიქრებდა, კარგად შეწყობილი და ნამეცადინარი ტრიო მღერისო.

სიმღერის ხელახლა წამოწყება დააპირა მიხომ, მაგრამ ვეღარ შეძლო, ისე ულოდნელად ჩაჰკიდა თავი და ჩათვლიმა...

უსიერს ტყეში ლურჯი ელვების ლეგიონთა რაზმი დაჰქრის, რომელსაც მიქაელი უდგას სათავეში და მითითებებს იძლევა. მიხოს სიტყვები არ ესმის, თუმცა ერთ აზრს გარკვევით ჩაწვდა: **„უნდა გამთლიანდეს, გაერთიანდეს და გაბრწყინდეს ქვეყანა ესე... უფლის ნებაა და სურვილი იგი... ლურჯი ელვების ლეგიონს დავალება აქვს უფლისგან, დავეხმაროთ და დავიცვათ ღვთისმშობლის წილხვედრი მამული...“**

– მზად ვართ ვემსახუროთ უფალს! – ეს კი გარკვევით ჩაესმა მიხოს და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

– გაბრიელ! – ისევ, თითქოს შორიდან, გაისმა მიქაელის ხმა. – მიხოს შეეშვი, ჩვენ უფალი გვიბარებს და უნდა წავიდეთ! ეს საქმე სიკვდილს მივანდოთ!

ელვის უსწრაფესად აიკრიფა მიხოს თვალსაწიერიდან ლურჯი ელვების ლეგიონთა რაზმი, უსიერი ტყე, მიქაელიცა და გაბრიელიც.

მიხო, მიხო! – შემოესმა მაროს ხმა და მუჯლუგუნი იგრძნო გვერდზე. – ადე, შე სასიკვდილე, ადე! რა გაძინებს, ნეტავ, ამდენს?!

– რა იყო, დედაკაცო? რა სატანა გეტაკა ამ დილაუთენია?

– ადე, კაცო, წამო, გადავიდეთ. შაქრუა გარდაცვლილა ამ დილასა...

მიხო ლოგინზე წამოჯდა. შემკრთალმა მიმოიხედა იქით-აქეთ.

– რა თქვი, დედაკაცო? – გაშტერებული მიაშტერდა მეუღლეს.

– ჰო, ამ დილას შაქრუა გარდაცვლილა!

– აჰა, მაგის წუწურაქი დედა კი ვატირე, მაგისი! მაშ, სამი ლიტრა ღვინო დაენანა, კაცო?! – თითქოს თავისთვის ჩაიბურღღუნა.

– რეებსა ბეუტურებ, კაცო! რა სამი ლიტრა, რის სამი ლიტრა, ჰა?

– მაგი მე ვიცი.

მიხომ ჩაიცვა. სამზარეულოში გავიდა, სუფრა ალაგებული იყო. მაცივარში შეიხედა, წინა დღით შენახული სამლიტრიანი ვერ ნახა. კუთხის მაგიდისკენ მიიხედა და ცარიელი სამლიტრიანი შეამჩნია.

– მარო, შენ აალაგე სუფრა? – გასძახა მეუღლეს.

– ჰო! ვისთან ჩასკდი წუხელისა, ჰა?

– მაგი მე ვიცი.

მიხო და მარო ერთად გადავიდნენ შაქრუანთ სახლში. შაქრუა მეორე სართულის დარბაზის შუაგულში ტახტზე დაესვენებინათ გულზე ხელებდაკრეფილი. მიხომ წრეზე შემოუარა, თავთან გაჩერდა, წუხილით თავი გადააქნ-გადმოაქნია და მიმართა.

– მაშ, სამი ლიტრა ღვინო დაგენანა, ჯო?

– რა სამი ლიტრა, მიხო? რეებს ბოდავ ამ დილიდან? – გაუცხარდა მარო.

– მაგი მე ვიცი.

– რა ეშველება, ქა? ამ დილიდან რაღაც აიკვიატა, სამი ლიტრა, სამი ლიტრაო. წუხელის ვიღაცეებთან დაულევია და დილიდან რაღაც ვერაა! – უთხრა მარომ შაქრუას ცოლს.

– რა გასაკვირია, ჩემო მარო, ჯერ სანდრო, ახლა კიდენა შაქრუა. ძნელია ამ დროს ძმაკაცის დაკარგვა. – დაამშვიდა შაქრუას ცოლმა მარო.

– ძია მიხო, რა, სამი ლიტრა ხომ არ ჰმართებდა მამაჩემსა? – ჰკითხა შაქრუას ბიჭმა.

– მაგი მე ვიცი! არაა მაგი თქვენი საქმე.

მართლაც, მარტო მიხომ იცოდა, რა სამ ლიტრზე იყო საუბარი და ამ სამი ლიტრის ამბავი რომც მოეთხრო, ვერავის გააგებინებდა მაინც.

ზურაბ ქობალია

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

თორნიკე შენგელია: 8 ათასი ქართველი ხუთ მოწინააღმდეგეს ვეთამაშებოდით

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი სავსე იყო აღმავლობებითა დ აჩავარდნებით.

ჩავვარდით ჩეხეთში, უნგრეთში, კინაღამ იგივე დაგვემართა პორტუგალიაში – 23-ქულიანი ჩამორჩენა გავაბათილეთ და ოვერტაიმში მინიმალური სხვაობით ვიმარჯვეთ.

აღმავლობები თბილისურ მატჩებში დაფიქსირდა, სამივე მეტოქე დამაჯერებლად დავამარცხეთ.

განსაკუთრებით ეფექტური უნგრეთთან დაპირისპირება გამოვიდა, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ჯგუფში პირველი ადგილის ბედი ჩვენს სასარგებლოდ – მადიარები 20 ქულის სხვაობით დავამარცხეთ (79:59).

...თუმცა ბოლომდე არც უნგრეთთან გაგვიმართლა, ბოლო წუთებზე თორნიკე შენგელიამ თავისი მორიგი იერიში სამ უნგრელში შეძრომითა და ორი ქულით რომ დაამთავრა, იატაკზე უხერხულად დაეშვა და კოჭი დაიზიანა.

მატჩის შემდეგ იგი სააავადმყოფოში გააშუქეს, საბედნიეროდ მოტეხილობა არ დაფიქსირდა, თუმცა კოჭი იმდენად დასივებული იყო, აშკარა გახლდათ – შესარჩევის ბოლო მატჩსგამოტოვებდა და კლუბ "ბასკონიაში" ჩასულს დასვენება მოუწევდა.

თორნიკე ესპანეთში 3 სექტემბერს გაფრინდა. თვითმფრინავში ჩაჯდომამდე რამდენიმე საათით ადრე მასთან ინტერვიუ ჩავწერეთ. რა თქმა უნდა, თავიდან ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ვკითხეთ.

– გასივებული ფეხი ნელ-ნელა ცხრება, კიდევ ერთხელ გადავიღე სურათი და ჩანს, რომ იოგებია დაზიანებული. კარგია, მოტეხილობარომარდაფიქსირდა. ესპანელი ექიმებიც შეხედავენ და მკურნალობას იქ განვაგრძობ.

– როგორ მკურნალობ?

– თერაპია და დასვენება მჭირდება. იმედი მაქვს, მალე დამიცხრება და ახალი გუნდის სავარჯიშო პროცესში ჩართვა ძალიან არ დამიგვიანდება.

– ტრავმაზე საუბარი სასიამოვნო არასოდესაა. ამიტომ საქართველოს ნაკრების წარმატებაზე გკითხავ. ევრობასკეტ 2011-ზე რომ ვითამაშებდით, შესარჩევი ეტაპის დასრულებიდან რამდენიმე დღეში გაირკვა. 2012 წელს სლოვენიის საგზური ლატვიაში მოგებით მოვიპოვეთ. ამჯერად თბილისში, სავსე ტრიბუნების წინ გავინაღდეთ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება. ემოციური თვალსაზრისით რას ნიშნავდა ეს თქვენთვის?

– ენით აუწერელი სიხარული იყო. ასეთ ემოციას ადამიანი ცხოვრებაში იშვიათად განიცდის. საოცარი სანახავი იყო ჩვენთან ერთად მოზეიმე სავსე დარბაზის ხილვა. რა თქმა უნდა, 2010 წელსაც გაგვიხარდა, 2012-ში ლატვიაშიც აღვნიშნეთ ევრობასკეტის საგზურის მოპოვება, მაგრამ გულშემატკივართან ერთად ზეიმი სულ სხვა იყო. თან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შესარჩევი ეტაპი წლეულს არათანაბრად ჩავატარეთ. გასვლით მატჩებში წაგებების გამო ბოლო თამაშებამდე გაურკვეველი იყო ჩვენი ბედი. უნგრეთთან და პორტუგალიასთან შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. სწორედ ასეთი მატჩების მოგებას აქვს სხვა გემო. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. მადლობა ღმერთს, ჩვენი ორთვიანი შრომა სათანადოდ დაფასდა. პირველი ადგილი დამსახურებულად მოვიპოვეთ.

– საინტერესოდ დაემთხვა: საუკეთესო მატჩი თბილისში, უნგრეთის წინააღმდეგ ჩაატარე. მკითხველმა შეიძლება, არ იცის, რომ კალათბურთის თამაში სწორედ უნგრეთში დაიწყე...

– 8 წლისა რომ ვიყავი, მამაჩემი უნგრულ კლუბში მიიწვიეს და იქ ვცხოვრობდით. კალათბურთზეც სწორედ უნგრეთში შემიყვანეს, თუმცა იქ დიდხანს არ გავჩერებულვართ, საქართველოში დავბრუნდით და აქ განვაგრძე ვარჯიში. ასე რომ, კალათბურთელად საქართველოში ჩამოვყალიბდი. მართლაც საინტერესოდ დაემთხვა: ორი საუკეთესო შეხვედრა სწორედ უნგრეთთან ჩავატარე. კეჩკემეტში 18 ქულა ჩავაგდე, თუმცა ბოლო წამებზე დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. ძალიან განვიცადეთ. ალბათ, გულშემატკივარმაც დაინახა, რომ უნგრელების მათსავე მოედანზე ძლევა რეალური იყო. ეს ჩვენც კარგად ვიცოდით და გვჯეროდა, რომ შინ, თბილისში შეგვეძლო საქმე ბოლომდე მიგვეყვანა და საკმარისი სხვაობით გაგვემარჯვა.

– ელოდით 20-ქულიანი სხვაობით მოგებას?

– შორიდან მოვუვლი: ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი სტიმულია სავსე ტრიბუნების წინაშე თამაში. მით უმეტეს, თუ საშინაო მატჩებში ივსება არენა. მაყურებლის ემოცია ჩვენზეც გადმოვიდა. ცხადია, მეტოქეზე ეს უარყოფითად მოქმედებდა – როცა ისინი უტევდნენ, განსაკუთრებით კი ჯარიმების ტყორცნისას დარბაზში ისეთი ხმაური იყო, საკუთარი ხმა არ გვესმოდა. შეიძლება ითქვას, 8 ათასი ქართველი ხუთ მოწინააღმდეგეს ვეთამაშებოდით. შესაბამისად, მოგების შანსიც დიდი იყო. მინდა, ვისარგებლო შესაძლებლობით – ყველა გულშემატკივარს მივულოცო ევროპის ჩემპიონატზე გასვლა და მადლობა გადავუხადო მხურვალე ქომაგობისთვის.

– ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, ფორმაში ნელ-ნელა, თამაშ-თამაშ შედიოდი...

– მართლაც ასე იყო. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ამერიკაში 2 წელი, ფაქტობრივად, არ მითამაშია.

სათამაშო პრაქტიკა კი კალათბურთელისთვის ბევრს ნიშნავს. გარდა ამისა, იყო პირადი მიზეზი, რის გამოც შეკრებას ცოტა გვიან შევუერთდი და ფორმაში შესასვლელად დრო დამჭირდა. სათანადო კონდიციებს უნგრეთთან საშინაო მატჩში მივაღწიე. სამწუხაროა, რომ მომდევნო შეხვედრაში ტრავმის გამო ვეღარ ვითამაშე.

– პორტუგალიასთან შეხვედრის შემდეგ ნაკრების წევრებმა განცხადება გააკეთეთ. მთავრობას მიმართეთ, დაეხმაროს ქართულ კალათბურთს...

– ნაკრები მაშინაა ძლიერი, როცა ლეგიონერებს შიდა ჩემპიონატში მოასპარეზეები სათანადოდ ეხმარებიან. სასტარტოებსა და სათადარიგოებს შორის არ უნდ აიყოს დიდი სხვაობა. ამის მიღწევა კი ჩემპიონატის გაძლიერებით შეიძლება. როცა შესარჩევი ეტაპი დასრულდა, შიდა ჩემპიონატის გუნდებიდან ბევრს არ ჰქონდა გარკვეული არსებობა-არარსებობის საკითხი. ეს არცერთ ევროპულ ქვეყანაში არ ხდება. ჩემპიონატი კი ახალგაზრდული პირველობებიდან უნდა შეივსოს, რაც დიდადაა დამოკიდებული ბავშვთა კალათბურთზე...

– ახალ კლუბ "ბასკონიაში" ჩასვლა ივნისში უკვე მოასწარი...

– სამი დღით ვიყავი, სამედიცინო შემოწმება გავიარე, გულშემატკივრებს შევხვდი, თუმცა კალათბურთელებიდან არავინ იყო და ახლადა მომიწევს თანაგუნდელების გაცნობა. პირველი სამდღიანი ვიზიტის შემდეგ კმაყოფილი დავრჩი. იმედი მაქვს, სეზონის შემდეგაც ასევე კმაყოფილი ვიქნები.

– როგორც ყოველთვის, "ბასკონიას" ამჯერადაც ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. მიზნებზე ხელმძღვანელობასთან ხომ არ გისაუბრია?

– ახალი სეზონის წინ მართლაც კარგი გუნდი შეიკრიბა. იოლად დასაძლევნი არავისთვის ვიქნებით.

მიზნებზე არ მილაპარაკია, მაგრამ **"ბასკონიას"** წლეულსაც ექნება პლეიოფში თამაშის პრეტენზია, როგორც ესპანეთის ჩემპიონატში, ასევე ევროლიგაზე. ეს პროგრამა მინიმუმი უნდა იყოს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

– NBA-დან დაბრუნდი იმიტომ, რომ...

– შევიძინო სათამაშო პრაქტიკა, რაც საშუალებას მომცემს განვვითარდე როგორც მოთამაშე. ამერიკაში შეიძლება ძალიან ცოტას თამაშობდე, მაგრამ აკეთებდე იმას, რაც გუნდს სჭირდება. ზოგისთვის ეს მისაღებია, ჩემთვის – არა.

მირჩევნია, ევროპაში გადმოვიდე, სათამაშო პრაქტიკა შევიძინო, ჩამოვყალიბდე კარგ კალათბურთელად და თუ შესაძლებლობა მომეცა, სხვა როლით დავბრუნდე ამერიკაში.

სანაკრებო მატჩებმაც მიჩვენა, როგორ მოქმედებს უთამაშებლობა კალათბურთელზე – თამაშის რიტმში ჩასაჯდომად დრო დამჭირდა. ინდივიდუალური ვარჯიში ვერასოდეს შეცვლის სათამაშო პრაქტიკას.

გამოვიდა კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერიას" თარგმანის მესამე ტომი

უკვე გამოვიდა I, II და III ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

– რა მოხდა, ექიმო? ადამიანის სახე არ გადევთ!

– პაციენტი მომიკვდა.

– ახია თქვენზე! სხვა დროს წინასწარ გამოართმევთ ფულს.

* * *

კახელი ცოლთან ერთად ველურებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და გარშემო ცეკვავენ.

– გაუპატიურება არ აგვცდება, – ამბობს ცოლი.

– არა, შეგვჭამენ!

– სულ საჭმელზე როგორ უნდა ფიქრობდე, შე უბედურო...

* * *

ახალი ამბები: შეიქმნა ონანისტების პარტია. პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ გარდაუვალია მისი ორ ფრაქციად, მემარჯვენეებად და მემარცხენეებად დაყოფა.

* * *

ტურისტი ცოლ-ქმარი "ოცნების ჭასთან" მივიდა. ჯერ ქმარმა ჩააგდო მასში ხურდა ფული და სურვილი ჩაიფიქრა. შემდეგ ცოლი გადაიხარა ფულის ჩასაგდებად, ფეხი დაუცდა და ჭაში ჩავარდა.

– ვა! რა სწრაფად ამიხდა! – გაუხარდა ქმარს.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაქირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარედ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge